

სისხლის სამართალი
ზოგადი და კარძო ნაირუბი

სისხლის სამართლის პროცესი
კარძო ნაირუბი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე**
2023, №7-9

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases**
(in Georgian)
2023, №7-9

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen**
(in der georgischen Sprache)
2023, №7-9

**Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам**
(на грузинском языке)
2023, №7-9

გადაწყვეტილების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსულან ჭანტურიძე

**ტექნიკური რედაქტორი
მარიკა გალალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოსიუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

საპირელი

სისხლის სამართლი

ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა

განაჩენით შეფარდებული სასჯელის გამკაცრება საქართველოს
სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-2 ნაწილით
გათვალისწინებული დამამდიმებელი გარემოების
მხედველობაში მიღებით 5; 13

2. ამინისტია, შეცყალება, ნასამართლობა

ამნისტია 18

კორპო ნაწილი

1. დანაშაული ადამიანის ნინეალმდებარება

განზრახ მკვდელობა,
ჩადენილი ჯგუფურად, ეროვნული შეუწყნარებლობის გამო 23

2. დანაშაული საპუთლობის ნინეალმდებარება

ქმედების გადაკვალიფიცირება ქურდობიდან
ნივთის დაზიანებაზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია 38
თაღლითობა 49

3. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა,
ჩატენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ
განსაკუთრებით დიდი ოდენობით 62

სისხლის სამართლის პროცესი

კორპო ნაწილი

1. პასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამარ-
თლებელი განაჩენის დადგენა
(სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) 73

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამარ-
თლებელი განაჩენის დადგენა

(სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები) 78

განაჩენში ცვლილების შეტანა	
(სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები და 143-ე მუხლი)	88
განაჩენში ცვლილების შეტანა	
(სსკ-ის 126 ¹ მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები)	130
გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება	
(სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილი)	145
2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო	
განაჩენის გადასინჯვის ნესი	
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო	
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ	
განჩინების უცვლელად დატოვება	153
3. ექსტრადიცია	159; 166; 185

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაცილი

სასჯელის დანიშვნა

განაჩენით შეფარდებული სასჯელის გამპატრება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდეპის 53¹

მუხლის მე-2 ნაცილით გათვალისწინებული

დამამდიმებელი გარემოების მხედველობაში მიღებით

განაჩენი საქართველოს სახელით

№311ა3-23

13 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),

შ. თადუმაძე,

მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალა-დევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ხ. ც-ს, – დაბა-დებულს 1.. წელს, – ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება, ეს იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფა-თოა სიცოცხლისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართვე-ლოს სსკ-ის) 117-ე მუხლის პირველი ნაწილით;

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ხ. ც-ს მიერ ჩა-დენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2021 წლის 28 ოქტომბერს, დაახლოებით 01:30 საათზე, ქ. თ-ი, გ-ს მე-.., №... მ... სადარბაზოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ხ. ც-მა, ო. ა-ს ურთიერთშელაპარაკებისას, თანნაქონი დანის გამოყენებით განზრას მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძი-მე დაზიანება, კერძოდ, მუცლის ღრუში შემავალი ნაკვეთი ჭრი-ლობა, რის შემდეგაც, იგი მიიმაღა შემთხვევის ადგილიდან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის

განაჩენით:

3.1. ხ. ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენი-სათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თა-ვისუფლების აღკვეთა;

3.2. საქართველოს სსკ-ის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახ-მად, მსჯავრდებულ ხ. ც-ს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯე-ლის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდა განესაზღვრა ...ის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (...) მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სას-ჯელის მოხდა უნდა გაგრძელდეს საერთო წესით;

3.3. მსჯავრდებულ ხ. ც-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა და-ენყო ფაქტობრივი დაკავებიდან – 2021 წლის 28 ოქტომბრიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავ-რდებულ ხ. ც-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – მ. ხ-მ, რო-მელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სანქციის მინიმუმის – 3 წლით თავისუფლების აღ-კვეთის განსაზღვრა, ასევე საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 1 თე-ბერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განაჩენში შევიდა ცვლილება:

5.1. ხ. ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენი-სათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თა-ვისუფლების აღკვეთა;

5.2. საქართველოს სსკ-ის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახ-მად, მსჯავრდებულ ხ. ც-ს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯე-ლის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდა განესაზღვრა აკად. ...ს სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (...). მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა უნდა გაგრძელდეს საერთო წესით;

5.3. ხ. ც-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენყო ფაქტობრი-ვი დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 28 ოქტომბრიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერ-ვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოად-გილემ – დაკით ხვედელიძემ მოითხოვა საკასაციო საჩივრის და-საშვებად ცნობა, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და

б. ც-ს მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

7. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე წარმოდგენილია მსჯავრდებულ ხ. ც-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ხ-ის შესაგებელი, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივარის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოადგილე – დავით ხვედელიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

3. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, პროკურორი ითხოვს ხ. ც-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, ვინაიდან მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა იარაღის გამოყენებით, შესაბამისად, სახეზეა საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს ავალდებულებს მინიმალურ სანქციაზე 1 წლით მეტი სასჯელის განსაზღვრას. კასატორის მტკიცებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის გათვალისწინებით 1 წლით სავალდებულო დამძიმების საპირწონედ სასჯელის 1 წლით შემსუბუქების შესახებ.

3.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ თბილისის სააპელაციო

სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენი გაასაჩივრა მხოლოდ ბრალდების მხარემ და მხოლოდ სასჯელის ნაწილში. ამდენად, მხარეებს შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხ. ც-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

4. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ხ. ც-ს მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული (მოწმეთა: ო. ა-ის, ა-ს, ქ. ბ-ის, დ. ლ-ის, ნ. ო-ის, გ. გ-ის, კ. გ-ის, გ. ხ-ის, დ. თ-სა და პ. ჯ-ს ჩვენებებით) და მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი (მათ შორის: მოწმეების – კ. ბ-ის, მ. ა-ის, გ. დ-ის, დ. ტ-ის, ქ. ც-ს, ვ. ლ-ს, გ. კ-ს, მ. ფ-ის, გ. ქ-ს, დ. ქ-ს, ხ. ხ-ს გამოკითხვის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე თანდართული ფოტოსურათებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით და თანდართული ფოტოსურათებით, სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით და სხვა მტკიცებულებებით) საქართვის და უტყუარი მტკიცებულებებით გონიერულ ექვს მიღმა დასტურდება, რომ ხ. ც-მა ჩაიდინა მსჯავრად შერაცხული დანაშაული. სამართალწარმოების მიმდინარეობისას არ გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდობასა და სარწმუნობაში ეჭვის შეტანის საფუძველი გახდებოდა.

5. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, მსჯავრდებულ ხ. ც-ს მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონიერულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

6. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ექვს წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზ-

ღუდვით ან უამისოდ (დანაშაულის ჩადენის დროს, 2021 წლის 28 ოქტომბერს მოქმედი რედაქცია).

7. საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება და მხარეებიც არ ხდიან სადაცოდ, რომ ხ. ც-მა მისთვის მსჯავრად შე-რაცხული დანაშაული – ი. ა-ის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ჩაიდინა დანის გამოყენებით. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, იარა-ლის გამოყენებით ან იარალის გამოყენების მუქარით არის პასუ-ხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მითითებული დამამძიმე-ბელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადი-ანი თავისუფლების ალკეტის დანიშნუნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანა-შაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწი-ლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

8. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ხ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაუ-ლის ჩადენამდე და ჩადენის დროს აღენიშნებოდა ფსიქოზური დო-ნის ფსიქიკური აშლილობა – შერეული შფორთვითი და დეპრესიული აშლილობა (კოდი – დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკა-ციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით), არამკეთრად გამოხატული ცვლილებებით ფსიქიკის მხრივ. ბრალად შერაცხული მართლსანი-ნაალმდეგო ქმედების ჩადენის დროს ხ. ც. ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით, ფსიქიკის დროებითი აშლილობით ან ჭკუასუსტო-ბით დაავადებული არ იყო. მას აღენიშნებოდა არაფსიქოზური დო-ნის ფსიქიკური აშლილობა – შერეული შფორთვითი და დეპრესიული აშლილობა არამკეთრად გამოხატული ცვლილებებით ფსიქიკის მხრივ და მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმე-დების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინაალმდეგობა და ეხელ-მძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა). შემდგომში, იზოლაციის პირობებში, ხ. ც-ს განუვითარდა და ამჟამადაც უგ-რძელდება ფსიქიკის დროებითი აშლილობა – მწვავე და ნარმავა-ლი ფსიქოზური აშლილობა, არასპეციფიკური – რეაქტიული ფსი-ქოზი (კოდი – დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით). ამჟამად, თავისი ფსიქიკური მდგომა-რეობით, ხ. ც-ს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს, უხელმძღვა-ნელოს მას, მისცეს ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს საგამოძიე-ბო და სასამართლო მოქმედებებში. იგი ამჟამად დაავადებულია იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სას-ჯელის მოხდას სასჯელალსრულების სისტემის პირობებში. ამჟა-

მად, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით, მას არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისი მხრიდან არსებობს საკუთარი თავისა და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარისა და ძალადობის შემცველი ქცევის რისკი. თავისი ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის რისკის ხარისხის მიხედვით, ამჟამად ხ. ც. წარმოადგენს სოციალურ საშიშროებას და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი მან უნდა მოიხადოს (არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება) შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) „დაწესებულებაში (რეკომენდებულია აკად. პ. ნანებიშვილს-სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; ხონი – ქუტირი), არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმების ამონტურვამდე, რის შემდეგაც სასჯელის მოხდა შეიძლება გაუგრძელდეს საერთო წესით.

9. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის თანახმად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის-გან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. იმავდროულად, საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

10. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა ხ. ც-მა ო. ა-ის მიმართ დანაშაული – ჯანმრთელობის განზრახმი დაზიანება – ჩაიდინა დანის გამოყენებით.

10.1. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა, მათ შორის – იარაღის გამოყენებით არის პასუხისმგებლობის დამამაძიმებელი გარემოება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ყელა შესაბამისი დანაშაულისთვის, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაული-სათვის საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

10.2. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიულად ადგენს სასჯელის დანიშვნის წესს და სრულად გამორიცხავს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს შეზღუდული შერაცხადობის გათვალისწინების, მაგრამ არა სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის/მუხლის ნაწილის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ხანგრძლივობით დანიშვნის ვალ-

დებულებას. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების ერთდღოულად არსებობის შემთხვევაში აღნიშნული დანაწესები არ წარმოადგენენ კონკურენციულ ნორმებს და ასეთ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას, საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმალურ ხანგრძლივობას დამატებული საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრული 1 ნელი არის **სასჯელის მინიმალური ხანგრძლივობა, რაც განსახილველი შემთხვევისათვის არის – თავისუფლების აღკვეთა 4 ნლით.**

10.3. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე – დაუშვებელია სასჯელის 4 ნლით თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მცირე ხანგრძლივობით დანიშვნა.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გააზიარებს თბილისის სასჯელაციო სასამართლოს მსჯელობას სასჯელის დამამდიმებელი გარემოებისა (დანაშაულის ჩადენა დანის გამოყენებით) და შეზღუდული შერაცხადობის, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოების კონკურენციისას, ამ უკანასკნელის მხედველობაში მიღებით საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის უგულებელყოფის შესახებ. სასამართლო ითვალისწინებს, რომ შეზღუდული შერაცხადობის არსებობისას სასჯელის შემსუბუქება არ გულისხმობს იმაზე მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას, რაც კანონის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარეობს.

12. საკასაციო სასამართლო სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებს მსჯავრდებულის ინდივიდუალურ მახასიათებლებს – კერძოდ, ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ b. ც-მა დანაშაული ჩაიდინა დანის გამოყენებით და გამოკვეთილია სასჯელის დამამდიმებელი გარემოება, ხოლო, მეორე მხრივ, იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულს დანაშაულის ჩადენისას აღნიშნებოდა ფსიქოზური დონის ფსიქიკური აძლილობა – შერეული შფოთვითი და დეპრესიული აძლილობა (კოდი – დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით). შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნების და სასჯელის მიზნების (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია)

და 53¹-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, პროკურორ დავით ხვედელიძის საქასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს – ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში და ხ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

13. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ კანონისმიერად არის მოკლებულია საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შედავათის გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდება, რომ (მოუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული უზრუნველყოფილი იყო იურიდიული დახმარებით) სამართალნარმოების არც ერთ ეტაპზე მსჯავრდებული არ აღიარებდა მის მიერ დანაშაულის ჩადენას და არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან, რაც წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სასჯელის დანიშნვის იმპერატიულ წინაპირობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის საქასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ხ. ც. ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3. საქართველოს სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულ ხ. ც-ს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდა განესაზღვროს აკად. ბ. ნანებიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (ხონი-ქუტირი) მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გაგრძელდეს საერთო წესით;

4. მსჯავრდებულ ხ. ც-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავებიდან – 2021 წლის 28 ოქტომბრიდან;

5. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენით შეფარდებული სასჯელის გამპატრება
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹
მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული
დამამდიმებელი გარემოების მხედველობაში მიღებით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№270აპ-23

20 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განიხილა კახეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის – გიორგი ბაჩიაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 9 თებერვლის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის განაჩენით ლ. კ. – – – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2019 წლის 5 მაისიდან.

2. განაჩენის მიზედვით, ლ. კ-ეს მსჯავრი დაედო განზრას მკვლელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში: 2019 წლის 4 მაისს, ღამის საათებში, თ-ის სოფელ ი-ში მდებარე სს „ვ.“ ბენზინგასამართ სადგურზე გ. გ-მა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ლ. კ-ის ძმას – ნ. კ-ეს. დაპირისპირებას შეესწრო ლ. კ., რომელმაც შურისძიების მოტივით გადაწყვიტა გ. გ-ის განზრას მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან ავტომანქანიდან ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და დამიზნებით ერთხელ გაისროლა გ. გ-ის მიმართულებით, რომელსაც მიაყენა ცეცხლნასროლი ჭრილობები. მიღებული დაზიანებებისაგან დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

3. თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს:

– კახეთის საოლქო პროკურატურის სტაუიორმა ლევან კლდი-აშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა და ლ. კ-ისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა;

– მსჯავრდებულ ლ. კ-ის ადვოკატმა ი. ო-მა, რომელმაც მოითხოვა: გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება; ლ. კ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ჩადენილი ქმედების სიმძიმის, არსებული გარემოებებისა და პიროვნული მახასიათებლების შესაბამისი კანონიერი და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 9 თებერვლის განაჩენით ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: ლ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათველა დაეწყო დაკავებიდან – 2019 წლის 5 მაისიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 9 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა კახეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა – გიორგი ბაჩიაშვილმა, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლასა და ლ. კ-თვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

6. მსჯავრდებულ ლ. კ-ის ადვოკატი ი. ო. საკასაციო საჩივრის შესაგებლით ითხოვს, რომ სასამართლომ დაუშვებლად ცნობს პროკურორის საკასაციო საჩივარი, ხოლო დასაშვებად ცნობის შემთხვევაში – უცვლელად დატოვოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 9 თებერვლის განაჩენი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 სექტემბრის განჩინებით კახეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის – გიორგი ბაჩიაშვილის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილელად და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დაინიშნა 2023 წლის 20 სექტემბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი,

შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ პროკურორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ლ. კ-ის მიერ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრად შერაცხილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, რაზეც დეტალურ მსჯელობას პალატა მიზანშენონილად არ მიიჩნევს, ვინაიდან სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს. ამასთან, ნარმოდგენილია მხოლოდ პროკურორის საკასაციო საჩივრარი და ადვოკატის შესაგებელი. პროკურორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლასა და ლ. კ-ისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, ხოლო მსჯავრდებულის ადვოკატი საკასაციო საჩივრის შესაგებლით ითხოვს პროკურორის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას, დასაშვებად ცნობის შემთხვევაში – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 9 თებერვლის განაჩენის უცვლელად დატოვებას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში, ნარმოდგენილი საჩივრისა და მისი შესაგებლიდან გამომდინარე, პალატა იმსჯელებს მსჯავრდებულ ლ. კ-თვის შეფარდებული სასჯელის სამართლიანობასთან მიმართებით.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმიმეს. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნინილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას, ხოლო ამავე კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის ნინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

4. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ლ. კ-ის პასუხის-

შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის, დანაშაულის ჩადენის მოტივება და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მისი ჯამრთელობისა და ოჯახურ მდგომარეობას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ლ. კ-თვის განსაზღვრული სასჯელის ზომა არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს, ვინაიდან, მართალია, ლ. კ. დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ სასჯელის დანშვნისას გაითვალისწინა, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, მაგრამ სააპელაციო პალატამ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში ლ. კ.მ დანაშაული ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ასეთი დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

5. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ამავე კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის განსაზღვრა მოსამართლის დისკრეციაა, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების არსებობისას, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მინიმალურ სასჯელზე სულ მცირე 1 წლით თავისუფლების აღკვეთის დამატება კანონის იმპერატიული დათქმაა, რომლის შესრულება სასჯელის შეფარდებისას სავალდებულოა და არ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს.

6. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის გათვალისწინებითა და ამავე კოდექსის 53¹-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის შესა-

ბამისად, ლ. კ-ეს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დადგენილ მინიმალურ სასჯელს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთას დამატებული 1 წლით თავისუფლების აღკვეთა).

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კახეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამართველოს უფროსის – გიორგი ბაჩიაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. კახეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის – გიორგი ბაჩიაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 9 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

2.1. ლ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.2. მსჯავრდებულ ლ. კ-ეს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2019 წლის 5 მაისიდან;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 9 თებერვლის განაჩენი დანარჩენ ნაწილში, მათ შორის ნივთიერი მტკიცებულებების ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ამინისტია, შეცვალება, ნასამართლობა

ამინისტია

განერიცება საქართველოს სახელით

№38¹-23

27 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაშ შემდეგი შემადგენლობით:**
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თაფუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ო. ღ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის
საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
2023 წლის 29 ივნისის განჩინებაზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 23 აგვისტოს განაჩენით ო. ღ-ს, – დაბადებულს 1.. წელს, – მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ნარდგენილი ბრალდება. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ პუნქტებით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით – უვადო თავისუფლების აღკვეთა. 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა საპყრობილები მოხდით. ცნობად იქნა მიღებული, რომ ო. ღ. დაკავებულია 2000 წლის 25 ივნისა.

2. აღნიშნული განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებული ო. ღ. გათავისუფლდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 23 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწი-

ლებით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისა-გან.

მსჯავრდებულ ო. ლ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 23 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი – 12 წელი და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 23 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ო. ლ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 მარტის განაჩენით ო. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენითა და 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ო. ლ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან.

5. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 25 დეკემბრის განკარგულებით შეწყალებულ იქნა ო. ლ. – მსჯავრდებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 23 აგვისტოს განაჩენით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თარიღად მიეთითა 2025 წლის 25 ივნისი.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა კოლეგიის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებული ო. ლ. გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ვადამდე პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 5 წელი.

7. 2023 წლის 1 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ო. ლ-მ და ითხოვა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გავრცელება.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 29 ივნისის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე მსჯავრდებულ ო. ლ-ს ღ-ით შეუმცირდა პრეზიდენტის შეწყალების აქტით დადგენილი მოსახდელი სასჯელის ვადა და განესაზღვრა – 4 წლით, 3 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად (რაც დღეის მდგომარეობით მოხდილი აქტი), 2 წელი და 10 თვე პირობითი მსჯავრი, 3 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 29 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ო. ლ-მ, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების შეცვლა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე პრეზიდენტის შეწყალების აქტით დადგენილი მოსახდელი სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამონება საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინა, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 25 დეკემბრის განკარგულებით შეწყალებულ იქნა ო. ლ. – მსჯავრდებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 23 აგვისტოს განაჩინით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 მარტის განაჩინით საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტით,

სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თარიღად მიეთითა 2025 წლის 25 ივნისი, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებული ო. ლ. გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ვადამდე პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 5 წელი.

3. იმის მხედველობაში მიღებით, რომ ო. ლ-ს სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის – ვადის დასასრულს წარმოადგენს 2025 წლის 25 ივნისი, ხოლო 2015 წლის 25 დეკემბრიდან (ე.ი დროიდან, როდესაც განტვრეტადი გახდა სასჯელის ფაქტობრივად მოხდის თარიღი) 2025 წლის 25 ივნისამდე მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელი შეადგენს – 9 წელსა და 6 თვეს, საიდანაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 სექტემბრის პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების გადაწყვეტილების გათვალისწინებით, 5 წელი, 8 თვე და 20 დღე ო. ლ-მ მოიხადა რეალურად, ხოლო დარჩენილი – 3 წელი, 9 თვე და 10 დღე, ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-15 მუხლების მოქმედება, ხოლო ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად – ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ან/და სასჯელის შემცირება ერთნაირად და პროპორციულად ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა.

5. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 29 ივნისის განჩინებით ო. ლ-ს მიმართ სწორად გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი და მას ერთნაირად და პროპორციულად შეუმცირდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული რეალური სასჯელი, პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა და განესაზღვრა – 4 წლით, 3 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად (რაც დღეის მდგომარეობით მოხდი-

ლი აქვს), 2 წელი და 10 თვე პირობითი მსჯავრი, 3 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით.

6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ო. ლ-ს საკასაციო საჩივ-რის მოთხოვნა არ უნდა დაქმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ო. ლ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-დეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა კოლეგიის 2023 წლის 29 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლე-ლად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კირქვ ნაწილი

1. დაცაშაული ადამიანის ნინააღმდეგ

განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად,
ეროვნული შეუცხარებლობის გამო

განვითარება
საქართველოს სახელით

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ

№259აპ-23

21 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის განაჩენზე თბილისის პრო-
კურატურის საპროკურორო სამართველოს პროკურორ ლევან
გეოგაძეს, ასევე მსჯავრდებულ ა. კ-ს ინტერესების დამცველი
ადვოკატის – ზ. ბ-სა და მსჯავრდებულ გ. ს-ს ინტერესების დამ-
ცველი ადვოკატის – მ. ს-ას საკასაციო საჩივრების დასაშვებობის
საკითხი და

გამოარკვია:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით:

1.1. ა. კ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა გან-
ზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი ჯგუ-
ფურად, ეროვნული შეუწყნარებლობის გამო, დანაშაული, გათვა-
ლისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემ-
დეგში – საქართველოს სსკ-ის) 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და
„ე“ ქვეპუნქტებით;

1.2. გ. ს-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა გან-
ზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ჩადენილი ჯგუ-
ფურად, ეროვნული შეუწყნარებლობის გამო, დანაშაული, გათვა-
ლისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის
„დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. კ-სა და გ. ს-

ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2018 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით 04:00 საათზე, თ-სი, ...ას ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ა. კ-მ და გ. ს-მ ვ. ს-თან შელაპარაკები-სას გაიგეს, რომ იგი იყო იყო ეროვნებით ე-ი, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წევრთა უფლებების დამცველი. აღნიშნულმა, ა. კ. და გ. ს. ძლიერ გაალიზიანა, რის გამოც ეროვნულ ნიადაგზე წარ-მოქმნილი სიძულევილის მოტივით, განზრას მოკვლის მიზნით, ა. კ-მა ხელთნაქონა დანით ვ. ს-ს დაუწყო სხეულის სხვადასხვა არეში ჭრილობების მიყენება. ვ. ს-ი შეეცადა გასცლოდა და თავი დაეღ-ნია მისგან, რაც ვერ მოახერხა, ვინაიდან გ. ს-ე მივარდა ზურგის მხრიდან, დაიჭირა – არ მისცა საშუალება გასცლოდა ა. კ-ს და გან-ზრას მოკვლის მიზნით, იმ დროს, როდესაც ა. კ-ი აგრძელებდა ვ. ს-სთვის სხეულის სხვადასხვა არეში დანით ჭრილობების მიყენებას, გ. ს-მაც გამეტებით დაუწყო ცემა ხელზე წამოცმული „კასტეტით“. აღნიშნულის გამო ვ. ს-ი წაიქცა, ხოლო ა. კ-ი და გ. ს-ე შემთხვევის ადგილიდან მიიმაღნენ. მიღებული დაზიანებების შედეგად ვ. ს-ი იმავე დღეს, საავადმყოფში მიყენაშამდე გარდაიცვალა.

3. თბილისის საქალაქო საასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენით გ. ს-სა და ა. კ-ს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიც-ხა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნ-ქტი;

3.1. გ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 15 წლით;

3.1.1. გ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდა დაეწყო 2018 წლის 30 სექტემ-ბრიდან;

3.2. ა. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზო-მად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 15 წლით;

3.2.1. ა. კ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდა დაეწყო 2018 წლის 30 სექტემ-ბრიდან.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ 2018 წლის 30 სექტემბერს, და-ახლოებით 04:30 საათზე, თ-სი, ა.დ-ს ქ. №...-ის მიმდებარე ტერი-ტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ა. კ-მა ვ. ს-ს, განზრას მოკ-ვლის მიზნით, ხელთარსებული დანით დაუწყო სხეულის სხვადას-ხვა არეში ჭრილობების მიყენება, რა დროსაც ვ. ს-ი შეეცადა მის-გან თავის დაღწევას, რაც ვერ მოახერხა, რადგან ზურგის მხრიდან მივარდა გ. ს-ე, რომელმაც დაიჭირა იგი და, განზრას მოკვლის მიზ-ნით, არ მისცა საშუალება, გასცლოდა მას. ა. კ-ი აგრძელებდა ვ. ს-

სთვის სხეულის სხვადასხვა არეში დანით ჭრილობების მიყენებას, პარალელურად, გ. ს-მ დაუწყო ცემა ხელზე წამოცმული „კასტეტით“. მიყენებული ჭრილობების გამო, ვ. ს-ი დაცა, ხოლო ა. კ-ი და გ. ს-ე შემთხვევის ადგილიდან მიიმაღნენ. მიღებული დაზიანებების შედეგად, ვ. ს-ი იმავე დღეს საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცალა.

5. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაცვისა და ბრალდების მხარეებმა.

5.1. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განცხოვილების პროკურორმა მიხეილ ჩხეიძემ მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა – ა. კ-სა და გ. ს-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და სანქციის ფარგლებში მაქსიმალურ ზღვართან მიახლოებული სასჯელის შეფარდება.

5.2. მსჯავრდებულმა გ. ს-მ და მისმა ადვოკატებმა – მ. ს-მ და ა. შ-მა სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს გ. ს-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით ნარდგენილ ბრალდებაში, მისი ქმედებისთვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა;

5.3. მსჯავრდებულ ა. კ-ს ადვოკატმა – ზ. ბ-მა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ა. კ-ს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით ნარდგენილ ბრალდებაში გამართლება; საქართველოს კანონმდებლობისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მისი ქმედების სწორი კვალიფიკაცია და მის მიმართ სამართლიანი განაჩენის გამოტანა.

6. პროკურორის სააპელაციო საჩივრაზე შესაგებელი წარმოადგინა მსჯავრდებულ ა. კ-ს ადვოკატმა ზ. ბ-მა, რომელმაც მოითხოვა, რომ არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი ა. კ-სა და გ. ს-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

8. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს დაცვისა და ბრალდების მხარეებმა, კერძოდ:

8.1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორი ლევან ვეფხვაძე ითხოვს ა. კ-სა და გ. ს-ს თავდაპირველი კვალიფიკაციით – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობასა და სანქციის ფარგლებში, მაქსიმალურ ზღვართან მიახლოებული, სასჯე-

ლის შეფარდებას;

8.2. მსჯავრდებულ ა. კ-ს ადვოკატი ზ. ბ-ი ითხოვს ა. კ-ს უდანა-შაულოდ ცნობას; საქართველოს კანონმდებლობისა და საქმეში არ-სებული მტკიცებულებების საფუძველზე მისი ქმედების სწორ კვა-ლიფიკაციას და სამართლიანი განაჩენის გამოტანას.

8.3. მსჯავრდებულ გ. ს-ს ადვოკატი მ. ს-ა ითხოვს გ. ს-ს უდანა-შაულოდ ცნობას.

9. პროკურორის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოად-გინა მსჯავრდებულ ა. კ-ს ადვოკატმა ზ. ბ-მა, რომელმაც მოითხო-ვა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და მის მიერ წარმოდგენილი საჩივრის დაქმაყოფილება.

10. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესა-ხებ“ საქართველოს კანონის მე-71 მუხლსა და საქართველოს სის-ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართვე-ლოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამარ-თლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ და-საბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხა-რების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუ-ხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ აღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

11. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივა-რი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცე-მულ შემთხვევაში ბრალდების მხარე ითხოვს მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობას თავდაპირველი – ბრალად წარდგენილი – კვა-ლიფიკაციით, ხოლო დაცვის მხარე მსჯავრდებულების უდანაშა-ულოდ ცნობას.

12. საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ა. კ-სა და გ. ს-ს მსჯავრდებისა და სას-ჯელის ნაწილში და ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს (მოწმეთა, მათ შორის, თვით-მხილველი მოწმების – ნ. შ-ს, ი. ბ-ს, ო. გ-სა და ზ. მ-ს ჩვენებებს, ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებს, ვიდეოჩანანერებს, სამედი-ცინო, ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური), ნივთიერება-თა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა, ასევე სამედიცინო, ქი-მიურ-ტრასოლოგიური, პისტოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებს), რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებენ ა. კ-სა და გ. ს-ს

მიერ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

13. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის მიერ საკასაციო საჩივარში მოთათებული გარემოებები და შესაბამისი მტკიცებულებები სამართლებრივად სწორად შეაფასა.

14. დაცვის მხარის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ თვითმმართველობის მოწმეების ჩვენება არ უნდა იქნეს გაზიარებული და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის მოგონილი, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ მართალია, უშუალოდ შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენები სიბრძელის გამო არ ჩანს ვიდეოჩანანერში, თუმცა თვითმმართველ მოწმეთა თანმიმდევრული და ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი ჩვენებებით დგინდება, რომ უშუალოდ შემთხვევამდე (მკვლელობამდე) ერთმანეთთან საუბრობდნენ, ერთი მხრივ, ო. გ-ი და ნ. შ-ა, ხოლო, მეორე მხრივ, ვ. ს-ი ელაპარაკებოდა გ. ს-სა და ა. კ-ს, რა დროსაც ვ. ს-ი მიტრიალდა ნ. შ-სკენ, ჰეითხა ვინაობა და ურჩია დამშვიდებულიყო. ნ. შ-ს ჩვენების თანახმად, ვ. ს-მა მას მიმართა: „შენ რა მაგარი ბიჭი ხარ“ და თან დასცინა (გააჯავრა) – „რა მაგრად მოძრაობ“. ვ. ს-ს მიმართვა ნ. შ-მ აღიქვა აგდებულ დამოკიდებულებად და გაღიზიანდა. ო. გ-ს ჩვენებით, საუბარში სწორედ ამ დროს ჩაერთო გ. ს-ე და ნ. შ-ს მიმართა: „ნახე, ბიჭო, დაგცინის კიდეც“. სწორედ აღნიშნულის შემდეგ გადავიდა ნ. შ-სა ფიზიკურ დაპირისპირებაზე და ვ. ს-ს სახეში დაარტყა მუმტი, რის შედეგადაც ვ. ს-ი წაბორდიკდა. ნ. შ-სა კვლავ ცდილობდა ვ. ს-სთვის დარტყმას, თუმცა ზ. მ-მ უკნიდან დაქაჩა და ნონასწორობის დაკარგვის გამო (თვითონვე) დაეცა. ამ დროს ვ. ს-ს უკვე ა. კ-ი მივარდა და დაარტყა დანა. იმავდროულად, გ. ს-მ, რომლის შეკავებას ცდილობდნენ ი. ბ-ეე და ო. გ-ი, მოახერხა მათგან თავის დაღწევა, მივიდა ვ. ს-სთან უკანა მხრიდან, შებოჭა და „კასტეტიანი“ ხელი დაარტყა თავსა და სხეულზე და თან ა. კ-ს მიმართა: „მოკალი, ამის ე-ი დედა“. ა. კ-სი აგრძელებდა დანით ჭრილობების მიყენებას.

14.1. ამდენად, ა. კ-ს მიერ ვ. ს-ს მიმართ მუცლისა და გულმკერდის არეში დანის არაერთჯერადი მოქნევა და დარტყმა დაადასტურეს მოწმეებმა – ო. გ-მა, ი. ბ-მ, ზ. მ-მ და ნ. შ-მ. მათივე განმარტებით ი. ბ-ე და ო. გ-ი ცდილობდნენ გ. ს-ს შეკავებას, რათა ისიც არ ჩართულიყო ჩხებში, მაგრამ იგი მათ დაუსხლტა, უკნიდან მივარდა და გააკავა ვ. ს-ი, რომელიც უკან-უკან დახევით ცდილობდა თავი დაელინა ა. კ-სთვის, იმავდროულად, გ. ს-მაც დაარტყა ვ. ს-ს ხელზე გაკეთებული „კასტეტი“. შესაბამისად, მას ვ. ს-ი შებოჭილი ჰყავდა და დაზიანებებს აყენებდა ა. კ-ს მიერ დანით დაზიანებებს

ბის პარალელურად.

15. საკასაციონ სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების ჩვენების არგაზიარების შესახებ, იმაზე მითითებით, რომ ისინი არიან ა. კ-სა და გ. ს-ს მსჯავრდებით (საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენით) დაინტერესებული პირები (კერძოდ, მათი ნაწილი არის გარდაცვლილის მეგობარი, რომლებიც მომზდარის გამო მორალურ პასუნისგებლობას გრძნობენ, ვინაიდან კონფლიქტი მათი პროვოცირებული იყო, ხოლო ნ. შ-სა, როგორც პოტენციური ბრალდებული, მამხილებელი ჩვენების სანაცვლოდ, პასუხისმგებლობისაგან გაითავისუფლებდა თავს), რომლებმაც გ. ს-ე ჩხუბში მონაწილეობასა და ვ. ს-სთვის კასტეტით დარტყმების მიყენებაში ამხილეს შემთხვევიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, რის გამოც მათი ჩვენებები არ არის დამაჯერებელი.

15.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დგინდება მოწმეების მსჯავრდებულთა (ერთად ან ცალ-ცალკე) მიმართ მიერძოებული დამოკიდებულება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ სასამართლოში დაცვის მხარეს მიეცა საშუალება, დასახელებული მოწმეები დაეკითხა, როგორც საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, ასევე მათზე შესაძლო განხორციელებულ ზენოლასთან დაკავშირებით; მოწმეებმა კატეგორიულად გამორიცხეს მათზე რაიმე ფორმით ზემოქმედება და მიუთითეს, რომ მათი ჩვენებები სიმართლეს შეესაბამება; სს საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომ მოწმეები უთითებდნენ/ასაჩივრებდნენ მათ მიმართ ზენოლის განხორციელებას.

15.2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია (იხ.: მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის №545აპ.-20 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისის №232აპ-21 განჩინება). მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს ჰქონდა, როგორც საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენის, ასევე – არსებით სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით თითოეული მოწმისათვის სასურველი კითხვების დასმის, მოწმეთა მიერ გამოძიების ეტაპზე მიწოდებული ინფორმაციის (მათ შორის, აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობის, რელევანტურობის თუ კანონიერების, მოწმის სანდოობის შემოწმების/შედავების) გამოკვლევის შესაძლებლობა.

16. კასატორი დაცვის მხარის მტკიცებით არც ა. კ-ს და არც გ. ს-

ს არ ჰქონია ვ. ს-ს მოკვლის განზრახვა და მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ ჯგუფურად, კერძოდ:

16.1. ა. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი – ზ. ბ-ი უთი-თებს, რომ ა. კ-ი არც კონფლიქტის მაპროვოცირებელი და არც ვინ-მეს მოკვლის განზრახვით მოქმედი პირია; ვ. ს-ს სიკვდილი გამო-იწვია სხვადასხვა ხერხით და განზრახვით მიყენებულმა ჭრილო-ბებმა (მათ შორს, გამოძიებით დაუდგენელი პირების და გზით მი-ყენებულმა ჭრილობებმა); მისი მხრიდან დანის გამოყენება იყო იმ-წუთიერი, ინსტინქტური და თავდაცვითი; საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებს დანა-შაულის ჯგუფურად ჩადენას; ა. კ-სა და გ. ს-ს შორის არ ყოფილა არც ნინასნარი შეთანხმება დანაშაულის ობიექტური შემადგენლო-ბის დაწყების მომენტამდე და არც ა. კ-ის მიერ ქმედების განხორ-ციელების მომენტში; ა. კ-ი ვ. ს-სთან უშეუალო კონტაქტში მას შემ-დეგ შევიდა, რაც დაინახა, რომ მის მეგობარ ნ. შ-სას ცემდნენ, ხო-ლო ამ მომენტში გ. ს-ე, ა. კ-საგან დამოუკიდებლად, მოშორებით მყოფ პირთან იყო კონტაქტში, შესაბამისად, გამორიცხულია და-ნაშაულის ჯგუფურად ჩადენა; ვიდეოჩანანერებში არ ფიქსირდე-ბა მსჯავრდებულების ჯგუფური მოქმედება; ჩეუბის დროს ა. კ-ი მოქმედებდა გ. ს-საგან დამოუკიდებლად, მათ არა თუ დანაშაუ-ლის ჩადენის ერთიანი განზრახვა, არამედ მათ ქმედებებს ურთი-ერთშეთანხმებული ხასიათიც, კი არ ჰქონიათ;

16.1.1 მსჯავრდებულ გ. ს-ს ადვოკატ მ. ს-ს მტკიცებით საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გ. ს-ს მხრიდან განზრახ მკვლელობის არსებობაზე მიანიშნებდა; დაინტერესებული მოწ-მეთა ჩვენებების გარდა მსჯავრდებულის მიერ რაიმე დანაშაუ-ლის ჩადენა არ დასტურდება არც ვიდეოჩანანერით. შესაბამისად, თუეკი გ. ს-ს არ ჰქონდა მკვლელობის განზრახვა, იგი ვერც ჯგუფუ-რად ჩაიდენდა განზრახ მკვლელობას; სააპელაციო სასამართლო-ში ა. კ-მა განაცხადა, რომ გ. ს-ე ვ. ს-ს მკვლელობასთან არაფერ შუაშია და აღნიშნული მკვლელობა მხოლოდ მან ჩაიდინა სხვა პი-რის დახმარების გარეშე. გ. ს-სათვის უცნობი იყო, რომ ა. კ-ს ქმე-დებამ ვ. ს-ს გარდაცვალება გამოიწვია, აღნიშნული პოლიციელე-ბისაგან შეიტყო;

16.2. საკასაციო სასამართლო, კვლავაც აღნიშნავს, რომ საქარ-თველოს სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „დანა-შაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წი-ნასნარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მე-ტი ამსრულებელი“. თუმცა საგალდებულო არ არის მათ შორის წი-ნასნარი შეთანხმების არსებობა. თანამსრულებლობა ნიშნავს ორი ან მეტი ბრალუნარიანი პირის მიერ ქმედების ობიექტური შემად-

გენლობის მთლიანად ან ნაწილობრივ ერთობლივად და უშუალოდ განხორციელებას.

16.3. მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაკვის მხარის პოზიციას, რომ ა. კ-ი ვ. ს-სთან უშუალო კონტაქტში მას შემდეგ შევიდა, რაც დაინახა, რომ მის მეგობარ ნ. შ-ს ცემდნენ, ხოლო ამ მომენტში გ. ს-ე ა. კ-საგან დამოუკიდებლად, მოშორებით მყოფ პირთან იყო კონტაქტში, შესაბამისად, გამორიცხულია მათი მხრიდან დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა.

16.3.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოწმეთა ჩვენებებითა და საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ მსჯავრდებულები გარდაცვლილ ვ. ს-ს არ იცნობდნენ და შემთხვევის დღეს პირველად ნახეს. ვ. ს-ს თანმხლებმა ი. ბ-მ მისთვის უცნობ გ. ს-სთან წამოიწყო საუბარი, რომელშიც ჩაერთო ჯერ ო. გ-ი, შემდეგ კი – ნ. შ-სა. საუბარი გადაიზარდა ვ. ს-სა და ნ. შ-ს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში, რომელშიც მყისიერად ჩაერთნენ ნ. შ-ს მეგობრები ა. კ-ი და გ. ს-ე, კერძოდ, ა. კ-ს მიერ დანით ჭრილობების მიყენების მომენტში გ. ს-მ შებოჭა ვ. ს-სი, რომელიც უკანუკან დახევით ცდილობდა თავის დაღწევას და იმავდროულად, ა. კ-ს მიერ დანის დარტყმის პარალელურად, ხელზე გაკეთებული „კასტეტით“ მიაყენა დაზიანებები. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ვ. ს-სის სიკვდილის მიზეზია გულმერდისა და მუცელის ღრუში შემავალი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობების შედეგად გულის, ფილტვის და ლვილის დაზიანებით გამოწვეული შინაგანი და გარეგანი სისხლდენით განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობა. მიყენებულ ჭრილობათაგან ოთხი არის სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის და უშუალო მიზეზობრივ კავშირშია ვ. ს-ს სიკვდილთან.

16.4. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის მე-9 და 27-ე მუხლების დანაწესებს, ასევე მოწმეების – ო. გ-ს, ი. ბ-ს, ზ. მ-მის და ნ. შ-ს ჩვენებებს (დაადასტურეს ა. კ-ს მიერ ვ. ს-ს მიმართ მუცლისა და გულმერდის არეში დანის არაერთჯერადი მოქნევა და დარტყმა; გ. ს-ს მიერ ვ. ს-ს შეკავება და ა. კ-ს მიერ დანის დარტყმის პარალელურად „კასტეტიანი“ ხელის ვ. ს-სათვის დარტყმა) და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ გამოკვლეული მტკიცებულებები, გ. ს-სა და ა. კ-ს ქცევა და აქტიური ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები დინამიკაში მიუთითებს მათ ჯგუფურ მოქმედებაზე.

17. გ. ს-სის ადვოკატი მ. ს-ა მსჯავრდებულის გამართლებას ითხოვს ასევე იმაზე მითითებით, რომ ვ. ს-ს სხეულზე არსებული მრავლობითი ჭრილობების გათვალისწინებით (მათ შორის – სხეულის

უკანა მხარეს) გ. ს-ს ტანსაცმელზე აუცილებლად დარჩებოდა გარდაცვლილის სისხლის კვალი, თუმცა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით გამოირიცხა, გარდა ამისა ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა გ. ს-ს ჩვენების ის ნაწილი, რომ იგი ი. ბ-ს ეჩხუბებოდა კონფლიქტში მონაწილე პირებისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით – კონფლიქტში მონაწილე ყველა სხვა პირისაგან განსხვავდებოთ ი. ბ-ეის ტანსაცმელზე, გ. ს-ს მსგავსად არ აღმოჩნდა ვ. ს-ს სისხლის კვალი;

17.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელმძღვანელოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 22 მარტის ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმად, მართალია, ი. ბ-ს მარჯვენა და მარცხენა ხელიდან აღებულ ანანძენდზე არსებული მოყვითალო-მონაცრისფრო ლაქები, ასევე გ. ს-ს მარჯვენა და მარცხენა ხელიდან აღებულ ანანძენდზე არსებული მოყვითალო-მონაცრისფრო ლაქები სისხლს არ შეიცავს, თუმცა იმავე დასკვნის თანახმად, მათ შორის, ი. ბ-ს მაისურზე (რბ. №..) არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები ნარმოადგენს ადამიანის სისხლს; ობ. №..-ის შერეული გენეტიკური პროფილის ერთი წილი ი. ბ-ს, ხოლო მეორე წილი ვ. ს-ს გენეტიკური პროფილის იდენტურია.

17.2. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის გენეტიკური პროფილის/ბიოლოგიური კვალის არარსებობა შემთხვევის ადგილზე ან დანაშაულის საგანზე a priori არ ნიშნავს ამ პირის უდანაშაულობას, რაც უკავშირდება კვალნარმოქმნის პროცესის თავისებურებას ((მაგალითად, კონტაქტის ხასიათი, ხანგრძლივობა და ა.შ.) იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 27 ივლისის განჩინება №190აპ-20). საკასაციო სასამართლო იმავდროულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, გ. ს-ე უკიდან ედგა ვ. ს-ს და ამ უკანასკნელს დაზიანებები აღენიშნება, მათ შორის, სხეულის უკანა მხარეს – შოწმეთა ჩვენებებით შეუძლებელია იმის დადგენა თუ რა თანმიმდევრობით მიაყენა მსჯავრდებულმა გარდაცვლილს კონკრეტული დაზიანებები, თუმცა მოწმეებმა კატეგორიულად მიუთითეს, რომ გ. ს-მ ვ. ს-ი შებოჭა ა. კ-ს მიერ გულმკერდის არეში დარტყმების განხორციელებისთანავე, როცა ვ. ს-ი უკან დახევით ცდილობდა თავის დაღწევას და, შესაბამისად მის მიმართ იდგა სახით. თვითმხილველი მოწმეების ჩვენებები გ. ს-ს მიერ „კასტეტიანი“ ხელის დარტყმის თაობაზე სრულ შესაბამისობაშია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასთან, რომლის თანახმად ვ. ს-ს სხეულზე – თავის, კისრის, გულმკერდის და მარჯვენა იდაყვის სახსრის

მიდამოებში აღინიშნება სისხლნაფლენთები და ნაჭდევები, რომ-ლებიც განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის (საგნების) მოქმედების შედევად.

18. დაცვის მხარის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ ბრალ-დების მხარემ დანიშნა მხოლოდ მისთვის საინტერესო ექსპერტი-ზები; გამოძიებისას განზრას არ იქნა მოპოვებული ცალკეული ნი-მუშები საექსპერტო კვლევისათვის, გამომძიებლებმა არ გამოკით-ხეს შემთხვევის ადგილზე მდგარი ავტომანქანის მძლოლები, იმას-თან დაკავშირებით, შემთხვევის დროს ხომ არ იყო მათი ავტომან-ქანები აღჭურვილი ვიდეო რეგისტრატორებით ან სხვა სახის სა-მეთვალყურეო სისტემით; ბრალდების მხარემ არ წარმოადგინა ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; ბრალდების მხარემ მოხ-სნა ყველა ის მონმე, რომელიც შემთხვევის ადგილთან ცხოვრობ-და ანდა ჰქონდა სხვაგვარი მჭიდრო შემხებლობა შემთხვევის ად-გილთან; სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბრალდების მხა-რემ სასამართლო პროცესზე დასაკითხად მოწმეთა მხოლოდ 30% წარმოადგინა, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, ერთი მხრივ, საქართველოს სსსკ-ი 38-ე მუხლის დანაწესს, ხოლო, მეო-რე მხრივ, იმ გარემოებას, რომ შეჯიბრებით სამართალნარმოება-ში (იხ. საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლი), მტკიცებულებათა მო-პოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა (საქართველოს სსსკ-ის 25-ე მუხლი), მხარე თავად განსაზღვრავს იმ მტკიცებუ-ლებათა წრეს, რომელთა წარდგენაც სასამართლოში საკუთარი პო-ზიციის დასასაბუთებლად მიაჩინა საჭიროდ (საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლი); საქართველოს სსსკ-ის 144-ე მუხლს და იმ გარე-მოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დგინდება და კასატორიც არ უთითებს, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა საკასაციო საჩივარში მითითებული ექსპერტიზი-სა თუ სხვა საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების საკუთარი ინი-ციატივით ჩატარების შესაძლებლობა (იხ. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 იანვრის №951აპ-20 განჩინება; 2021 წლის 4 იანვრის №925აპ-20 განჩინება; 2020 წლის 17 ივლისს №30აპ-20 განჩინე-ბა; 2021 წლის 9 ივლისის განაჩენი №669აპ-20, II-56). ასევე არ დას-ტურდება, რომ დაცვის მხარეს შეეზღუდა/არ მიეცა კონკრეტული პირების გამოკითხვა/დაკითხვის შესაძლებლობა.

19. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხა-რის მტკიცებას, რომ განსახილველი საქმის მიმართ მაღალმა სა-ზოგადოებრივმა ინტერესმა ზედმეტად მძიმე გავლენა იქონია საქ-მის შედეგზე – კერძოდ, ცალკეულმა ჯგუფებმა მიზნად დაისახეს განსახილველი საქმის ე.ნ. ნეოფაშისტური მოძრაობის ჭრილში წარ-მოდგენა და გაუგებრობაზე დამყარებული კამათის მოტივი რასის-

ტულ მოტივად გარდასახეს, ხოლო სასამართლო ვერ გათავისუფ-ლდა მცდარი გავლენისაგან და მოსამართლეები ერთგვარად ირიბად დაასახელა ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივი და სასჯელი აღ-ნიშნული დამამძიმებელი გარემოების ფარგლებში გამოიტანა.

19.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 თე-ბერვლის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასა-მართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, რომლის თანახმად, გ. ს-სა და ა. კ-ს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი – განზრას მკვლელობა ჩადენილი ეროვნული შეუწყნარებლობის გამო. რაც შეეხება დანიშნულ სასჯელს, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსე-ბული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულე-ბები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა, გაითვალისწინა მსჯავრდებულების ინდივიდუალური მა-ხასიათებლები და განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც არ ერინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სას-ჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესაციალიზაცია) და შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია.

20. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას ა. კ-სა და გ. ს-ს თავდაპირველი კვალიფიკაციით – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვე-პუნქტებით დამნაშავედ ცნობის შესახებ, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მკვლელობის ჩადენა ეროვნული შეუწყნარებლობის გამო, შეკრებილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ იქნა დადასტურებული.

20.1 საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ შეუწყნარებ-ლობის „მოტივის დამტკიცება ხშირად საქმიანო რთულია პრაქტი-კაში. მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება გამოიძიოს ძალადობ-რივი ქმედების რასისტული მოტივი არის საუკეთესო ძალისხმევის განხორციელების და არა – აბსოლუტური ვალდებულება (იხ. მაგა-ლითად, Šečić v. Croatia, no. 40116/02, §66, ECtHR, 31/05/2007). თუმცა ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს გონივრულად, საქმის კონკრე-ტული გარემოებების გათვალისწინებით (იხ. Fedorchenco and Lozenko v. Ukraine, no. 387/03, §66, ECtHR, 20/09/2012). ეერძოდ, შეაგროვოს და დაიცვას მტკიცებულებები, სიმართლის დასადგენად გამოიკვლი-ოს ყველა პრაქტიკული საშუალება და მიღლოს დასაბუთებული, მი-

უკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები, ყურადღების მიღმა არ დატოვოს ის საეჭვო ფაქტები, რომლებიც შეიძლება იყოს დანაშაულის რასობრივი ხასიათის ინდიკატორი (Lakatošová and Lakatoš v. Slovakia, no. 655/16, §76, ECtHR, 11/12/2018; ix. Bekos and Koutropoulos v. Greece, no. 15250/02, §69, ECtHR, 13/12/2005; Balázs v. Hungary, no. 15529/12, §52, ECtHR, 20/10/2015);

20.2. მიუხედავად იმისა, რომ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, უშუალოდ დაზიანებების მიყენებისას მსჯავრდებულები გარდაცვლილს იხსენიებდნენ „ებრაელად“, ასევე დაკითხული მოწმეების (მათ შორის, გ. მ-ს, ს. ბ-ის) ჩვენებების თანახმად, ისინი სხვა რასისა თუ ეროვნების პირთა მიმართ იყვნენ არაკეთილგანწყობილნი, აღნიშნული, ცალკე აღებული არ გამორიცხავს მათი მხრიდან მკვლელობის მითითებული მოტივის – ეროვნული შეუწყარებლობის გამო – გარეშე ჩადენას, მითუფრო იმ პირობებში, როდესაც მოწმეები, რომლებიც უთითებენ მათ დამოკიდებულებაზე სხვა ერების მიმართ, არ არიან ფაქტის უშუალო თვითმხილველნი. სასამართლო ასევე ითვალისწინებს მოწმე ზ. ა-ს ჩვენებას (მოწმემ განმარტა, რომ არის ფერადკანიანი, ქართველებისგან განსხვავდება ეროვნებითაც და კანის ფერითაც; გ. ს-ს იცნობს ბარ „შ-დან“. მასთან და მის მეგობრებთან კონფლიქტი არასდროს ჰქონია. ა. კ-ს მისთვის სხლი არასდროს დაურტყამს და არც შეურაცხყოფა მიუყენებია).

20.3. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის წარმოშობის საწყის მიზეზსა და განვითარებაზეც, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ პირველ ეტაპზე ი. ბ-მ საუბარი დაიწყო გ. ს-სთან ქართველობასა და ზოგადად საქართველოზე. მიუხედავად იმისა, რომ გ. ს-მ ყურადღება არ მიაქცია ი. ბ-ს და სცადა მისი თავიდან მოშორება, მან კელავ გააგრძელა იგივე თემაზე საუბარი, რაზეც მისცა შენიშვნა – „რა გაახურე საქმე ს-ზე ლაპარაკით“. ამ დროს საუბარში ჩაერთო ვ. ს-ს მეგობარი ო. გ-ი, რომელმაც გაიმეორა გ. ს-ს სიტყვები და იმავდროულად შეიგინა. 6. შ-მ ო. გ-ს გინება აღიქვა სს შეურაცხყოფად და გამოხატა უკმაყოფილება, მიუხედავად იმისა, რომ ო. გ-სმა განუმარტა, რომ მას სს მისამართით არ შეუგინებია, ა. კ-ი, გ. ს-ე, ნ. შ-ა, ო. ბ-ე, ო. გ-ი, ასევე ვ. ს-ი და ზ. მ-ე სალაპარაკოდ გავიდნენ სხვა ადგილას. აღნიშნულის შემდეგ, მათ შორის – მსჯავრდებულებისათვის ცნობილი გახდა ვ. ს-ს ეროვნული კუთვნილება, თუმცა ამ ინფორმაციის მიღება არცერთი მათგანისათვის არ გახდა კონფლიქტის დამატებითი საფუძველი. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ნ. შ-ს მიერ ვ. ს-სათვის სხლის დარტყმაზე იგი სწორედ მსჯავრდებულებს ესაუბრებოდა. გ. ს-სა და ნ. შ-ს აგრესია განაპირობა ამ უკანასკნელის მიმართ ვ. ს-ს ნათქვამმა

კონკრეტულმა სიტყვებმა, რომელიც მათ მიიღეს დამცინავად და არა განცხადებამ მისივე ეროვნული კუთვნილების შესახებ. კერძოდ, მათ შორის – ნ. შ-ს ჩვენების თანახმად, ვ. ს-მა მას მიმართა შემდეგი სიტყვებით: „შენ რა მაგარი ბიჭი ხარ“ და თან დასცინა (გაჯავრა) – „რა მაგრად მოძრაობ“. ვ. ს-ს ასეთი მიმართვა ნ. შ-მ აღიქვა ავდებულ დამოკიდებულებად, რამაც გააღიზანა; ო. გ-ს განმარტებით, საუბარში სწორედ ამ დროს ჩაერთო გ. ს-ე და ნ. შ-ს მიმართა: „ნახე, ბიჭო, დაგცინის კიდეც“. სწორედ ამის შემდეგ დაარტყა ნ. შ-მ ვ. ს-ს სახეში მუშტი, რის შედეგადაც ვ. ს-ი წაბორძიკდა, ნ. შ-ა კი კვლავ ცდილობდა ვ. ს-სთვის დარტყმის, თუმცა ზ. მ-მ უკინიდან დაქაჩა და ნონასწორობადაკარგული ნ. შ-სა თვითონვე დაეცა. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულები მხოლოდ ალნიშნულის შემდეგ ჩაერთვნენ ფიზიკურ კონფლიქტში, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ა. კ-ი და გ. ს-ე მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვნენ ჩხუბში, რაც მათი მეგობარი ნ. შ-ა დაეცა.

20.4. ალნიშნულის გათვალისწინებით ა. კ-სა და გ. ს-ს მხრიდან დანაშაულის ჩადენის მიზეზი იყო არა ვ. ს-ს ეროვნება, არამედ ვ. ს-სა და ნ. შ-ს შორის მიმდინარე საუბრის (დაცინვის) გამო მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება.

21. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარე საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, რომ მსჯავრდებულებმა მკვლელობა ჩაიდინეს ეროვნული შეუწყნარებლობის გამო, უთითებს მათ ზოგად დამოკიდებულებაზე სხვა რასისა და ეროვნების პირთა მიმართ; უშუალოდ დაზიანებების მიყენებისას მსჯავრდებულების ნათქვამ ფრაზებზე: „შენი ებრაელი დედა“ (ა. კ-ი) და „მოკალი, ამის ე-ი დედა“ (გ. ს-ე), რაც ასევე a priori არ ადასტურებს დანაშაულის ეროვნული შეუწყნარებლობის გამო ჩადენს;

21.1. დაპირისპირებისა და კონფლიქტის წარმოშობის მიზეზის, განვითრებისა და მიმდინარების გათვალისწინებით, მათ შორის – ო. გ-ს (ბრალდების მხარის მოწმე) ჩვენებითა და სს საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით არ დასტურდება ა. კ-სა და გ. ს-ს მიერ ვ. ს-ს განზრახ მკვლელობის ჩადენა სწორედ ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივით. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ვ. ს-ს ეროვნული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის მიღება მსჯავრდებულებსათვის არ გამხდარა ფიზიკური დაპირისპირების საფუძველი და გ. ს-სა და ნ. შ-სას აგრესია განაპირობა ამ უკანასკნელის მიმართ ვ. ს-ს ნათქვამმა კონკრეტულმა სიტყვებმა, რომელიც მათ მიიღეს დაცინვად (და არა განცხადებამ მისივე ეროვნული კუთვნილების შესახებ), რასაც მოჰყვა ჯერ ნ. შ-ს, შემდეგ კი მსჯავრდებულების მხრიდან ფიზიკური დაპირისპი-

რება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ვის ერთხუმოდა 6. შ-ა – ეროვნებით ე-ს თუ ქ-ს, სწორედ მისი დაცემის შემდეგ ჩაერთვნენ მსჯავრდებულები ჩხუბ-ში. ამდენად, სასამართლო უტყუარად დადასტურებულად ვერ მი-იჩნევს, რომ გ. ს-მ და ა. კ-მა ვ. ს-ი განზრას მოკლეს მისი ეროვნე-ბის გამო და ისინი სხვაგვარად იმოქმედებდნენ ვ. ს-ს ადგილას ეროვნებით ქ-ს ყოფნის შემთხვევაში.

21.2. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქარ-თველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიუ-ლი დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყა-რებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭ-ვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალ-დებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; სა-ქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შე-იძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივ-რულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც საქარ-თველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულს-ხმიბს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექ-ტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში.

21.3. იმავდროულად, „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს და-ნაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯე-რებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოე-ული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმე-დება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოი-რიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სა-სამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1548 გადაწყვეტილება, „სა-ქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43). მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმე-ში უნდა არსებოდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

22. მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებუ-ლებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დასტურდება ა. კ-სა და გ. ს-ს მიერ საქართველოს სსსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვე-პუნქტი გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

23. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „როდესაც საკასაციო სა-სამართლო უარს ამბობს საჩივრის დასაშვებობაზე, ვინაიდან სა-

ჩივარი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამართლებრივი საფუძვლები, მცირე დასაბუთებამაც შეიძლება დააკმაყოფილოს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები“ (Kadagishvili v Georgia, no. 12391/06, §175, ECtHR, 14/05/2020); იმის გათვალისწინებით, რომ მომჩინენის რელეგანტური არგუმენტები განიხილა ქვედა ორი ინსტანციის სასამართლომ, მომჩინენის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა ვერ იქნება მიჩნეული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე დაწესებულ არაპროპორციულ შეზღუდვად (Tortladze v. Georgia; no.42371/08, §77, ECtHR, 18/03/2021).

24. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლი ამომწურავად ადგენს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებს. მოცემულ შემთხვევაში საქმის შესწავლის შედეგად არ იკვეთება სააპელაციო სასამართლოს მიერსაქმის განხილვა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

25. საქმის მასალების შესწავლით ასევე არ დგინდება: გარემოება, რის გამოც მოცემულ საქმეს არსებითა მნიშვნელობა ექნებოდა სამართლის განვითარების ან მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; კასატორი არ უთითებს სამართლებრივ პრობლემაზე, რომელიც საჭიროებს საკასაციო სასამართლოს განმარტებას; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ენინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; საჩივრის განხილვის შედეგად არ არის მოსალოდნელი მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

26. ამდენად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრების დასაშვებობის არცერთი საფუძვლის არსებობა, საკასაციო საჩივრები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

27. საკასაციო სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-3², მე-3³, მე-4 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის განაჩენზე თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამ-

მართველოს პროკურორ ლევან ვეფხვაძის, ასევე მსჯავრდებულ
ა. ქ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ზ. ბ-სა და მსჯავრდე-
ბულ გ. ს-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. ს-ს საკასაციო
საჩივრები არ იქნეს დაშვებული განსახილელად;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული საკუთრების წილადები

ემედების გადაკვალიზიცირება ქურდობიდან ნივთის
დაზიანებაზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია

განაჩენი საქართველოს სახელით

№464აპ-23

15 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ფ-ს ინ-
ტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. დ-ს საკასაციო საჩივარი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის განა-
ჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. ფ-ს, – დაბადე-
ბულს 1.. წელს, – ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 19,177-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვა-
ლისწინებული დანაშაულის ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. ფ-ს მიერ ჩადე-
ნილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 12 მარტს, დაახლოებით 01:35 საათზე, ქ. თ., პ-ს გ-ს
№-ში მდებარე ტექნიკის მაღაზია „ე. ს-ი“ ბ. ფ-მ, კარის დაზიანე-
ბით, უკანონოდ შეაღწია და შეეცადა ფარულად, მართლსაწინააღ-
მდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მაღაზიაში განთავ-
სებულ ნივთებს, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 55 000 ლარს,

თუმცა იგი ადგილზე დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს მე-5 სამმართველოს თანამშრომლებმა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 დეკემბრის განაჩენით:

3.1. ბ. ფ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

3.2. ბ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საჯარელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების ალკოვთა;

3.3. მსჯავრდებულ ბ. ფ. ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა და-ენყო ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 12 მარტის 01:39 საათიდან.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ:

4.1. ბრალდების მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა ბ. ფ. ს მიერ, 2022 წლის 12 მარტს, დაახლოებით 01:35 საათზე, ქ. თ., პ-ს გ-ს №-ში მდებარე ტექნიკის მაღაზია „...-ი“ ქურდობის მცდელობა, ესე იგი, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით.

4.2. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა ბ. ფ. ს მიერ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მაღაზია „...-ს“ კუთვნილი დიდი ოდენობით ნივთის ფარული დაუფლების მცდელობის ფაქტი.

5. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა:

5.1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა ნინო მიქავამ მოითხოვა ბ. ფ. ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და თანაზომიერი სასჯელის განსაზღვრა;

5.2. მსჯავრდებულ ბ. ფ. ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. დ-მა მოთხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა და ბ. ფ. ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წე-სით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. ფ.ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – ვ. დ-მა, რომელიც ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას, ბ. ფ.ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნა-წილის „ბ“ ქვეპუნქტიდან საქართველოს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას და სასჯელის სახით 1 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარ-მოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდე-ბულ ბ. ფ.ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოე-ბათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განი-ხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემ-თხევებში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ადვო-კატმა ვ. დ-მა, რომელიც ითხოვს ბ. ფ.ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირდებას და მის-თვის სასჯელის სახით 1 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვე-თის განსაზღვრას.

3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის თანახმად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივ-თის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. პირის ქმედება რომ ქურდობად დაკვალიფიცირდეს, აუ-ცილებელია ქურდობისათვის დამახსიათებელი ყველა ნიშნის არ-სებობა, კერძოდ: 1. სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება; 2. ქმედე-ბის ფარული ფორმით ჩადენა და 3. მართლსაწინააღმდეგო მისა-კუთრების მიზნის არსებობა. ხოლო აღნიშნული დანაშაული დამ-თავრებულია ნივთის დაუფლების მომენტიდან.

4. მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოე-ბა, რომ 2022 წლის 12 მარტს, დაახლოებით 01:35 საათზე, ქ. თ., პ-ს გ-ს N-ში მდებარე ტექნიკის მაღაზია „...-ი“ ბ. ფ-მ დააზიანა კარი და შევიდა შიგნით, შუა დარბაზამდე მივიდა და დაბრუნდა უკან. მო-ცემულ შემთხვევაში დავის საგანია – მსჯავრდებულმა ბ. ფ.მ აღ-ნიშნული ქმედებით ჩაიდინა თუ არა საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული და-ნაშაული – ქურდობის მცდელობა საცავში უკანონო შეღწევით და ჰქონდა თუ არა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მი-

საკუთრების მიზნით ფარული დაუფლების განზრახვა.

5. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43). მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშნის – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების განზრახვის – არსებობა.

6. სასამართლო ითვალისწინებს ქ. თ- პ....ს გ....ს №-ში მდებარე მაღაზია „ე-დან“ გამოთხვილ ვიდეოჩანანერებს. პირველ ვიდეო-ჩანანერში ჩანს ქ. თ-., პ....ს გ....ს №-ში მდებარე მაღაზია „ე-ს“ შიდა სივრცე და მაღაზიაში შესასვლელი კარის ნანილი, ვიდეოში 01:59:57 საათზე მაღაზიის შესასვლელ კართან იყრება მიწს ნამსხვრევები, რის შემდეგაც მაღაზიაში შედის მამაკაცი, რომელსაც აცვია ლურჯი ჯინსის შარვალი, შავი ფეხსაცმელი და შავი ქურთუკი და აქვს შავი თმა (ჰაბიტსკეპიური და ფოტო-ვიდეო ტექნიკური ექსპერტიზის №..... დასკვნითა და ექსპერტ ვ. მ-ს ჩვენებით აღნიშნული პირი არის ბ. ფ.), რომელიც უვლის თაროებს წინ, შემდეგ ნახევარი დარბაზიდან ტრიალდება და 02:00:15 საათზე გადის მაღაზიიდან (ბ. ფ. ს მაღაზიაში ყოფნის ფაქტი დასტურდება ასევე ოდოროლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით (მხარეთა მიერ ცნობილია უდავოდ)), აღნიშნულით სრულდება ვიდეოჩანანერი. ხოლო მეორე ვიდეოჩანანერში ჩანს ქ. თ-ში პ....ს გ....ს №...ში მდებარე მაღაზია „ე. ს-ს“ წინა მხარე, ფეხით მოსიარულეთა ბილიკი, ვიდეოში 01:58:46 საათზე ჩანს მაღაზიის წინ ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე მოდის მამაკაცი, რომელსაც აცვია ლურჯი ჯინსის შარვალი, შავი ფეხსაცმელი და შავი ქურთუკი, აქვს შავი თმა. შემდეგ ისევ უკან ბრუნდება მაღაზიის შესასვლელ კართან. 01:59:55 საათზე ჩანს, რომ აღნიშნული პირი უცდად გარბის მაღაზიის შესასვლელ კართან და მინის კარს არტყამს მარჯვენა ფეხს, რის შემდეგაც ქვემოთ იყრება მინის ნამსხვრევები, შედის მაღაზიაში, საიდანაც გამოდის 02:00:17 საათზე. მაღაზიიდან გამოსვლისას აღნიშნული პირი ჩერდება მაღაზიის წინ ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე, შემ-

დეგ მოდიან მასთან პოლიციის თანამშრომლები, რის შემდეგაც სრულდება ვიდეოჩანანერი.

7. მოწმე მ. მ-ის ჩვენებით, 2022 წლის 12 მარტს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას თანამშრომელ დ. დ-თან ერთად. მოძრაობდნენ პ...ს გ...ზე. დაახლოვებით 01:30 სთ-ზე, ბ-ს ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე შეჩერდნენ, რა დროსაც გაიგონა მინის მსხვრევის ხმა, ავტომარტურად გაიხედა და დაახლოვებით ათ მეტრში დაინახა პ...ს გ...ს №....ში მდებარე ტელეფონების და აქსესუარების მაღაზიაში ახალგაზარდა მამაკაცის შესვლა. ერთად წავიდნენ მაღაზიის მიმართულებით, რა დროსაც ნახა მამაკაცი, რომელმაც წრე დაარტყა მაღაზიაში განთავსებულ მაგიდას, ეძებდა ნივთებს და ცდილობდა მათ აღებას. ამ მომენტში მამაკაცმა დაინახა მისკენ მიმავალი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, შეწყვიტა მოქმედება, გავიდა გარეთ და ცდილობდა გაქცევას, რა დროსაც დაკავავეს.

7.1. ანალოგიური ჩვენება მისცა მოწმე დ. დ-მაც.

8. საკავალიო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „პოლიციელთა ჩვენებები, ზოგადად, სანდო მტკიცებულებებია და არ არსებობს რაიმე a priori საფუძველი, რომ ამ უკანასკნელთა ჩვენებებს იმაზე ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე, მაგალითად, სხვა პირებისას. თუმცა, კიდევ ერთხელ, ხაზგასასმელია, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ პოლიციელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია აღეკვატური შემოწმების გარეშე იმთავითვე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს (საქართველოს საკონსტიტუცი სასამართლოს 2020წლი 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-102)

9. მტკიცებულების სანდოობის შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებების სრული და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ფუნქციაა (მუტატის მუტანდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). შესაბამისად, პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა და უტყუარობა უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე (მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №262აპ-17 გადაწყვეტილება; 2020 წლის 6 ოქტომბრის №355აპ-20 გადაწყვეტილება; 2021 წლის 10 მარტის №658აპ-20 გადაწყვეტილება). მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ იკვეთება პოლიციელთა მხრიდან მსჯავრდებულის მიმართ რაიმე დაინტერესება, მოწმე პოლიციელების ჩვენე-

ბებში მითითებული საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები არსებითად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებს, მათ შორის ქ. თ-ში პ...ს გ....-ს №...ში მდებარე მაღაზია „ე-დან“ გამოთხვილ ვიდეოჩანანერებს და მოწმე ვ. ძ-ის ჩვენებას. კერძოდ,

10. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულის წარმომადგენლის – ვ. ძ-ის ჩვენებას, რომ მაღაზიაში სადაც ბრალ-დებული შევიდა მოთავსებული იყო ძვირადლირებული ხმის გამაძლიერებლები და კომპიუტერები, მათი ღირებულება ჯამში დაახლოვებით 20 000 ლარს შეადგენდა, თუმცა წალებული არაფერი ყოფილა. მოწმის ჩვენების თანახმად, მაღაზიაში მარცხენა მხარეს მაგიდაზე განთავსებულია სამი კომპიუტერი, რომლითაც სარგებლობენ თანამშრომლები; მარჯვენა მხარეს დევს ხმის გამაძლიერებლები, რომლებიც არის მინის სპეციალურ მაგიდაში ჩალაგებული და არის ჩაკეტილი. შემდევ არის ვიტრინები და აქსესუარები, რომლებიც ასევე დაკეტილია. ვიტრინების კარი დაზიანებული არ ყოფილა.

11. მოწმე ვ. ძ-ს ჩვენების და ზემოაღნიშნულ ვიდეჩანანერებზე ასახული გარემოებების (ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის) და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს გათვალისწინებით, სასამართლო ვერ გაიზიარებს პოლიციელთა – მ. მ-ისა და დ. დ-ის ჩვენებებს. კერძოდ,

12. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გამოკვლეული ვიდეოჩანანერებით არ დგინდება ის ფაქტი, რომ ბ. ფ. ეძებდა ნივთებს და ცდილობდა მათ აღებას, რა დროსაც დაინახა პოლიციის თანამშრომლები, შენკვიტა მოქმედება, გავიდა გარეთ და ცდილობდა გაქცევას. აღნიშნული გარემოებების საწინააღმდეგოდ, ჩანაწერებით დგინდება, რომ ბ. ფ. მინის ჩამსხვრევის შემდეგ 8-9 წამში შედის მაღაზიაში, გადაადგილდება ისე, რომ არაფერს არც ეხება და არც იღებს, არ ცდილობს ვიტრინის კარების გახსნას ან/და ვიდეოფირში ასახული და მოწმე ვ. ძ-ს მიერ ჩვენებაში მითითებული ნივთებიდან რომელიმეს დაუფლებას/აღებას; საერთოდ არ უახლოვდება არც მაგიდას და არც ვიტრინას; მხოლოდ ათვალიერებს (უყურებებს) მაღაზიაში შუშის კარადაში თაროებზე განთავსებულ ნივთებს; მაღაზიის შუა ნაწილში წყნარად გადაადგილდება (დახლებიდან დისტანცირებულად), მიდის მაღაზიის შუა ნაწილამდე და ისე ბრუნდება უკან რომ არც რამე ნივთს ეხება და ვერც იმას ხედავს თუ რა ხდება ქუჩაში (სანამ არ შემობრუნდება) ამასთან მისი დაკავება პოლიციელების მიერ ხდება უკვე მას შემდეგ, რაც ის გამოსულია მაღაზიდან.

13. შესაბამისად, ვიდეოჩანანერში ასახული ვითარება არსები-

თად ეწინააღმდეგება მოწმე-პოლიციელების ჩვენებებს, რადგან არ დასტურდება არც ის რომ ბ. ფ. ეხებოდა რაიმე ნივთს ან შეეცა-და რომელიმე ნივთის აღებას, არც ის რომ მან შეწყვიტა მოქმედება (ნივთების დაუფლება) იმის გამო, რომ დაინახა პოლიციელები და არც ის რომ ის შეეცადა გაქცევას (გაქცევის მცდელობის ფაქტს საერთოდ არ ჰქონია ადგილი ვიდეოჩანანერის თანახმად). ბ. ფ. (ვი-დეოჩანანერის თანახმად) მხოლოდ უყურებს ნივთებს და გამო-დის მაღაზიიდან. ბ. ფ-მ შუშის ჩამტვრევას და მაღაზიაში შესვლა-გამოსვლას მოანდომა 23-24 წამი, გარეთ გამოსვლის შემდეგ კი აჩერებებ პოლიციის თანამშრომლები, ბ. ფ. არ ცდილობს არც გაქ-ცევას და არც წინააღმდეგობის განევას (ნივთიერი მტკიცებულე-ბის გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმადაც, „პირი შედის მაღაზიაში, რომელიც 02:00:17 საათზე გამოდის მაღაზიიდან, რა დროსაც მას უახლოვდება ორი პოლიციის თანამშრომელი, რომ-ლებიც აჩერებენ. აღნიშნული პირი ჩერდება მაღაზიის წინ ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე, შემდეგ მიდან მასთან პოლიციის თანამ-შრომლები, რის შემდეგაც სრულდება ვიდეოჩანანერი“).

14. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს – განსაკუთრებით, ოქმის იმ ნა-ნილს, რომელიც აღწერს მაღაზიაში ნივთების განლაგებას და სრულ შესაბამისობაშია როგორც მოწმე ვ. ძ-ს ჩვენებასთან, ასევე ზემო-აღნიშნულ ვიდეოფირზე ასახულ ვითარებასთან. ოქმის თანახმად, „კარის საშუალებით შევდივართ მაღაზიის დარბაზში, სადაც აღ-მოსავლეთ კედელთან მიდგმულია თაროები, რომლებზეც განლა-გებულია გასაყიდი პროდუქცია, დასავლეთ კედელთან მიდგმულია თაროები და საკიდები, რომლებზეც ასევე განთავსებულია გასა-ყიდი პროდუქცია. ჩრდილოეთ კედელთან დგას საჯარო დახლი, რომლის სათავსო უჯრები დახურულია, მაღაზიის დარბაზის თით-ქმის შუა ადგილზე დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით დგას ორი მაგიდა“.

15. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თა-ნახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადე-ნად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. დანაშაუ-ლის მცდელობის დროს იწყება ქმედების ობიექტური შემადგენ-ლობის განხორციელება, მაგრამ დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ ხერხდება მისი სისრულეში მოყვანა. განსახილველ შემთხვევაში ფაქტი, რომ ბ. ფ.ს განზრახვა მოიცავდა „ე-ს“ მაღა-ზიაში არსებული ნივთების დაუფლებას, წარმოდგენილი მტკიცე-ბულებებით დადასტურებული არ არის (ბ. ფ-ს არ დაუწყია ნივთე-ბის ძებნა და არ უცდია მაღაზიაში განთავსებული რაიმე ნივთის

აღება)

15.1. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოაღნიშნული ვიდეოფირით დგინდება, ბ. ფ-ს დაკავება განხორციელდა მას შემდეგ, რაც ის გამოვიდა მაღაზიდან, ამასთან, არ დასტურდება არც ის, რომ მაღაზიაში შესვლის შემდეგ ბ. ფ-მ დაინახა მისკენ მომავალი პოლიციელები და ამიტომ შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება, რადგან მაღაზიაში შესვლის მომენტიდან (მათ შორის, როდესაც ქუჩის მიმართ ზურგით იმყოფებოდა) ბ. ფ-ს არ უცდია რაიმე ნივთის დაუფლება (ასეთი შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად) და, როგორც უკვე აღინიშნა, შემოიფარგლა მხოლოდ მაღაზიაში არსებული ნივთების ყურებით.

16. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვემდგომი სასამართლოების პოზიციას ბ. ფ-ს მიერ განხორციელებული ქმედების საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით კვალიფიკაციის ნაწილში.

17. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს.

18. *in dubio pro reo* პრინციპი ავალდებულებს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებებს, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული ნინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონიერული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის ნინააღმდეგ“).

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გონიერულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს ბ. ფ-ს ბრალეულობას მისთვის შერაცხულ ქმედებაში.

20. საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურებისთვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელსაც გააჩნია მატერიალური ღირებულება. განადგურება გულისხმობს ნივთზე იმგვარ გარეგან ზემოქმედებას, რის

შედეგადაც წყდება მისი ფიზიკური არსებობა ან იგი გამოუსადე-გარი ხდება მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისთვის. დანა-შაულის ობიექტური მხარე შეიძლება განხორციელდეს მასზე მე-ქანიკური ან სხვა სახის ზემოქმედებით. ამასთან, რადგან დანაშა-ული მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება, მის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ნივთის მესაკუთრის ან სხვა კა-ნონიერი მფლობელისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, რაც საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, უნდა აღემატებოდეს 150 ლარს. ამასთან, დანაშაული შეიძლება ჩადენი-ლი იქნეს პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით და შესაბამი-სად, დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს რომ მართლსა-წინააღმდეგოდ აზიანებს ან ანაგურებს სხვის ქონებას, ითვალის-წინებდეს მის მართლსაწინააღმდეგო შედეგს და ან სურდეს ამ შე-დეგის დადგომა ან არ სურდეს, მაგრამ შეგნებულად უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს მის დადგომას.

21. სასამართლო ითვალისწინებს, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას ბ. ფ.ს საბოლოო სიტყვას, სადაც მან მიუთითა, რომ: 2022 წლის 12 მარტს იმყოფებოდა სტუმრად, რა დროსაც შეატყობინეს რომ მისი მამიდაშვილი გახდა ცუდად, მოხ-ვდა ავარიაში, რის გამოც ძალიან აღელდა, გავიდა გარეთ, სუფთა ჰაერზე (კადრებიც ადასტურებს როგორ ნერვულობს და ისე გა-დაადგილდება ქუჩაში); ნერვიულობის ნიადაგზე დაამტკრია ტექ-ნიკის მაღაზია; შიგნით დაუფიქრებლად, ინერციით შევიდა; მას ქუდობის არანაირი მოტივი და განზრახვა არ ჰქონია (რაც კად-რებშიც კარგად ჩანს); პროცესორის მტკიცება, რომ მან პოლიციე-ლები დაინახა, სცადა გამოსვლა, გაქცევა და მიმავლა – აბსურდუ-ლია, რადგან მას პოლიციელები არ შეუმჩნევია, გამოსვლისთანა-ვე, როდესაც დაინახა პოლიციელები, ასწია ხელები და ჩაბარდა; სხვას ვერაფერს დაამატებს – მან ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზია-ნება და არ ჩაუდენია ქუდობის მცდელობა.

22. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბ. ფ.-მ თავისი ქმედებით (ფეხი დაარტყა) გამოიწვია სხვისი ქონების (მაღაზია „ე-ს“ კარის) განადგურება (ჩამსხვერევა), რის გამოც აღნიშნული კარი გამოუსა-დეგარი გახდა შემდგომი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენე-ბისათვის და საჭირო გახდა მისი გამოცვლა. კერძოდ, შპს „ს-ს“ დი-რექტორ ვ. ქ-ს ნერილითა და მის მიერ პირველი ინსტანციის სასა-მართლოში მონმის სახით მიცემული ჩვენებით დგინდება, რომ 2022 წლის 12 მარტს, ქ. თ-ში, პ....ს გ...ს №...ში მდებარე შპს „.....ს“ საკუთ-რებაში არსებული მაღაზია „ე-ს“ შესასვლელი კარის ზედა და გვერ-დითა მინის ფასადების ჩამსხვერევით შპს „– ს-მ“ განიცადა ჯამში 1500 ლარის მატერიალური ზიანი (რასაც მხარეებიც არ ხდიან სა-

დავოდ). იმავდროულად, მოვლენათა განვითარების გარემოებები-დან გამომდინარე ბ. ფ-სთვის ობიექტურად ცნობილი იყო, რომ თავისი ქმედებით ახდენდა სხვისი ქონების განადგურებას.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების არგუმენტებს ბ. ფ.ს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალეულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით (მოწმე ვ. ძ-ს ჩვენებითა და წერილით, ვიდეოკამერის ჩანაწერის დათვალიერების ოქმითა და გამოთხოვილი ვიდეოჩანანერებით, ჰაბიტოსკოპიური და ფოტო-ვიდეო ტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნითა და ექსპერტ ვ. მ. ჩვენებით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის №..... დასკვნით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა, ბ. ფ.ს საბოლოო სიტყვით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ბ. ფ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

24. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლინია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდიციდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

25. საკასაციო სასამართლო ბ. ფ.ს მიმართ სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებს ასევე დაზარალებულ ვ. ძ-ს ჩვენებას, რომელმაც მიუთითა, რომ ბ. ფ.მ ითხოვა ზიანის ანაზღაურების გადანაწილება, რასაც ყოველთვიურად იხდის.

26. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს – ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე, გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე, შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან ხუთ წლამდე. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებე-

ბის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების (აღიარებს სხვისი ნივთის განზრას განადგურებას, დაზარალებულთან შეთანხმებით ეტაპობრივად იხდის მის მიერ ნივთის განადგურებით გამოწვეულ ზიანს, ჰყავს ოჯახი, დასაქმებულია, არ არის ნასამართლევი) მხედველობაში მიღებით ბ. ფ.ს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს მინიმუმთან მიახლოებული სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა - 1 წლითა და 7 თვით(იმავდროულად სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბ. ფ.-ს საქართველოს სსკ-ის 19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილს „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებისას განსაზღვრული ჰქონდა სასჯელის მინიმუმი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა), რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. ფ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის - ვ. დ-ის საკასაციო საჩივარი და კმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. ბ. ფ.-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს 187-ე მუხლის პირველ ნაწილზე;
4. ბ. ფ. დამნაშავედ იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს - 1 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა;
5. ბ. ფ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავებიდან - 2022 წლის 12 მარტიდან;
6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;
7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განერიება საქართველოს სახელით

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ

№310აპ-23

27 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თაღლაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის განაჩენზე თბილისის ვაკე-
საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ნა-
დირაძისა და მსჯავრდებულ თ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვო-
კატების – მ. ღ-ს და ნ. თ-ს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის
საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით:

1.1. თ. შ-ს, – დაბადებულს 19.. წელს, – ბრალად ედებოდა თაღ-
ლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვი-
სი ქონებრივი უფლების დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინას-
წარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, დანაშაული,
გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-
სის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 180-ე მუხლის მე-2 ნაწი-
ლის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.2. გ. შ-ს (ძებნილი), – დაბადებულს 19.. წელს, – ბრალად ედე-
ბოდა:

1.2.1. თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების
მიზნით სხვისი წივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი
ოდენობით, არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქარ-
თველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტე-
ბით;

1.2.2. თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების
მიზნით სხვისი წივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი
ოდენობით, არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქარ-
თველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტე-

ბით;

1.2.3. თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონებრივი უფლების დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით;

1.3. გ. პ-ს, – დაბადებულს 19.. წელს, – ბრალად ედებოდა თაღლითობაში დახმარება, ე.ი. დახმარება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებაში მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 24, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით თ. შ-ს, გ. შ-სა და გ. პ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 182-ე, 180-ე და 19, 180-ე მუხლებით ნასამართლებმა გ. შ-სემ თ. შ-სთან ერთად განიზრახა ნ. კ-ს კუთვნილ უძრავ ქონებაზე უფლების მოტყუებით მიღება. აღნიშნულის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. კ-ს აღუთქვეს დახმარება მისი კუთვნილი, ქ. თ-სი, ც-ს ქ. №..-ში მდებარე, იპოთეკით დატვირთული, ვალის – 33 000 აშშ დოლარის უზრუნველყოფის მიზნით აუქციონზე გატანილი ბინის შენარჩუნებაში. თ. შ-მ და გ. შ-მ, ბოროტად გამოიყენეს მისი ნდობა, მოტყუებით დაარწმუნეს ნ. კ-ი, რომ თ. შ-ე აუქციონზე საკუთარი სახსრებით შეიძენდა ბინას და გადააფორმებდა ნ. კ-ს სახელზე, შემდეგ აღნიშნული ბინის უზრუნველყოფით, ნ. კ-სა და თ. შ-ს შორის გაფორმდებოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და ნ. კ-ი შესაბამის ვადაში მოახდენდა თ. შ-სთვის დახარჯული თანხის გადახდას. 2011 წლის 13 ივნისს აუქციონზე თ. შ-სემ 81 000 აშშ დოლარად შეიძინა ნ. კ-ს კუთვნილი, ქ. თ-სი, ც-ს ქ. №..-ში მდებარე, 215 050 ლარის ღირებულების ბინა, რა თანხიდანაც ნ. კ-ს ბინის გადაფორმების შემდეგ მისთვის, საპროცენტო სარგებელთან ერთად ერთობლიობაში, სამი თვის განმავლობაში უნდა გადაეცა 42 000 აშშ დოლარი, თუმცა თ. შ-ს გ. შ-სთან ერთად წინასწარვე ჰქონდა გადაწყვეტილი ქონების მოტყუებით ხელში ჩაგდება, ბინა აღარ გადააფორმა ნ. კ-ს სახელზე. შესაბამისად, არც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმა 42 000 აშშ დოლარზე. დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ისინი დროის გაყვანისა და ზეპირი შეთანხმების საფუძველზე დადგენილი საპროცენტო სარგებლის გაზრდის მიზნით, მოტყუებით, სხვადასხვა მიზეზით არ აძლევდნენ ნ. კ-ს ბინის და მინის ნაკვეთის გაყიდვის საშუალებას. უფრო მეტიც, თითქოსდა

6. კ-სთვის ვალის დაფარვის მიზნით უძრავი ქონებით უზრუნველყოფის სანაცვლოდ ბანკიდან კრედიტის გარანტირებულად მიღებისთვის, თ. შ-მ 2012 წლის 23 მაისს, ნ. კ-ს თავის სახელზე ფიქტიურად – ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოტყუებით გადააფორმებინა ამავე მისამართზე – ქ. თ-სი, ც-ს ქ. №..-ში მდებარე ნ. კ-ს კუთვნილი, 137 000 ლარის ლირებულების 209 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თუმცა ამის შემდეგ არანაირი სესხი ბანკიდან მიწისა და ბინის უზრუნველყოფით არ აუღია. საბოლოოდ, 2012 წლის 9 სექტემბერს, თ. შ-მ და გ. გ-მ ნ. კ-სგან მალულად მოახდინეს თაღლითურად დაუფლებული, 352 000 ლარის ლირებულების ბინისა და მიწის ნაკვეთის ერთობლივად რეალიზაცია, საიდანაც ნ. კ-სთვის თანხა არ გადაუციათ. გ. გ-ს და თ. შ-ს თაღლითობის შედეგად ნ. კ-ს მიადგა 352 000 ლარის დიდი ოდენობის ქონებრივი ზიანი.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 182-ე, 180-ე და 19, 180-ე მუხლებით ნასამართლევმა გ. შ-მ, ისარგებლა თ. ფ-ს ნდობით და შესაბამისი მოგების სანაცვლოდ თანხის ტურისტულ ბიზნესში წილის სახით ჩადების, ასევე შესაბამისი მოგების მიღების სანაცვლოდ, 2010 წლის 21 იანვრიდან მოყოლებული, 2010 წლის განმავლობაში, პერიოდულად, ერთობლიობაში გამოიართვა 30 000 აშშ დოლარი, მაშინ, როცა მას არანაირი ტურისტული ბიზნესი არ გააჩნდა და არც შემდგომში წამოუწყია. თანხის გადაცემის დაფიქსირების მიზნით აღნიშნულთან დაკავშირებით თ. ფ-სა და გ. შ-ს მეუღლეს რ. ა-სეს შორის ოფიციალურად, 2010 წლის განმავლობაში ქ. თ-სი, ...ის ქ. №..-ში მდებარე ნ. უ-ს სანოტარო ბიუროში გაფორმდა სესხის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც, თ. ფ-სმა რ. ა-ს, თითქოსდა შესაბამისი ყოველთვიური საპროცენტო სარგებლის მიღების სანაცვლოდ სესხის სახით გადასცა ერთობლიობაში 30 000 აშშ დოლარი. ვინაიდან რამდენიმე თვეში თ. ფ-მა მოსთხოვა შეპირებული ბიზნესის წილის და მოგების გადაცემა ან გადაცემული თანხის უკან დაბრუნება, გ. შ-ს მითითებით გ. პ-მა მისთვის თაღლითობაში დახმარების განევის მიზნით, თ. ფ-ი შეიყვანა შეცდომაში, თითქოსდა გ. შ-მ ფული გადასცა გ. პ-ს კუთვნილ ფირმას – შპს „რ-ს“, ქ. თ-სი, ქ-ს ქ. №..-ში სამშენებლო საქმიანობის სანარმოებლიად და თ. ფ-ს პირადად, როგორც მშენებლობის მწარმოებელმა, აღუთქვა 30 000 აშშ დოლარის და საპროცენტო სარგებლის გადახდა ზემოაღნიშნულ მშენებლობაზე მოზიდული თანხებიდან. ამის დასტურად კი გაუფორმა 2011 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული შეთანხმება/შეტყობინება, ასევე 2011 წლის 12 ოქტომბრის საგარანტიო ხელშეკრულება, მაშინ, როცა რეალურად მითითებულ პერიოდში შპს „რ-ა“ აღარ ანარმოებდა ხსენებულ მისამარ-

თზე რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოებს და უფრო მეტიც, 2011 წლის 26 იანვრიდან, მათ შორის შეთანხმების გაფორმების ეტაპზეც, შპს „რ-ს“ დირექტორს წარმოადგენდა თავად გ. შ-ე. საბოლოოდ, გ. შ-ს და გ. პ-ს თ. ფ-სთვის არც ბიზნესში წილი და არც შესაბამისი მოგება გადაუციათ, არც ძირითადი თანხა დაუბრუნებიათ და 2014 წლის სექტემბრის თვიდან, არც საპროცენტო სარგებელი გადაუხდიათ. გ. შ-ს ზემოაღნიშნული თალღითობის შედეგად, რაშიც დახმარება გაუწია გ. პ-მა, თ. ფ-ს მიადგა დაახლოებით 68 400 ლარის (30 000 აშშ დოლარი) დიდი ოდენობის ქონებრივი ზიანი.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 182-ე, 180-ე და 19, 180-ე მუხლებით ნასამართლებრივი გ. შ-მ, სურდა რა გ. ფ-ს ფულის თაღლითურად დაუფლება, გამოიყენა მისი ნდობა, აღუთქვა დახმარება იპოთეკით დატვირთული ბინის შენარჩუნების მიზნით ახალი იპოთეკარის მოძიებაში. გ. შ-მ მოიძია მ. პ-ს წარმომადგენელი გ. ე-აა, თუმცა გ. ფ-ი მოატყუა და დაყოლია სესხის სახით მისთვის საფრირო თანხაზე მეტი – 50 000 აშშ დოლარის აღებაზე იმ მოტოვით, თითქოს მ. პ-სა და მისი წარმომადგენელი გ. ე-ა თანახმა არ იყვნენ 50 000 აშშ დოლარზე ნაკლები თანხის სესხის სახით გაცემაზე. შესაბამისად, გ. ფ-ი იძულებული გახდა დათანხმებოდა გ. შ-ს შეთავაზებას. სესხის სახით 50 000 აშშ დოლარის აღების შემდეგ გ. შ-მ, იცოდა რა, რომ გ. ფ-ს ვალის გასტუმრების შემდეგ რჩებოდა 12 000 აშშ დოლარი, აღნიშნული თანხა სხვადასხვა პირადი მიზეზით, ვითომდა სესხის სახით გამოართვა 2 ეტაპად, კერძოდ: 2010 წლის 16 მარტს ქ. თ-სი, ...ის ქ. №..-ს მიმდებარე ტერიტორიაზე გამოართვა 6000 აშშ დოლარი, ხოლო 2010 წლის 18 მარტს დარჩენილი – 6000 აშშ დოლარი. გ. შ-ს ზემოაღნიშნული ქმედებით გ. ფ-ის მიადგა დაახლოებით 20 760 ლარის (12 000 აშშ დოლარი) დიდი ოდენობის ქონებრივი ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 დეკემბრის განაჩენით:

3.1. გ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.1.1. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (თ. ფ-ს ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 3 თვით;

3.1.2. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (გ. ფ-ს ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 7

ნლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 3 თვით;

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ნ. კ-ს ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

3.1.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, გ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

3.1.5. გ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის დრო – 2015 წლის 25 ივნისიდან – 2015 წლის 28 ივნისის ჩათვლით;

3.1.6. გ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადა უნდა აეთვალის განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;

3.2. ო. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – ჯარიმა 60 000 ლარი;

3.3. გ. პ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 24, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

3.3.1. საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, გ. პ-ს განემარტა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

4. აღნიშნულ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაცვისა და ბრალდების მხარეებმა, კერძოდ:

4.1. პროეუროორმა გიორგი ნადირაძემ მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და გამართლებულ გ. პ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 24, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო მსჯავრდებულების – თ. შ-ს და გ. შ-ს მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება.

4.2. მსჯავრდებულ გ. შ-ს ადვოკატმა კ. მ-მ (მსჯავრდებულის თანხმობით) და თ. შ-ს ადვოკატებმა – მ. ღ-მ და ნ. თ-მა მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გ. შ-სისა და თ. შ-სის უდა-

ნაშაულოდ ცნობა.

4.3. პროექტორის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინათ. შ-ს ადვოკატმა მ. ღ-მ და მოითხოვა, რომ არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი.

4.4. პროექტორის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა ასევე გამართლებულ გ. პ-სა და მსჯავრდებულ გ. შ-ს ადვოკატმა კ. მ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გ. პ-ს მიმართ უცვლელად დატოვება, ხოლო გ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენისაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროერატურის პროექტორობა გიორგი ნადირაძემ და მსჯავრდებულ თ. შ-ს ადვოკატებმა მ. ღ-მ და ნ. თ-მა, კერძოდ:

6.1. პროექტორი ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას: გამართლებულ გ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 24,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნობას, ხოლო მსჯავრდებულების – თ. შ-ს და გ. შ-ს მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

6.2. ადვოკატები მ. ღ-მ და ნ. თ-ი ითხოვენ თ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობას.

6.3. პროექტორის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინათ. შ-ს ადვოკატმა მ. ღ-მ და მოითხოვა, რომ არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი.

7. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოდან 2023 წლის 4 აპრილს საქმეზე დასართავად შემოვიდა გამართლებულ გ. პ-სა და მსჯავრდებულ გ. შ-სის ადვოკატის – კ. მ-ს განცხადება და პროექტორის საკასაციო საჩივარზე პოზიცია, რომელიც, თავისი მხრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში შესულია – 2023 წლის 28 მარტს; აღნიშნული დოკუმენტაციის თანახმად, ადვოკატი, ერთი მხრივ, ითხოვს – არ დაკმაყოფილდეს პროექტორის საკასაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი გ. პ-ს ნაწილში დარჩეს უცვლელი, ხოლო, მეორე მხრივ – ითხოვს მსჯავრდებულ გ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობას.

7.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულ გ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობის მოთხოვნით, მითითებული დოკუმენტი (პოზიცია პროექტორის საჩივარზე) სასამართლოში წარდგენილია საქართველოს სსკ-ის 302-ე მუხლით გათვალისწი-

ნებული გასაჩივრების ვადის დარღვევით – საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს მასზე, როგორც საკასაციო საჩივარზე;

7.1.1. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ადვოკატის მითითებული განცხადება/პოზიცია, თავისი შინაარსით არის შესაგებელი, ხოლო მსჯავრდებულ გ. შ-სთან მიმართებით მოთხოვნა გამართლების შესახებ (მითუფრო იმ პირობებში, როდესაც იმავდროულად არ არის წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი) ცდება შესაგებლის მოთხოვნის ფარგლებს. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი გ. შ-ს წერილობითი მოთხოვნა მინი მონაწილეობის გარეშე განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

7.2. სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ გასაჩივრებული განაჩენის თანახმად, მსჯავრდებულ გ. შ-ს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია მის დაუსწრებლად, უფლება აქცის განაჩენი გასაჩივროს ერთი თვის ვადაში დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოში გამოცხადების მომენტიდან, ან განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული მოითხოვს საკასაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

7.3. აღნიშნულს გამო სასამართლო ადვოკატ კ. მ-ს შესაგებელს ითვალისწინებს მხოლოდ გ. პ-ს მიმართ პროკურორის საკასაციო საჩივრის ნაწილში.

8. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-71 მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების შიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ აღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

9. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრებს: პროკურორმა, რომელიც ითხოვს გამართლებულ გ. პ-ს საქართვე-

ლოს სსკ-ის 24,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დამ-ნაშავედ ცნობას, ხოლო მსჯავრდებულების – თ. შ-ს და გ. შ-ს მი-მართ უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას; ადვოკატებმა – მ. ღ-მ და ნ. თ-მა, რომლებიც ითხოვენ თ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობას; იმავდროულად, ადვოკატი მ. ღ-მ შესაგებლით ითხოვს, რომ არ დაკ-მაყოფილდეს ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი, ხოლო გა-მართლებულ გ. პ-ს ადვოკატი კ. მ-ე ითხოვს, რომ არ დაკმაყოფილ-დეს პროკურორის საკასაციო საჩივარი.

9.1. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია იმ საკით-ხის გარკვევა: მსჯავრდებულმა თ. შ-მ და გამართლებულმა გ. პ-მა ჩაიდინეს თუ არა დანაშაულები, ასევე კანონიერია თუ არა გ. შ-ს (პროკურორის საკასაციო საჩივრის ფარგლებში) და თ. შ-ს მიმართ დაინიშნული სასჯელები.

10. ბრალდების მხარემ საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ გ. პ-ს გამართლების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ საქმეში არ-სებულ მტკიცებულებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფა-სება და ამ ნაწილში დასაბუთების გარეშე გამოიტანა გამომართლე-ბელი განაჩენი, ასევე გასაჩივრებული განაჩენი თ. შ-ს და გ. შ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის ნაწილში არ არის კანონიერი, ვი-ნაიდან გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულების ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

11. ადვოკატების – მ. ღ-სა და ნ. თ-ს მტკიცებით თ. შ-ე არის უდანაშაულო და სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამო-ტანისას დაეყრდნო დაზარალებულად ცნობილი ნ. კ-ს არათანმიმ-დევრულ და აბსურდულ ჩვენებას; ადვოკატებმა საკასაციო საჩი-ვარში მიმოიხილეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიუთითეს, რომ მსჯავრდებულს არ მოუტყუებია ნ. კ-ი და მარ-თლსაწინააღმდეგოდ არ დაუფლებულა სადავო უძრავ ქონებას, რაც ქმედების თაღლითობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილე-ბელი კომპონენტებია; მსჯავრდებულს არაფერი უყიდია ან/და გა-მოურთმევია დაზარალებულისათვის, მან სახელმწიფოს მიერ ჩა-ტარებული აუქციონის ფარგლებში იყიდა სადავო უძრავი ქონება. იმავდროულად, შეეძლო დამოუკიდებლად შეეძინა აღნიშნული ქო-ნება, ისე, რომ დაზარალებულისათვის არცერი ეთქვა; საბოლოოდ თ. შ-მ დაზარალებულთან ურთიერთობის შედეგად, მის მიერ განე-ული ხარჯებით, ბევრად მეტი ზიანი ნახა, ვიდრე სარგებელი, კერ-ძოდ, უფრო მეტი თანხა დახარჯა, ვიდრე ქონების გასხვისებით მიიღო; დაზარალებულს არათუ შეთანხმებულ – 3 თვის ვადაში, არამედ 1 წლისა და 2 თვის ვადაშიც არ მიუტანია თანხა – ვალი; ნ. კ-სთან შეთანხმდა აუქციონის შემდგომ სახლის გამოსყიდვაზე და

მათ შორის იპოთეკაზე არანაირი საუბარი არ ყოფილა.

12. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას თ. შ-ს უდანაშაულობისა და იმის შესახებ, რომ მას ნ. კ-ი არ მოუტყუებია და მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის – დაზარალებულის ჩვენებით, იპოთეკარმა ი. ვ-მ მოითხოვა ნ. კ-ს ქონების იძულებით აუქციონზე გატანა და სწორედ ამ აუქციონში მონაწილეობის გზით გახდა თ. შ-ე ქონების მესაკუთრე, სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ დაზარალებულის, ასევე მოწმეთა ჩვენებების და საქმეზე წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების ერთობლიობით დასტურდება, რომ გ. შ-მ თ. შ-სთან ერთად გამოიყენეს ნ. კ-ს ნდობა, მოტყუებით დაარწმუნეს, რომ თ. შ-სე აუქციონზე საკუთარი სახსრებით შეიძენდა ნ. კ-ს კუთვნილ ბინას და გადაუფორმებდა ნ. კ-ს, რის შემდეგაც აღნიშნული ბინის უზრუნველყოფით ნ. კ-სა და თ. შ-ს შორის გაფორმდებოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და ნ. კ-ი შესაბამის ვადაში გადაუხდიდა თ. შ-ს დახარჯულ თანხას.

12.1. სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას, რომ თ. შ-ე ნ. კ-სთან შეუთანხმდა აუქციონის შემდგომ სახლის გამოსყიდვაზე და მათ შორის იპოთეკაზე საუბარი არ ყოფილა, ვინაიდან მხარეებს შორის აღნიშნული შეთანხმება დასტურდება არამხოლოდ დაზარალებულ – ნ. კ-ს ჩვენებით, არამედ მოწმეების – ე. კ-ს, რ. დ-ს, მ.ლ-ს, ა. ჟ-ს, ს. კ-სა და მ. ც-ს ჩვენებებით. მათ შორის – გ. შ-ს ადვოკატის რ. დ-ის განმარტებით, ბინა აუქციონზე შექრის შემდეგ უნდა გადაფორმებულიყო ნ. კ-ს სახელზე და უნდა დატვირთულიყო იპოთეკით თ. შ-ს სასარგებლოდ, ხოლო ნ. კ-სს თ. შ-სთვის უნდა გადაეხადა პროცენტი; მოწმე ბ. ჭ-ს განმარტებით, აუქციონის დასრულებისას ოფისში დამსწრე პირებს შორის შედგა საუბარი, რომ აუქციონის თანხის ჩარიცხვის შემდეგ სახლი ნ. კ-ს სახელზე გადაფორმდებოდა და დაიტვირთებოდა იპოთეკით. ასევე, მოწმეები ა. ჟ-ა, ს. კ-ე და მ. ც-ი აუქციონის დასრულების შემდეგაც ესწრებოდნენ გ. შ-ს, თ. შ-ს და ნ. კ-ს შეხვედრებს, რა დროსაც ნ. კ-ი გ. და თ. შ-ებს სთხოვდა სახლის გადაფორმებას. ისინი კი პასუხობდნენ, რომ არ ენერვიულა, აუცილებლად გადაუფორმებდნენ.

12.2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ გ. შ-სე ნდობაში შევიდა ნ. კ-სთან და თ. შ-სთან ერთად აღუთქა დახმარება მისი კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული, აუქციონზე გატანილი ბინის შენარჩუნებაში. კერძოდ, მსჯავრდებულებმა ნ. კ-ი დაარწმუნეს, რომ თ. შ-ე აუქციონზე საკუთარი სახსრებით შეიძენდა ბინას და გადააფორმებდა ნ. კ-ს სა-

ხელზე. აღნიშნულის შემდეგ, ხსენებული ბინის უზრუნველყოფით, 6. კ-სა და თ. შ-ს შორის გაფორმდებოდა სესხისა და იპოთეკის ხელ-შეკრულება და 6. კ-ი შესაბამის ვადაში თ. შ-ს გადაუხდიდა დახარ-ჯულ თანხას, თუმცა თ. შ-მ და გ. შ-მ, ნინასწარი შეთანხმებით მო-ატყუეს დაზარალებული და 2011 წლის 13 ივნისს აუქციონზე შე-ძენილი ბინა აღარ გადაუფორმდეს 6. კ-ს (შესაბამისად, მათ შორის ვერც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა 42 000 აშშ დოლარზე, რომელიც დაზარალებულს 3 თვის განმავლობაში უნდა გადაეცა თ. შ-სათის, ბინის მისთვის გადაფორმების შემდეგ) და დროის გაყვანით ზეპირი შეთანხმების საფუძველზე დადგენილი საპროცენტო სარგებლის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა მიზეზით არ მისცეს 6. კ-ს ბინისა და მინის ნაკვეთის გაყიდვის საშუალება. საბოლოოდ, 2012 წლის 9 სექტემბერს, თაღლითურად დაუფლე-ბული ბინა და მინის ნაკვეთი 6. კ-სგან მაღლულად გაიყიდა.

12.3. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ნარმოდგენილი მტკი-ცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება თ. შ-ს მიერ ბრალად ჩარდგენილი ქმედების ჩადენა.

13. რაც შეეხება 6. კ-ს ქონების ღირებულებას, საკასაციო სასა-მართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის 8 სექტემ-ბრის დასკვნით შეუძლებელია უტყუარად დადგინდეს 6. კ-ს კუთ-ვნილი სახლისა და მინის ნაკვეთის ღირებულება, მათ შორის, იმ გარემოების გამო, რომ 6. კ-ს სახლის შეფასება მოხდა 2015 წლის მდგომარეობით, ხოლო განსახილველი დანაშაული ჩადენილია 2011-2012 წლების პერიოდში. ექსპერტმა მ. გ-მ დაადასტურა, რომ 2012 წლის მდგომარეობით სახლის ღირებულების დასადგენად სა-ჭიროა კვლევის ახლიდან ჩატარება. აღნიშნულის მიუხედავად, სა-კასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მო-ტივაციას, რომ ექსპერტიზის დასკვნებით, მოწმეთა, მათ შორის – აუქციონში მონაბილე პირთა ჩვენებებით, უძრავი ქონების ნასყი-დობის ხელშეკრულებებით და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთ-რებულ ქონების სახეობისა და ოდენობის გათვალისწინებით, ეჭვს არ იწვევს, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდე-ნობა მნიშვნელოვნად აღემატება სისხლის სამართლის კოდექსით დიდი ოდენობის დაფლენისათვის განსაზღვრულ 10 000 ლარს (ის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 28 მარტის №1001აპ-21 განაჩენი).

14. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს პროკურო-რის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და გ. პ-ს მიმართ დასაბუთების გარეშე გამოიტანა გამამართლებელი

განაჩენი. ბრალდების მხარე გამართლებულს ედავება დაზარალებულ თ. ფ-ს კუთვნილი დიდ ოდენობით ქონების მოტყუებით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში გ. შ-სათვის დახმარებას.

14.1. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში არ მსჯელობს ძებნილ გ. შ-ს მსჯავრდების შესახებ, თუმცა, გ. პ-ს გამართლების ნაწილში ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და იზარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ მოტყუება, როგორც თაღლითობის ჩადენის ხერხი, ნინ უნდა უსწრებდეს დანაშაულს, დაზარალებულის მიერ ქონების გადაცემამდე უნდა მოხდეს მისთვის რეალობის დამახინჯება და ამ გზით დანაშაულის ჩადენის გამარტივება. მოცემულ შემთხვევაში ტურისტული ბიზნესიდან მოგების მიღების სურვილით დაზარალებულმა თ. ფ-მა გ. შ-ს საკუთარი ნებით გადასცა საერთო ჯამში 30 000 აშშ დოლარი 2010 წლის 21 იანვრიდან 2010 წლის 23 ივნისის ჩათვლით პერიოდში. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები კი ირჩებადაც არ მიუთითებს ამ პერიოდში გ. პ-სა და გ. შ-ს შეთანხმებულად მოქმედებაზე, რომ მსჯავრდებულს გაადვილებოდა დაზარალებულის კუთვნილი ქონებს მისაკუთრება; საქმეში არსებული მტკიცებულებებით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ამ დროისათვის გ. პ-ი მსჯავრდებულს დაეხმარა ან ალთქვა დახმარება დანაშაულის ჩადენაში; გ. შ-ს მიერ მსჯავრად შერაცხული დანაშაულის დასრულებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, გ. პ-ს მიერ დაზარალებულ თ. ფ-ს წინაშე ვალის აღიარება და ამ ვალის დაბრუნების უზრუნველსაყოფად გარკვეული ხელშეკრულებების გაფორმება, არ წარმოადგენს თაღლითობაში დახმარებას.

14.2. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დასტურდება გ. პ-ს მიერ მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა.

15. რაც შექება კასატორი ბრალდების მხარის პოზიციას სასჯელის დამძიმების ნაწილში, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილე-

ბა „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

15.1. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ინდივიდუალური მახსასიათებლები და განსაზღვრა სასჯელი, რომელიც შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას) და შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია.

15.2. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის – ჯარიმის – განსაზღვრა არ გულისხმობს სასჯელის უსამართლობას და ვერ უგულებელყოფს მის როლს სასჯელის მიზნების მიღწევაში, მითუფრო, რომ ბრალდების მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სასჯელის უსამართლობას, პრევენციის ან რესოციალიზაციის მიზნებთან შეუსაბამობას, რის საფუძვლზეც შესძლებელი იქნებოდა სასჯელის დამძიმება.

16. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლი ამომწურავად ადგენს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებს. მოცემულ შემთხვევაში საქმის შესწავლის შედეგად არ იკვეთება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

17. საქმის მასალების შესწავლით ასევე არ დგინდება: გარემოება, რის გამოც მოცემულ საქმეს არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამართლის განვითარების ან მსგავს საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; კასატორი არ უთითებს სამართლებრივ პროცედურაზე, რომელიც საჭიროებს საკასაციო სასამართლოს განმარტებას; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ენინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; საჩივრის განხილვის შედეგად არ არის მოსალოდნელი მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

18. ამდენად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინე-

ბული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის არცერთი საფუძვლის არ-სებობა, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

19. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „როდესაც საკასაციო სა-სამართლო უარს ამბობს საჩივრის დასაშვებობაზე, ვინაიდან სა-ჩივარი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვ-ნებს და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამარ-თლებრივი საფუძვლები, მცირე დასაბუთებამაც შეიძლება დააკ-მაყოფილოს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები“ (Kadagishvili v Georgia, no. 12391/06, §175, ECtHR, 14/05/2020); იმის გათვალისწინე-ბით, რომ მომჩივნის რელევანტური არგუმენტები განიხილა ქვე-და ორი ინსტანციის სასამართლომ, მომჩივნის საკასაციო საჩივ-რის დაუშვებლად ცნობა ვერ იქნება მიჩნეული სასამართლოს ხელ-მისაწვდომობის უფლებაზე დაწესებულ არაპროპორციულ შეზ-ღუდვად (Tortladze v. Georgia; no.42371/08, §77, ECtHR, 18/03/2021).

20. საკასაციო სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხ-ლის მე-3, მე-3², მე-3³, მე-4 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერ-ვლის განაჩენზე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკუ-რატურის პროკურორ გიორგი ნადირაძისა და მსჯავრდებულ თ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ღ-ს და ნ. თ-ს საკასა-ციო საჩივრები არ იქნეს დაშვებული განსახილველად;

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ნარკოტიკული დანაშაული

**ნარკოტიკული საშუალების უკანონო მექანიზმის და
მეთავა, ჩაღიცილი ცინას დარიგებით ჯგუფის
მიერ გასესაკუთრებით დიდი ოდენობით**

განაჩენი საქართველოს სახელით

№280აპ-23

9 აგვისტო, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),

შ. თადუმაძე,

მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოიიბის საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ შმაგი გობეგვისებილისა და მსჯავრდებულ კ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ა. შ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით:

1.1. კ. ა-ს, - დაბადებულს 1... წელს, - ბრალად ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით;

1.2. ნ. კ-ს – დაბადებულს 1... წელს, - ბრალად ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით;

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით კ. ა-სა და ნ. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ა-მა წინასწარი შეთანხმებით ნ. კ-სთან ერთად, უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება – კოკაინი (ფუძე), წონით 797,2514 გრამი. კერძოდ: 2019 წლის 5 თებერვალს ნ. კ-ებ ქ. ქ-სი, დ. ა-ის გამზირი №... ში განთავსებულ „ს-ს“ შენობაში, საკონტროლო მიწოდების ფარგლებში აიღო მის სახელზე არსებული გზავნილი – ნარკოტიკული საშუალება კოკაინი (ფუძე), წონით 797,2514 გრამი, რაც შემდგომში გადასცა ჯ. ა-ს.

აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება, იმავე დღეს – 2019 წლის 5 თებერვალს, ქ. ქ-სი, დ. ა-ის გამზირი №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს ჯ. ა-ს მიმართ ჩატარებული პირადი ჩერეკის შედეგად.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ნოემბრის განაჩენით:

3.1. საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის შმაგი გობეჯიშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა;

3.1.1. დამტკიცდა 2019 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ შმაგი გობეჯიშვილს (ზემდგომი პროკურორის ბესიკ თხელიძის თანხმობით) ბრალდებულ ნ. კ-სა და ადვოკატ ვ. მ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება;

3.1.2. 6. კ-ე (პ№....) ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 9 თვით;

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ძირითადი სასჯელიდან ნაწილი – 9 თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 6 წელი, საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, პირობით არ იქნა გამოყენებული და გამოსაცდელ ვადად 6. კ-ს განესაზღვრა 6 წელი;

3.1.4. 6. კ-ს მოხდილ სასჯელში ჩატავალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2019 წლის 5 თებერვლიდან 2019 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით და პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, 6. კ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან, სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

3.1.5. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, 6. კ-ს როგორც ნარკოტიკიკული საქმიანობის ხელშემწყობ პირს, 5 წლით ჩამოერთვა: სა-

ადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექნის, შენახვისა და ტარების უფლება, 10 წლი ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

3.1.6. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-41 ნაწილის საფუძველზე, ნ. კ-ს 2 ნლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

3.2. ჯ. ა. (პირადი ნომრის გარეშე) ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 12 ნლით;

3.2.1. ჯ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დროიდან – 2019 წლის 5 იანვრიდან;

3.2.2. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ჯ. ა-ს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობ პირს, 5 ნლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექნის, შენახვისა და ტარების უფლება, 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ნ. კ-ს და ჯ. ა-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ნოემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღმოიფხვრა არსებული უზუსტობა და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მიეთითა – „სასჯელის მოხდის ვადის ათვლა ჯ. ა-ს დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების ზუსტი დროიდან, კერძოდ 2019 წლის 05 თებერვლის 18 საათი და 45 წუთიდან.“

5. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ჯ. ა-ს ადვოკატებმა – ზ. რ-მა, შ. ხ-მ, დ. ს-ემ, რომლებმაც

მოითხოვეს მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობა, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში დატოვების შემთხვევაში მძიმე ქრონიკული პაციენტის გამო, გამოჯანმრთელებამდე, ჯ. ა-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის გადავადება.

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგნიტოს ტერიტორიული ორგანოს აჭარისა და გურიის პრობაციის ბიუროს უფროსის მ. თ-ს აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის აღსრულების დამთავრების შესახებ შეტყობინების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის საფუძველზე 6. კ-ს დანიშნული სასჯელი – 6 წელი შეუმცირდა $\frac{1}{4}$ -ით და განესაზღვრა პირობითი მსჯავრი 4 წლითა და 6 თვით; 6. კ-ს მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის 2022 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით, გაუქმდა პირობითი მსჯავრი და მოქალაქეს ნასამართლობა, რის საფუძველზეც „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მის მიმართ სააღსრულების წარმოება დასრულდა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 ნოემბრის განაჩენში ჯ. ა-ს მიმართ შევიდა ცვლილება;

7.1. ჯ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

7.2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შემცირდა $\frac{1}{4}$ -ით და ჯ. ა-ს საბოლოოდ მოსახდელი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით;

7.3. ჯ. ა-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2019 წლის 5 იანვრიდან;

7.4. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჯ. ა-ს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობის პირს, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიუ-

რი საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით ჩამოერთვა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

8. **თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 13 თებერვლის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში გასწორდა დაშვებული უზუსტობა და სარეზოლუციო ნაწილის მეხუთე აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ჯ. ა-ს სასჯელის ვადის ათვლა დაწყოს დაკავების დღიდან, 2019 წლის 5 თებერვლიდან“.**

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

9.1. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ შმაგი გობეჯიშვილი ითხოვს, რომ ცელილება შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში და ჯ. ა-ს მიმართ არ იქნეს გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი;

9.2. ჯ. ა-ს ადვოკატი ა. შ-ი ითხოვს მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობას.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 24 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ ჯ. ა-ს განცხადება (შუამდგომლობა) დაკმაყოფილდა და ინტერესების დასაცავად გამოეყო ადვოკატი, სახელმწიფოს ხარჯზე.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ ჯ. ა-ს შუამდგომლობა გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ დაკმაყოფილდა და აღდგენილი იქნა თბილისი სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენის საკასაციო წესით გაასაჩივრების გაცდენილი ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ჯ. ა-ს ადვოკატის – ა. შ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორ შმაგი გობეჯიშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-71 მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართვე-

ლოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოს უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ., Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

3. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს დაცვისა და ბრალდების მხარეებმა, კერძოდ: მსჯავრდებულის ადვოკატმა, რომელიც ითხოვს ჯ. ა-ს უდანაშაულოდ ცნობას და პროკურორმა, რომელიც ითხოვს, რომ მსჯავრდებულის მიმართ არ იქნეს გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი. შესაბამისად, მხარეებს შორის დავის საგანია, ჩაიდინა თუ არა ჯ. ა-მა მსჯავრად შერაცხული დანაშაული, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით და მისი ჩადენის დადასტურების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს თუ არა მის მიმართ ამნისტიის მითითებული კანონი.

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ საქმეში წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებით, დათვალიერების აქტით, ქიმიური, ჰაბიტოსკოპიური, ფოტო-ვიდეო და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებით, პირადი ჩსრეკის ოქმით, ვიდეო-აუდიო მასალითა და ნერილობითი მტკიცებულებებით არ დასტურდება ჯ. ა-ს მიერ მსჯავრად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება დაცვის მხარის მოთხოვნას მსჯავრდებულის უდანაშაულობის შესახებ და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და ნარმოდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა და გასაჩივრებულ განაჩენში მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებმაც ჯ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდება განაპირობა. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარემ თბი

ლისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა, მათ შორის – იმავე (იდენტურ) არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივარშია ჩამოყალიბებული. გასაჩივრებულ განაჩენში კი დეტალური მსჯელობაა წარმოდგენილი, დაცვის მხარის ყველა არგუმენტზე, შესაბამისად, სასამართლოს მიზანშენილად არ მიაჩინა გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული იმ არგუმენტების გამეორება, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება.

5. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს: ნ. კ-ს ჩვენებას, რომლის თანახმად, მან დაადასტურა, რომ მის სახელზე გამოგზავნილი და ფოსტიდან მისი საშუალებით გამოტანილი ამანათი, რომელშიც იყო ნარკოტიკული საშუალება, ეკუთვნოდა ჯ. ა-ს; ჯ. ა-ს აქტიურ მონაწილეობას ფოსტიდან ამანათის (რომელშიც მოთავსებული იყო ნარკოტიკული საშუალება) აღებაში, რასაც სადავოდ არ ხდის დაცვის მხარეც, იმავდროულად, აღნიშნული დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ფოსტის თანამშრომელმა და გამომძიებლებმა დაადასტურეს, რომ მართალია ფოსტაში ნ; კ-ემ მოითხოვა მის სახელზე არსებული ამანათი, მაგრამ ის უშუალოდ ჯ. ა-მა გამოართვა ფოსტის თანამშრომელს და ნ. კ-ემ მხოლოდ მის ჩაბარებაზე მოაწერა ხელი. ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების – „ფარული ვიდეო-აუდიოჩანერის“ შედეგად მოპოვებული მასალითა და პირადი ჩერეკის ოქმით დგინდება, რომ ამანათი ჰქონდა პირადად ჯ. ა-ს ფოსტიდან გამოსვლისას და შემდგომაც, ვიდრე გამომძიებლებმა არ შეაჩერეს, გზავნილის თანხაც გადაიხდა უშუალოდ ჯ. ა-მა.

5.1. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ ჯ. ა-ს პირად ჩერეკას ესწრებოდა თარჯიმანი, ჯ. ა-ს განემარტა ჩერეკის ოქმზე შენიშვნის/შესწორების გაკეთების უფლება, თუმცა მას აღნიშნული უფლებით არ უსარგებლია; აღნიშნულ ოქმს ხელი მოაწერა, მათ შორის – ჯ. ა-მა.

6. დაცვის მხარის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებულ განაჩენს საფუძვლად დაედო არადამაჯერებელი და არასანდო მტკიცებულებები და, მათ შორის – გასაზიარებელი არ არის ნ. კ-ს ჩვენება, ვინაიდან მის მიერ გამოძიებისა და სასამართლო ეტაპზე მოწოდებულ ჩვენებებს შორის არის არსებითი სხვაობა, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სასკონსერვაციის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია (იხ.: მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის

№545აპ.-20 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისის №232აპ-21 განჩინება) და ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დაცვის მხარის მიერ დასახელებული წინააღმდეგობა სასამართლო სხდომაზე ნ. კ-ებ ახსნა პირველ ეტაპზე მისი დაბნეულობით, შეიშითა და იმ ფაქტით, რომ მომხდარიდან გამომდინარე ვერ აანალიზებდა მის თავს მიმდინარე მოვლენებს, მანვე კატეგორიულად განმარტა, რომ ამჯერად (სასამართლოში ჩვენების მიცემისას) გააცნობიერა მის მიერ ჩადენილი დანაშაული და შესაბამისად, საუბრობს მხოლოდ სიმართლეს, ამასთან, ჩვენების ამ შინაარსით მიცემა მისთვის არავის დაუძალებია (24.10.2019; 13:26:32, 13:59:47); მისთვის უცნობია უფორმდება თუ არა საპროცესო შეთანხმება (14:01:50); ასევე იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარეს ჰქონდა, როგორც საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენის, ასევე – არსებით სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით თითოეული მოწმისათვის სასურველი კითხვების დასმის, მოწმეთა მიერ გამოძიების ეტაპზე მიწოდებული ინფორმაციის (მათ შორის, აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობის, რელევანტურობის თუ კანონიერების, მოწმის სადონობის შემოწმების/შედაცვების) გამოკვლევის შესაძლებლობა; იმავდროულად, სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დგინდება მსჯავრდებულის მიმართ მოწმის მიკროძოებული დამოკიდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს არ აქვს აღნიშნულ მოწმის ჩვენების სანდობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

7. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ დაცვის მხარე თავადაც არ ხდის სადაც იმ გარემოებას, რომ ჯ. ა-მა წინასწარ იცოდა, რომ ბ-იდან იგზავნებოდა ამანათი და იგი მან ფოსტიდან აიღო ნ. კ-სთან ერთად; ამასთან, ამანათი, რომელშიც, მათ შორის – ნარკოტიკული საშუალებაც იყო, ნ. კ-ს სახელზე შპს „ს-ს“ საბაზო ტერმინალში ჩამოვიდა 2019 წლის 22 იანვარს, ასევე დათვალიერების №..... აქტი, რომლის თანახმადაც, ამანათში საგარაუდოდ განთავსებული იყო ნარკოტიკული ნივთიერება – კოკაინის შემცველი ფხვნილი, დათარილებულია ასევე 2019 წლის 22 იანვრით, აღნიშნული დროისათვის კი ამანათთან – ნარკოტიკულ საშუალებასთან – ჯ. ა-ს კავშირის შესახებ არ იცოდნენ არც შპს „ს-ს“ და არც – პოლიციის თანამშრომლებმა. ეს მათვების ცნობილი მოგვიანებით – თებერვალში გახდა, შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს ეჭვს ჯ. ა-ს მიმართ დაინტერესებისა და ნივთიერ მტკიცებულებაზე გარკვეული მანიპულაციის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ.

8. შესაბამისად, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ჯ. ა-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, საკასაციო სასამართლო მოკლებულია დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილების შესაძლებლობას.

9. რაც შეეხება პროცეურორ შმაგი გობეჯიშვილის საკასაციო საზივარს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის გამოყენების თაობაზე, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით ჯ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1000 ლარი, ხოლო აჭარისა და გურიის საადსრულებო ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის – ტ. შ-ის ნერილის თანახმად, დაკისრებული ჯარიმა – 1000 ლარი გადახდილი და გადარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში 2018 წლის 10 ივლისა.

9.1. აღნიშნულისა და საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილისა (თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლდება – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ) და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის (1/4-ით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა, მათ შორის – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო გასაღებისა) გათვალისწინებული დანაშაული დანაწესების მხედველობაში მიღებით, დგინდება, რომ 2018 წლის 10 ივლისიდან, მაშინ, როცა მსჯავრდებულმა სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა ნინა განაჩენით შეფარდებული ჯარიმის თანხა, 2019 წლის 5 თებერვლამდე, ანუ განსახილველი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის დრომდე, საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა – 1 ნელი გასული არ იყო, შესაბამისად, განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროისათვის ჯ. ა-ს ნასამართლობა გაქარწყლებული არ იყო და იგი ითვლებოდა ნასამართლობის მქონე პირად, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის გავრცელების შესაძლებლობას.

10. ამდენად, პროცეურორ შმაგი გობეჯიშვილის საკასაციო საზივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ცვლილება შევიდეს გასაჩივრებულ

განაჩენში და ჯ. ა-ს მიმართ არ იქნეს გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი.

11. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელ ნ. ჩ-ის ჩვენებას, რომლის თანახმად, მსჯავრდებულ ჯ. ა-ს ჯანმრთლობის მდგომარეობა ამ ეტაპზე ისეთი მძიმე არ არის, რომ საჭირო იყოს მისი სამკურნალო №-ე დაწესებულებაში გადაყვანაც კი, რადგან უზრუნველყოფენ მის მკურნალობას; იმ შემთხვევაში თუ ჩათვლიან საჭიროდ, აქვთ შესაძლებლობა, რომ მოითხოვონ მსჯავრდებულისათვის სასჯელის გადავადება ანდა პატიმრის გათავისუფლება,

11.1. აღნიშნულისა და საქართველოს სსსკ-ის 283-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ არ არსებობს ჯ. ა-სათვის დანიშნული სასჯელის გადავადების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ჯ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ა. შ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

1.1. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ შმაგი გობეჯიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

2.1. ჯ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

2.1.1. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება – ნარკოტიკული საშუალება, ქილები, რომელშიც მოთავსებული იყო ნარკოტიკული საშუალება, ამანათის ყუთი, „ს-ს“ პოლიეთილენის ცელოფანი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ,

განადგურდეს;

6. კ-ს მობილური ტელეფონი, ჯ. ა-ს მობილური ტელეფონი, საქ-
მეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, დაუბრუნ-
დეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს;

საქმეზე დართული დისკები შენახულ იქნეს, სისხლის სამარ-
თლისა საქმესთან ერთად, საქმის შენახვის ვადით;

2.2. ჯ. ა-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან
– 2019 წლის 5 თებერვლიდან;

3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

კირქვ ნაწილი

1. პასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამტყუდებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამტყუდებელი განაჩენის დაზგენა

(სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)

განაჩენი
საქართველოს სახელით

№217აპ-23

11 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განიხილა მსჯავრდებულ გ.
ჩ-ს ადვოკატ თ. ფ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის
31 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2022 წლის პირველი ივ-
ლისის განაჩენით გ. ჩ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2
ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ნარდგენილ ბრალდებაში. მასვე განემარ-
ტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

2. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამტრე-
დიის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიგი გოცაძემ, რო-
მელმაც მოითხოვა: გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება; გ. ჩ-ს დამ-
ნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-
ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული და-
ნაშაულის ჩადენაში და ამავე კოდექსის 531-ე მუხლის შესაბამი-
სად, მეაცრი სასჯელის განსაზღვრა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2023 წლის 31 იანვრის განაჩენით: პროკურორის

სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა; სამტრედის რაიონული სა-სამართლოს 2022 წლის პირველი ივლისის გამამართლებელი განა-ჩენი გაუქმდა; გ.ჩ., - (პირადი №...), - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზ-ლვრა ჯარიმა – 600 ლარი, რაც ამავე კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მისი პატიმრობაში ყოფნის დროის (2020 წლის 24 ივლისიდან იმავე წლის 28 ივლისამდე) გათვალისწინებით შეუმ-ცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

4. განაჩენს მიხედვით, გ.ჩ-ს მსჯავრი დაედო სიცოცხლის მოხ-პობის მუქარაში, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან გაუჩინდა მუ-ქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევ-რის მიმართ.

5. აღნიშნული ქმედება გამოხატა შემდეგში: ..., დაახლოებით 16:00 საათზე, გ.ჩ. მივიდა ს-ის სოფელ გ-ში მცხოვრები ყოფილი რძლის – ბ. ჩ-ის სახლში, რა დროსაც ურთიერთშელაპარაკებისას სიცოცხლის მოსპობით, კერძოდ, ყელის გამოჭრით დაემუქრა მას, რის გამოც დაზარალებულს გაუჩინდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 31 იანვრის განაჩენი საკასაციო წე-სით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ.ჩ-ს ადვოკატმა თ. უ-მ, რომელიც ითხოვს გაასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებუ-ლის გამართლებას იმ საფუძვლით, რომ სისხლის სამართლის საქ-მეში არ არსებობს გ.ჩ-ს ბრალეულობის დამადასტურებელ მტკა-ცებულებათა ერთობლიობა, ხოლო ბრალდების მხარის მოწმეთა ჩევნებები, ადვოკატის აზრით, არის ხელოვნური და ობიექტურ დამკირვებელს გაუჩინს განცდას, რომ გამიზნულია გ.ჩ-სა და მი-სი შვილის – დაზარალებულ ბ. ჩ-ის ყოფილი ქმრის – დ. ჩ-ს დასას-ჯელად. ამავე დროს, ადვოკატი უთითებს, რომ საქართველოს სის-ხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამი-სად, ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა ძირითად სას-ჯელად გ.ჩ-ს არ შეიძლებოდა განსაზღვროდა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივლისის განჩინებით მსჯავრდე-ბულ გ.ჩ-ს ადვოკატი თ. უ-ს საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა და-ინიშნა 2023 წლის 11 ივლისს.

სამტრედის ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატამ განიხილა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის ადვოკატის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ოჯახური დანამაული, მისი ბუნებიდან გამომდინარე, არ გამოირჩევა მოწმეთა სიმრავლით. დანამაულის მსხვერპლი, შესაძლოა, ცდილობდეს ოჯახის წევრისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას. ამიტომ, ოჯახური დანამაულის ხასიათის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაზარალებულის ჩერენების არარსებობისას ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყვდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასამეცბობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ხოლო ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“ განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

4. საკასაციო პალატა, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას გ. ჩ-ს მსჯავრდებასთან მიმართებით, ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა და საქმეზე სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს გ. ჩ-ს ბრალეულობას მისთვის ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში, კერძოდ:

– დაზარალებულმა – გ. ჩ-ს ყოფილმა რძალმა – ბ. ჩ-მა, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვისას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის საფუძველზე უარი თქვა ჩვენების მიცემაზე ყოფილი მამამთილის წინააღმდეგ, ხოლო სააპელაციო სასამართლოში განაცხადა, რომ ბავშვების წასაყვანად მისულ გ. ჩ-ს უარი უთხრა მათ გა-

ყოლაზე, რის გამოც მან შეაგინა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც ბ. ჩ-ი სახლში შევიდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ყოფილი მამამთილის მიმართ პრეტენზია არ გაჩნია, თუმცა გამოძიებისას მისი გამოკითხვის ოქმში რაც წერია, სიმართლეა;

– გ. ჩ-მ სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ ბ. ჩ-ს არ დამუჯრებია, მისი საცხოვრებელი სახლის ეზოს ჭიშკართან მივიდა თავისი შვილიშვილების წასაყვანად და დაუძახა შვილიშვილს, თუმცა მას შემდეგ, რაც არავინ გამოხედა – უკან დაბრუნდა;

– საქმეში არსებულ დანარჩენ მოწმეთა ჩვენებების შესახებ საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მათი ჩვენებები არის ირიბი, ვინაიდან ისინი გ. ჩ-ს მიერ ბ. ჩ-ის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის სავარაუდო ფაქტის თვითმხილველნი არ არიან, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაუშვებელია (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“);

– რაც შეეხება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს, მათ შორის – შემაკავებელ ორდერსა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, მოცემულ შემთხვევაში ისინიც შეიცავენ მხოლოდ დაზარალებულის მიერ მითითებულ ინფორმაციას და იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულმა სასამართლოში უარი განაცხადა ყოფილი მამამთილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, საკასაციო პალატის აზრით, ვერც ეს დოკუმენტები მიიჩნევა გ. ჩ-ს ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებად.

5. ამავე დროს, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამსად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებების პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისლის სამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების

დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. მტკიცებულებითი სტანდარტი სასამართლოს აკალდებულებს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ. მოცემული საკანონმდებლო დანაწესის მიზანს წარმოადგენს პირის მსჯავრდების გამორიცხვა ფაქტობრივი გარემოებების მტკიცებულებებით გაუმყარებლობის შემთხვევაში.

6. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს, ხოლო მტკიცებულების შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უზდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. ამასთან, ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

7. ამდენად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშეარა და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა გ. ჩ-ს მიერ თავისი ყოფილი რძლის – ბ. ჩ-ის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტს, რის გამოც იგი უნდა გამართლდეს წარდგენილ ბრალდებაში.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ჩ-ს ადვოკატ თ. უ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ჩ-ს ადვოკატ თ. უ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 31 იანვრის განაჩენი გაუქმდეს;

3. გ. ჩ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქარ-

თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

4. გამართლებულ გ. ჩ-ს განემარტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

5. გ. ჩ-ს მიმართ შეფარდებული აღვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს – 3000 ლარის უზრუნველყოფის მიზნით, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის განჩინებით ქ-ში (ყოფილი ჩ.) მდებარე, ე. კ-ის (პირადი ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი ...) 3000 ლარის ღირებულების წილს მოეხსნას ყადაღა, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამართლებელი განაჩენის დადგენა
(სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები)**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№268აპ-23

22 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაში შემდეგი შემადგენლობით:
6. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თაღუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ქ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ქ. ვ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენზე.

აღნერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. 2021 წლის 8 დეკემბერს კ. ქ. (პირადი ნომერი:) ცნობილიქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსა-

ნინააღმდეგო შეძენა, შენახვა) და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასა-ლის მართლსაწინააღმდეგო ტარება) გათვალისწინებული დანაშა-ულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. კ. ქ.მ, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა „EKOL Major“ მოდელის, 9 მმ კალიბრის პისტოლეტი, რომელსაც სავაზნეზე ჩახრახნილი აქვს ხრახ-ნი (ამოვსებულია) და ლულაში არ გააჩნია სტაციონარული ტიხარი ან მზღვდავი, როს გამოც, მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

1.3. კ. ქ.მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ექვსი 9 მმ კალიბრის ვაზნა, რომელთა სათაო ნაწილში თვითნაკეთი წესით მო-თავსებულია 6,1 მმ დიამეტრის ჭურვი და გამოიყენება 9 მმ კალიბ-რის უტიხრო ან მზღვდავ მოხსნილ პისტოლეტებში, მათ შორის – ზემოაღნიშნულ პისტოლეტში. აღნიშნული ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. 2021 წლის 7 დეკემბერს, ქ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, კ. ქ-ს პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ზემოაღნიშნული პისტოლეტი და ვაზნები.

1.4. 2021 წლის 7 დეკემბერს, ქ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე კ. ქ. მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა „EKOL Major“ მოდელის, კუს-ტარულად გადაკეთებულ პისტოლეტს, მისთვის განკუთვნილ, ასე-ვე კუსტარულად გადაკეთებულ 6 ვაზნასთან ერთად, რაც კ. ქ-ს პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენით:

2.2. კ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღ-კვეთა 3 წლით.

2.3. კ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღ-კვეთა 4 წლით.

2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სას-ჯელი და კ. ქ-ს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯე-ლის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღი-დან – 2021 წლის 7 დეკემბრიდან.

2.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ კ. ქ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – გ. ტ-მა და ქ. ვ-ემ მოითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და კ. ქ-ს უდანაშაულოდ ცნობა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ კ. ქ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ქ. ვ-ემ მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და კ. ქ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. დაცვის მხარის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონა, რადგან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ქმნის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს გამამტყუნებელი განაჩენის გამოისატანად. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეში ნეიტრალური მტკიცებულების სახით არ მოიპოვება პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, ხოლო პოლიციის თანამშრომლები საქმის შედეგით დაინტერესებული პირები არიან. დაცვის მხარის მტკიცებით, მსჯავრდებულს პოლიციის განყოფილებაში ვითომდა კოვიდტესტზე შემოწმების მიზნით, მოტყუებით აუდეს ნერწყევის ნიმუში, რაც დაიტანეს ცეცხლსასრილ იარაღზე და რამაც განაპირობა იარაღზე მსჯავრდებულის გენეტიკური პროფილის აღმოჩენა. ამასთან, დაცვის მხარეს არ მიეცა პიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა. კასატორი ასევე მიუთითებს მსჯავრდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ჩატარებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგ დარღვევებზე.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამონმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიზნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინი-

ნებული დანაშაულების ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით კ. ქ-ს მიმართ გა-მამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

5.3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების მხა-რემ კ. ქ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ძირითად მამხილებელ მტკი-ცებულებებად წარმოადგინა სამართალდამცავი ორგანოს წარმო-მადგენლების: გ., ვ-ა და ი. ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ პირადი ჩხრეკის ოქმში ასახულ ინფორმაციას და კ. ქ-ს მიერ ცეც-ხლსასროლი იარაღისა და ვაზნების ფლობას; სადაც ჩხრეკის შე-დეგად მოპოვებული ნივთერი მტკიცებულებები (ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები) და სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სა-სამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 5 აპრი-ლის №... ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რო-მელიც ადასტურებს პისტოლეტიდან, მჭიდრიდან და ვაზნებიდან აღებულ ანაწმენდებზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პრო-ფილის კ. ქ-სადმი კუთვნილებას.

5.4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ კ. ქ. დაკავე-ბის პირველი წუთებიდან უარყოფდა ცეცხლსასროლი იარაღისა და ვაზნების ფლობის ფაქტს. ამასთან, მან პირადი ჩხრეკის ოქმის (იმ გვერდების, სადაც მითითებულია ინფორმაცია ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოღების შესა-ხებ) – ხელმოწერაზეც კი უარი განაცხადა. დაცვის მხარის მტკი-ცებით, ნივთიერ მტკიცებულებებზე კ. ქ-ს გენეტიკური პროფი-ლის აღმოჩენა განაპირობა პოლიციის განყოფილებაში ნერწყვის ნიმუშის მოტყუებით აღებამ და ამ მასალის მათზე გადატანამ.

5.5. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ კ. ქ-ს პირადი ჩხრეკისას არ იყო დაცული საქართველოს სა-კონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გა-დაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა. კერძოდ, პირადი ჩხრე-კის ჩატარებისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს არ მიუღიათ სათანადო ზომები პირადი ჩხრეკის სანდოობის უზრუნ-ველმყოფი ნეიტრალური მტკიცებულების მოსაპოვებლად. საკა-საციო სასამართლო ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკაში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელ-თა რაოდენობას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის აღტერნატი-ული საშუალებებისა (ხელბორკილის გამოყენებას) და ვიდეოფიქ-საციის საშუალების ხელმისაწვდომობას (მათ შორის, მობილური ტელეფონი) და არ იზიარებს პოლიციელთა ჩვენებებს მათი უსაფ-რთხოებიდან გამომდინარე, ნეიტრალური მტკიცებულების მოპო-

ვების შეუძლებლობის შესახებ.

5.6. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ზოგადად, პირის მფლობელობაში ნივთის აღმოჩენა ქმნის იმის პრეზუმაციას, რომ ეს ნივთი მას ეკუთვნოდა და ეს ჰიპოთეზა შეუსაბამო არ არის მტკიცების ტვირთან და in dubio pro reo-ს პრინციპთან, თუმცა ამ პრეზუმაციის ნეიტრალური მტკიცებულებებით გამყარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როდესაც აღმოსაჩენი ნივთი შეიძლება პირის ბრალდების მთავარი საფუძველი იყოს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 წლის გადაწყვეტილება „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-105).

5.7. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ არც შემდგომ გამოიჩინა სათანადო გულმოდვინება და დაცვის მხარის არგუმენტების გაქარნყლებისა და ჩხრეკის შედეგების სანდონის გამყარების მიზნით, არ შეეცადა საგამოძიებო მოქმედების – პირადი ჩხრეკის ჩატარების ადგილას/მის მიმდებარედ არსებული სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ან/და კერძო საკუთრებაში არსებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების მოპოვებას.

5.8. როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, დაცვის მხარის მცდელობა (კ. ქ-ს დაკავებიდან ერთ თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ) ვიდეოკამერის ჩანაწერების მოპოვების მიზნით, უმედევო აღმოჩნდა. კერძოდ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დაცვის მხარემ სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-დან გამოითხოვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილას – ... კორპუსისა და ... ქუჩების კვეთაზე – მდებარე შუქნიშნებზე განთავსებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები 2021 წლის 7 დეკემბრის 15:00 საათიდან 17:00 საათამდე. სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის 2022 წლის 20 იანვრის წერილთ დაცვის მხარეს ეცნობა, რომ ზემოაღნიშნული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მითითებული დროის ჩანაწერი ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ იძებნება. იმავდროულად, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 7 მარტის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსისადმი გაგზავნილ წერილს, საიდანაც ირკვევა, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილას – ... კორპუსისა და ... - ქუჩების კვეთაზე არ არის განთავსებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები, რაც გარკვეული დამდეგება სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მიერ გა-

ცემულ ინფორმაციას. სასამართლო ასევე ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ, კ. ქ-ს პირადი ჩხრეკის ჩატარების ადგილის დათვალიერების ოქმსა და მასზე დართულ ფოტოსურათებს, რომელიც აღმოჩნდილია შემთხვევის ადგილას/მის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული ვიდეოკამერები.

5.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნდოვანია, კ. ქ-ს პირადი ჩხრეკის ჩატარების დროს ნამდვილად იყო თუ არა შემთხვევის ადგილას დამონტაჟებული ვიდეოკამერები, იყო თუ არა ისინი მუშა მდგომარეობაში და რა მიზეზით არ მოიპოვებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში მითითებული დროის ჩანაწერი. ამდენად, ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, დაცვის მხარის არგუმენტების გაქარწყლებისა და პირადი ჩხრეკის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ბრალდების მხარის მიერ, გამოძიების ადრეულ ეტაპზე, სათანადო მტკიცებულებების – სსპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის ან/და კერძო საკუთრებაში არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერების მოპოვების მცდელობა და არსებული ბუნდოვანებისა თუ წარმოქმნილი ეჭვების დამაჯერებლად გაქარწყლება. აღნიშნულის საპირზონედ ვერ ჩათვლება სისხლის სამართლის საქმეში თითქოსდა ნეიტრალური მტკიცებულებების სახით არსებული ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რადგან პირადი ჩხრეკის ჩატარებისა და შემდგომ – გამოძიების საწყის ეტაპზე, ბრალდების მხარისათვის ცნობილი ვერ იქნებოდა მომავალში ჩასატარებელი ბიოლოგიური ექსპერტიზის კვლევის შედეგები.

5.10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ: „ბრალდების მხარის ვალდებულებაა, გამოიყენოს კანონიერი საშუალებები იმისათვის, რომ გაამყაროს ჩხრეკა/ამოღების ფაქტისადმი სანდოობა.... აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სამართალდამცავთა ცალსახა ვალდებულება, მოიპოვონ ჩხრეკის სანდოობის უზრუნველმყოფი მტკიცებულებები, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 წლის გადაწყვეტილება „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-106). „ბუნებრივია, საგამოძიებო მოქმედების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვერ მოხდეს ჩხრეკის ფაქტის ნეიტრალური მტკიცებულებით გამყარება, თუმცა უნდა დადასტურდეს, რომ უფლებამოსილმა პირმა მიიღო გონივრული ზომები იმისთვის, რომ უზრუნველყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება“ (იქვე, II-108). „როდესაც აშკარაა,

რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხერეების სანდოობის გა-
მამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედე-
ბებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს“ (იქვე, II-107).

5.11. რაც შეეხება ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დას-
კვნას, რომელიც ადასტურებს პისტოლეტიდან, მჭიდრიდან და ვაზ-
ნებიდან აღებულ ანანძმენდებზე არსებული ბიომასალის გენეტი-
კური პროფილის კ. ქ-სადმი კუთვნილებას, საკასაციო სასამართლო
აღნიშნავს, რომ ზოგადად, ამგვარი ექსპერტიზის დასკვნა შესაძ-
ლოა, წარმოადგენდეს ნეიტრალურ, სანდო მტკიცებულებას, თუმ-
ცა, იმავდროულად, ყურადღებას მიაქციებს დაცვის მხარის პრე-
ტენზიას ნივთიერ მტკიცებულებებზე კ. ქ-ს ბიოლოგიური მასა-
ლის წარმოშობასთან დაკავშირებით (დაცვის მხარის მტკიცებით,
ნივთიერ მტკიცებულებებზე კ. ქ-ს გენეტიკური პროფილის აღმო-
ჩენა განაპირობა პოლიციის განყოფილებაში ნერწყვის ნიმუშის
მოტყუებით აღებამ და ამ მასალის მათზე გადატანამ). სასამარ-
თლო ითვალისწინებს, რომ 2022 წლის 13 იანვარს, დაცვის მხარემ
ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით მიმართა სსიპ
– ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის
ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა იმის დადგენა პისტოლეტიდან,
მჭიდრიდან და ვაზნებიდან აღებული ანანძმენდები წარმოადგენდა
თუ არა ადამიანის ნერწყვის. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022
წლის 21 იანვრის წერილით, დაცვის მხარეს მის მიერ მოთხოვნილი
ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად და ამ მიზნით, გამომ-
ძიებელ ლ. კ-ის მიერ 2021 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით და-
ნიშნულ ექსპერტიზე თანადართული ნივთმტკიცების გამოსაყე-
ნებლად, ეთხოვა ხსენებული ექსპერტიზის დამნიშნავი პირის წე-
რილობითი თანხმობის წარდგენა, თუმცა, როგორც გამომძიებელ
ლ. კ-ის ჩვენებით დასტურდება, მან თანხმობა არ გადააგზავნა ექ-
სპერტიზის ბიუროში. აღნიშნულის გამო 2022 წლის 23 მარტს, დაც-
ვის მხარეს შეუსრულებლად დაუბრუნდა მის მიერ დანიშნული ბი-
ოლოგიური ექსპერტიზა. 2022 წლის 2 მაისს, დაცვის მხარემ გან-
მეორებით მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარება, თუმცა, როგორც ექ-
სპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 6 ივნისის წერილით ირ-
კვევა, ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა ანანძენ-
დების გახარჯვის გამო.

5.12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პირობებში,
როდესაც სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვებო-
და პირადი ჩხერეების სანდოობის გამამყარებელი ნეიტრალური მტკი-
ცებულება და ბრალდების მხარემ არ მიიღო სათანადო ზომები ვი-
დეოკამერების ჩანაწერების მოსაპოვებლად, სასამართლოსათვის
გაუგებარია, რატომ არ შეუწყო ხელი ბრალდების მხარემ დაცვის

მხარის მიერ მოთხოვნილი ექსპერტიზის ჩატარებას ან რატომ არ წარმოადგენდა ამგვარი ექსპერტიზის ჩატარება თავად ბრალდების მხარის ინტერესს, რათა გაექარნყლებინა დაცვის მხარის არგუმენტები და უფრო დამაჯერებელი გაეხადა საკუთარი პოზიცია. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც ადასტურებს ნივთიერი მტკიცებულებებიდან აღებულ ანანძმენდებზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილის კ. ქ-სადმი კუთვნილებას, ვერ შეაფასებს პირის ბრალეულობის დამადასტურებელ ნეიტრალურ მტკიცებულებად.

5.13. მოწმე პოლიციელების ჩვენებების შეფასებისას საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს: მიუხედავად იმისა, რომ „პოლიციელთა ჩვენებები, ზოგადად, სანდო მტკიცებულებებია და არ არსებობს რაიმე ა პრიორი საფუძველი, რომ ამ უკანასკნელთა ჩვენებებს იმაზე ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე, მაგალითად, სხვა პირებისას, თუმცა, კიდევ ერთხელ, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული არ გულისხმობს, რომ პოლიციელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადეკვატური შემონმების გარეშე იმთავითვე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს. მტკიცებულების სანდოობის შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემონტების სრული და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ფუნქცია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/2/1276 „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-102).

5.14. სამართლდამცავი ორგანოს თანამშრომლები, რომელთა ჩვენებებიც ადასტურებს ჩხრეკის შესაბამისობას ჩხრეკის ოქმში ასახულ გარემოებებთან, წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებმაც უშუალოდ ანარმოეს კ. ქ-ს პირადი ჩხრეკა და რომლებიც, დაცვის მხარის პრეტენზიის გათვალისწინებით, დაინტერესებული არიან საქმის შედეგით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, პოლიციელთა ჩვენებები, სხვა ნეიტრალური, სანდო და უტყუარი სამნილის არარსებობის პირობებში, არ წარმოადგენს საკამრის მტკიცებულებას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

5.15. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს (მათ შორის – საქართველოსთან მიმართებით), რომელიც ეხება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერებისა და ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობის საკითხს, სადაც სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ მომჩინის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მო-

პოვების ფორმა წარმოშობდა ეჭვებს მის სანდოობასა და სიზუსტესთან დაკავშირებით (იხ., მაგალითად, Kobiashvili v. Georgia, no. 36416/06, 14/03/2019).

5.16. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესით (გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ), საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილით (არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი), საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილით და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილით (გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას) დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ სამარტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43). ამასთან, „გამოიყებისთვის რეალურად ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოყენებლობა, რაც დაადასტურებდა/გაამყარებდა პირის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქმნის შეცდომის, თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მიზნებისან რისკებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 წლის გადაწყვეტილება „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-110).

5.17. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი კ. ქ-ს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დამნაშავედ ცნობისათვის, თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და კ. ქ. უდანაშაულოდ უნდა იქნეს ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 81-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ კ. ქ-ს (პირადი ნომერი: ...) ინტერესების დამცველი ადვოკატის – ქ. ვ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განაჩენი;
 3. კ. ქ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;
 4. კ. ქ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;
 5. კ. ქ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. გამართლებული კ. ქ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დანესებულებიდან;
 6. გამართლებულ კ. ქ-ს განემარტოს საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;
 7. ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად:
- ანაზმენდები და ნერწყვის ნიმუში – განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;
- კომპიუტერული (ლაზერული) დისკი – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;
- ორ ლულიანი თოფი შალითასთან ერთად – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;
- კ. ქ-ს პირადი ჩერეკისას ამოღებული მობილური ტელეფონის დამტენი ელემენტი სადენთან ერთად, სათვალე, საფულე და მასში მოთავსებული საბუთები – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;
- ოთხი ვაზნა, პისტოლეტი და მჭიდი – გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს;
- „EKOL Major“ მოდელის პისტოლეტიდან ექსპერიმენტული გასროლების შედეგად მიღებული ობიექტები – გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტყვია – მასროლეკაში განსათავსებლად;
8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განაჩენი ცვლილების შეტანა

(სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“, მე-4 ნაწილის „ბ“
ქვეპუნქტები და 143-ე მუხლი)

განაჩენი საქართველოს სახელი

№407აპ-23

7 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაშ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი

განიხილა – ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილის
– ლევან ლაზარეშვილის, მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ინტერე-
სების დამცველის, ადვოკატ – მ.მ-ს, მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტე-
რესების დამცველის, ადვოკატ – გ. ო-ს, მსჯავრდებულების – მ.
ღ-სა და დ. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-ს, მსჯავ-
რდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ – თ. ხ-ს საკა-
საციონ საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 13 მარტის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

- პირის ბრალდების შესახებ დადგენილებების მიხედვით:
- ჯ-მ და გ. ა-ა ჩაიდინეს თავისუფლების უკანონო აღკვეთის
ორგანიზება და მასში მონაწილეობა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუ-
ფის მიერ და განზრას მკვლელობა ჯგუფურად, განსაკუთრებული
სისასტიკით;
- მ. ღ-მა და დ. დ-მა ჩაიდინეს თავისუფლების უკანონო
აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ;
- გ. გ-მა ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთაში დახმარე-
ბა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
- ჯ-ს, გ. ა-ს, დ. მ-ს, მ. ღ-ს, დ. დ-სა და გ. გ-ს მიერ ჩადენილი
ქმედებები, გამოიხატა შემდეგში:

გ. ა-ა და ზ. ჯ-მ დ. მ-ესთან დაპირისპირების გამო, დაგეგმეს
მისი თავისუფლების უკანონო აღკვეთა და შურისძიების მოტივით
მისთვის სიცოცხლის მოსპობა.

განზრახვის განხორციელების მიზნით, გ. ა-ა და ზ. ჯ-მ გ. გ-ს
დაავალეს დ. მ-ს საცხოვრებელი ბინიდან მოტყუებით გამოყვანა,

რათა დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მისცემოდათ შესაძლებლობა, დ. მ-სათვის უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება.

2019 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით 20:00 საათზე, თ-ი, მ-ს დასახლებაში მცხოვრები – დ. მ-ე, გ. გ-მა მოტყუებით გამოიყვანა საცხოვრებელი ბინიდან, ჩაისვა ავტომობილში (BMW X6 M-ში, სახელმწიფო ნომრით: ...), რომელსაც თავად მართავდა და დაიწყო მოძრაობა დ. მ-სთან, მ. ღ-სა და დ. დ-თან წინასწარ შეთანხმებული მიმართულებით, კერძოდ, თ-ი, გ-ს – მიკრორაიონის ... კორპუსის მიმდებარედ; სადაც მათ შეთანხმებას შესაბამისად, „BMW-ს“ მარკის ავტომობილით, სახელმწიფო ნომრით: ..., დახვდნენ პოლიციის თანამშრომლები – მ. ღ. და დ. მ. და პოლიციის ყოფილი მუშაკი – დ. დ.

პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა სამივე ზემოაღნიშნულმა პირმა განახორციელა დ მ-ს დაკავების ინსცენირება, კერძოდ, შეიძყრეს დ. მ-ე, ჩამოართვეს თანნაქონი ნივთები, მათ შორის – ცეცხლსასროლი პისტოლეტი, დაადეს ხელბორჯილი და იძულებით ჩასვეს ავტომობილში, რომელსაც თავად მართავდნენ.

აღნიშნულის შემდეგ, დ. მ-ე ჩაიყვანეს რ-ი, სადაც შეთანხმები-სამებრ, შეპყრობილ მდგომარეობაში გადასცეს ზ. ჯ-სა და გ. ა-ს, რომლებმაც თავისუფლება უკანონოდ აღკვეთილი დ. მ-ე იძულებით ჩასვეს ავტომობილ „მერსედესში“, სახელმწიფო ნომრით: ..., რომელსაც თავად მართავდნენ და მისი ნების საწინააღმდეგოდ მიიყვანეს რ-ი, მდინარე მ-ს პირას, სადაც ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, მჩხვლეტავ-მჭრელი საგნისა (საგნების) და მჭრელი საგნის (საგნების) გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა ადგილში მიაყენეს ოცდასამი ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა და ათი ნაკვეთი ჭრილობა, რამაც გამოიწვია დ. მ-ს სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნულის შემდეგ, კვალის დაფარვის მიზნით, მდინარე მ-ი გადააგდეს დ. მ-ს გვამი.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ივლისის განაჩენით:

გ. ა. – დაბადებული ... წლის ... - აგვისტოს, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში.

გ. ა-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გ. ა-ს განემარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცე-

სო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ზ. ჯ. – დაბადებული ... წლის ...- მარტს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2019 წლის 1 ოქტომბერს მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 20 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მყაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მყაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ზ. ჯ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 20 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2020 წლის 2 იანვრიდან.

გ. გ. – დაბადებული ... წლის ...- თებერვალს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25.143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების და-კავების დღიდან – 2019 წლის 6 ოქტომბრიდან.

დ. მ. – დაბადებული ... წლის „, - იანვარს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან.

მ. ღ. – დაბადებული ... წლის ... მაისს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან.

ღ. ღ. – დაბადებული ... წლის ...- ოქტომბერს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან.

ღ. ღ. – დაბადებული ... წლის ...- ოქტომბერს, – ცნობილ იქნა

დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის

„ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის

და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუ-

ფლების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან.

სუფლების აღკვეთა 9 წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყო და-კავების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 13 მარტის განაჩენით:

ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილის ლევან ლა-ზარეშვილის, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძი-ებო სამმართველოს უფროსის მერაბ მერაბიშვილის, ქვემო ქარ-თლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ გიორგი ლობჯანიძის, მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ს, მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. კ-ს, მსჯავრდებულების – მ. ლ-სა და დ. დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ნ. გ-ს, მსჯავ-რდებულ ზ. ჯ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – თ. ხ-სა და ი. ხ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქართველო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2020 წლის 4 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულების – ზ. ჯ-ს, გ. გ-ს, დ. დ-ს, დ. მ-სა და მ. ლ-ს, ასევე გამართლებულ – გ. ა-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოად-გილემლევან ლაზარეშვილმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა:

გ. ა-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით ნარდგენილ ბრალდებებში და მისთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა;

მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 109-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ე“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანაშაულ-თა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის სახით უფრო მკაცრი სას-ჯელის განსაზღვრა;

მსჯავრდებულ გ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 25.143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა;

მსჯავრდებულ დ. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით უფრო მკაცრი სასჯელის გან-საზღვრა;

განაჩენის სხვა ნაწილში უცვლელად დატოვება.

პროკურორის საკასაციო საჩივრის თანახმად, თბილისის სააპე-ლაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებე-ლი. დ. მ-სთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში ასახული გარემოებები სრულად დასტურდება სასამართლოში გა-

მოკვლეული – ვითარების ალდგენის მიზნით, მ. ღ-სა და დ. დ-თან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის იქმებით; აღნიშნული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმები წარმოადგენს სამ, დამოუკიდებელ მტკიცებულებას. სასამართლომ გამოიკვლია საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს მიერ მითითებული გადაადგილების მარშრუტების დათვალიერების ოქმები, ვიდეოკამერების ჩანაწერები. როგორც გ. ა-ს ავტომანქანა, ისე მისი მობილური ტელეფონი ფიქსირდება შემთხვევის ადგილზე. დაუსაბუთებელია, სასამართლოს მსჯელობა, რომ იგი ვერ გაიზიარებს საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირთა განმარტებებს, რომლის თანახმადაც, მათ დ. მ-ე გადასცეს გ. ა-ს, იმის გამო, რომ ბრალდების მხარეს ამ პირებთან არ ჩაუტარებია გ.ა-ს ამოცნობა. აღნიშნული მოთხოვნა არ შეესაბამება საქართველოს სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-9 ნაწილის შინაარსს, კერძოდ, ამოცნობა არ არის აუცილებელი ჩატარდეს, როდესაც ამომცნობი ასახელებს ამოსაცნობი პირის პერსონალურ მონაცემებს, რომლითაც მისი ზუსტი იდენტიფიცირება შესაძლებელია.

კასატორი უთითებს, რომ ზ. ჯ-ს, გ. გ-სა და დ. დ-ს სასამართლომ არასასამართლიანი სასჯელი განუსაზღვრა. მოსამართლემ აგრეთვე არ დაუშვა ბრალდების მხარის მტკიცებულება – სატელეფონო შემაგალი, გამაგალი ზარები, თავისი ანძებს დაფარვის ზონით, როგორც ახალი მტკიცებულება. მოსამართლის აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და უნდა შეიცვალოს.

5. კასატორმა – მსჯავრდებულმა დ. მ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. მ-მ მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება დ. მ-ს ნაწილში და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, პირველი და სააპელაციო სასამართლოები სრულად დაეყრდნენ უკანონო მტკიცებულებებს, ცრუ ჩვენებებსა და თვალის ახვევის მიზნით შექმნილ, ბუნდოვანისტორიებს. მოწმეები – ნ. დ-ი და გ-ა დ-ი სასამართლოს ანვდაანცრუ ინფორმაციას, რომ გ. გ-მა მათ უამბო გატაცების თაობაზე. ამოღებულ ხელბორიგილზე ჩატარებული ექსპერტიზით ვერ დადასტურდა მისი კავშირი განსახილველ საქმესთან. სასამართლომ დ. მ-სთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი საქართველოს სსსკ-ის 247-ე მუხლზე დაყრდნობით არ უნდა გამოიყენოს. ნინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მუხლის დანაწესი კარგავს აზრს. თავად დ. მ-ს გამოკითხვა შედგენილია საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-17 ნაწილისა და სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა უხეში დარღვევით. არცერთი ექსპერტის დასკვნით არ გამოკვეთილა დ. მ-ს კავშირი მოცემულ სისხლის სა-

მართლის საქმესთან.

საკასაციონ საჩივრის მიხედვით, პირველ ინსტანციაში საქმის არსებითი განხილვის დროს, ბრალდებულებს დაერღვათ სამართლიანი სასამართლოს უფლება, კერძოდ, მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს, მოსამართლემ დაცვის მხარეს შეუზღუდა ვიდეოჩანაწერების სრულყოფილად გამოკვლევის საშუალება (კერძოდ, რ-ა და თ-ი არსებული ვიდეო-კამერების ჩანაწერების). მსგავსი შემთხვევა მოხდა 2020 წლის 29 ივნისის სასამართლოს სხდომაზეც, კერძოდ, მოწმე გ. მ-ს ხელახალი პირდაპირი დაკითხვის დროს, დაცვის მხარემ საქართველოს სსსკ-ის 115-ე მუხლის მე-8 ნაწილით მინიჭებული უფლების საფუძველზე მოითხოვა – მოწმისთვის მტკიცებულების ნარდენა (რესტორნიდან ამოღებული ვიდეოკამერების ჩანაწერების). სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა დაუსაბუთებლად შეზღუდა, რითაც დაირღვა მსჯავრდებულ დ. მ-ს უფლებები. ბრალდების მხარეს არ აქვს წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ დ. მ-მ ან რომელიმე ბრალდებულმა შეცვალეს სანომრენიშნები. მნიშვნელოვანია, რომ საქმის არსებითი განხლვისას, არ დადასტურებულა 2019 წლის 1 ოქტომბერს, დ. მ-ს რ-ი ყოფნა და ასევე, ვერ დადგინდა მისი გარდაცვალების დრო.

6. კასატორმა – მსჯავრდებულების მ. ღ-სა და დ. დ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნ. გ-მ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის ნაწილობრივ გაუქმება – მ. ღ-სა და დ. დ-ს ნაწილში და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. მოცემულ საქმეზე სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები (რომელსაც ეფუძნება რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რაც უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ) არ ქმნიან გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ურთიერთშეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ დ. დ-მა და მ. ღ-მა ჩაიდინეს მათვის ბრალადშერაცხული დანაშაული.

7. კასატორმა – მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გ. ღ-ა მოითხოვა გ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ასევე სხვა მსჯავრდებულების უდანაშაულოდ ცნობა, ხოლო გ. ა-ს ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვება.

საკასაციონ საჩივრის მიხედვით, სასამართლო ერთადერთ მტკიცებულებად მიიჩნევს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, რა დროსაც გ. გ. უთითებს კონკრეტულ ადგილებზე. აღნიშნული მტკიცებულება მოპოვებულია კანონის დარღვევით. იმ დროისათვის, გ. გ-ს ჰყავდა ადგომატი, რომელიც არ დაუშვეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე. ადგომატის განცხადებებით დგინდება, რომ საქმეზე წარდგენილი აქვს ორდერი, იგი პოლიციაში იმყოფება და

არ ახვედრებენ გ. გ-ს. მხოლოდ მას შემდეგ მიუყვანეს ადვოკატი, რაც უარი განაცხადა ამოცნობაზე. გ. გ-თან ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში არ არის აღნიშნული: როდის, რომელ საათზე, რომელ ქუჩაზე იმყოფებოდნენ და ა.შ.. ჩვენებებში მითოთებულია, რომ ზ. ჯ-სა და გ. ა-ს ჰქონდათ დაძაბული, კონფლიქტური ურთიერთობა და მ-ესთან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ადასტურებს ინფორმაციის წყაროს, თუ ვისგან გაიგეს აღნიშნული და რა საკითხს შეეხებოდა კონფლიქტი.

8. კასატორმა – მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველ-მა ადვოკატმა თ. ხ-მ შოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება ზ. ჯ-ს ნაწილში და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის დროს არ გამოკვლეულა რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ზ. ჯ-ს კავშირს გ. გ-სა და სხვა პირებთან. არ და-დასტურებულა ზ. ჯ-ს ნინასწარი შეთანხმება რაიმე სახის კანონ-საწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის – გ. გ-სა და სხვა პირებთან. მოსამართლე საქმეზე მთავარ მტკიცებულებად მობილური ოპერატორებიდან ამოღებულ დეტალურ ინფორმაციას ვერ გამოიყენებს იმ მიზეზით, რომ ზ. ჯ. არ სარგებლობდა მობილური ტელეფონით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის, მოწმის, ს. ბ-ს მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზ. ჯ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას ამოღებული სისხლიანი ტანსაცმელი მას ეკუთვნის, რომელიც ეცვა 2019 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, დ. მ-ესთან კონფლიქტის დროს და დატოვებული ჰქონდა ძმასთან. დადასტურებულია, რომ ზ. ჯ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას აღნიშნული ტანსაცმლის ამოღებისას, ზ. ჯ-ს მეუღლემ, ნ. მ-მ წარადგინა ლურჯი პერანგი და რუხი პიჯაკი, სხვა ტანსაცმელთან ერთად, რომელიც მისივე განმარტებით, ეკუთვნოდა მის მეუღლეს. აღსანიშნავია, რომ ამ ტანსაცმლის ამოღების მერე, როგორც ჩხრევის ოქმი, ისე მას შემდეგ, ნ. მ-ს პრეტენზია, რომ – ამოღებული ტანსაცმელი ზ. ჯ-ს არ ეკუთვნოდა, არ გაცხადებულა. ნ. მ. მოწმის სახით ბრალდების მხარეს არ გამოუკითხავს და არც დასაკითხ პირთა სიაში შეუყვანია. ბრალდებულებმა დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს განმარტეს, რომ ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობენ და ინფორმაცია, რომელიც მათ გამოძიების ეტაპზე მიაწოდეს საგამოძიებო სამსახურს, არასწორია, კერძოდ, იგი მიღებულია ფსიქოლოგიური ზენილით. შესაბამისად, ვინაიდან ბრალდებულებმა – გ. გ-მა, მ. ღ-მა, დ. მ-მ და დ. დ-მა ჩვენების მიცემაზე განაცხადეს უარი, მათთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმები,

არ უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებად.

9. დაცვის მხარემ, კერძოდ, მსჯავრდებულ ზ. ჯ-სა და გამართლებულ გ. ა-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა თ. ხ-მ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე წარმოადგინა შესაგებელი, რომელშიც მიუთითა, რომ პროკურორის საჩივრის მოთხოვნა – გ. ა-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამამტყუნებელი გადაწყვეტილებით შეცვლის ნაწილში უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ხოლო პროკურორის მოთხოვნაზე – ზ. ჯ-ს მიმართ დადგენილი სასჯელის დამძიმების ნაწილში, ვინაიდან დაცვის მხარეს შემოტანილი აქვს საკასაციო საჩივარი მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნით, ადვოკატმა შესაგებელმი პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა.

10. 2023 წლის 26 ივნისს, პროკურორმა ხატია გოგრიჭიანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულებს – მ. ღ-სა და დ. დ-თან 2023 წლის 22 ივნისს დადგებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ და ითხოვა, რომ:

დ. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 3 (სამი) წლითა და 9 (ცხრა) თვით;

მ. ღ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 3 (სამი) წლითა და 9 (ცხრა) თვით.

11. 2023 წლის 7 ივლისს, საკასაციო სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე პროკურორებმა – ხატია გოგრიჭიანმა და ლევან ლაზარეშვილმა, მსჯავრდებულებმა – დ. დ-მა, მ. ღ-მა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ი. მ-ა. ამავდროულად, მ. ღ-მა, დ. დ-მა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ი. მ-ა სასამართლოს წინაშე ითხოვეს საკასაციო საჩივრის (მ. ღ-სა და დ. დ-ს ინტერესების დამცველს, ადვოკატ ნ. გ-ს) – განუხილველად დატოვება.

12. საკასაციო სასამართლო სხდომაზე მონაწილე პროკურორებმა – ხატია გოგრიჭიანმა და ლევან ლაზარეშვილმა, მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – მ. მ-მ, მსჯავ-

რდებულ გ.გ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – გ. ო-ა, მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – თ. ხ-მ მხარი დაუჭირეს მათი საკასაციო საჩივრების მოთხოვნას და ითხოვეს დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრები, წარმოდგენილი შუამდგომლობები და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 13 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულების – მ. ღ-სა და დ. ღ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი და უნდა დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება გაფორმებული – პროკურორ ხატია გოგრიჭიანსა და მსჯავრდებულ დ. ღ-ს, აგრეთვე – პროკურორ ხატია გოგრიჭიანსა და მსჯავრდებულ მ. ღ-ს შერის; ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილის – ლევან ლაზარეგვილის, მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ – მ. მ-ს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ – გ. ო-სა და მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ – თ. ხ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მსჯავრდებულ – მ. ღ-სა და დ. დ-თან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება საკასაციო სასამართლოში:

საკასაციო პალატა პირველ რიგში, განიხილავს მ. ღ-სა და დ. დ-თან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების შესაბამისობას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებთან, ხოლო შემდეგ იმსჯელებს დაცვისა და ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრების მოთხოვნებსა და მათ საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

საქართველოს სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის

აღიარების საფუძველზე ამონმებს, დასაბუთებულია თუ არა ბრალ-დება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარე-მოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი შუამდგომ-ლობაში მითითებული სასჯელი. ამავე მუხლის მე-61 ნაწილის შე-საბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხ-ლის მე-11¹ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილ-ვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ პროკურორის შუამდგომლობა ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით არის წარმოდგენილი, იგი საქ-მეს პროკურორს უბრუნებს.

საკასაციო სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა დ. დ-მა განაცხადა, რომ იგი თავს დამნაშავედ ცნობს ნარდგენილ ბრალ-დებაში და სრულად დაეთანხმა მონმის სახით მიცემული გამოკით-ხვის ოქმს. 2019 წლის სექტემბრის ბოლოს, მასთან მივიდა დ. მ. და უთხრა, რომ მის დას დაემუქრა ვიღაც, რომლის ნახვაც სურდა მის სიძეს (ზ. ჯ-ს), მაგრამ ვერ ახერხებდა, ვინაიდან, ეს პირი მოქრა-ობდა იარალით. დ. მ-მ სთხოვა, დაეკავებინა ეს პირი და მიეყანათ ზ. ჯ-სთან. მან დახმარება აღუთქვა. 1-ლ ოქტომბერს, მეგობარ ა. ბ-ს გამოართვა მანქანა (ბე-ემ-ვე), შეცვალეს ნომრები, შემდეგ გა-უარეს მ. ღ-ს და სამივე მ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში წავიდ-ნენ. ადგილზე თ-დან ჩამოვიდა ზ. ჯ, რომელმაც თქვა, რომ თ-ი, დახვდებოდნენ მისი მეგობრები – გ. გ. და გ. ა, რომლებიც აუხ-სნიდნენ დანარჩენს. მართლაც, წავიდნენ თ-ი, სადაც ც-ს ქუჩაზე „X6“ ავტომობილით დახვდნენ – გ. და ა. შეთანხმდენენ, რომ ავ-ტომანქანა „X6“-ს გაცვებოდნენ უკან, გ. ჩაისვამდა ამ პირს მანქა-ნაში და ხალხისაგან მოშორებით, გააჩერებდა ავტომანქანას, სა-დაც დაკავების ინსცენირება უნდა მომხდარიყო. ისინი გაჰყვნენ გ. გ-ს, რომლის მანქანაშიც ჩაჯდა პირი. ერთ-ერთ მისამართზე, ავ-ტომანქანა გაჩერდა, მათაც უკან გაუჩერეს და პოლიციის ფორ-მებში ჩაცმულებმა „დააკავეს“ დ-ი. მას ნამდვილად ჰქონდა ცეც-ხლსასროლი იარალი, ასევე მობილური, რომლებიც ამოუღეს. ჩავ-სვეს თავის მანქანაში და წამოიყვანეს რ-ი. მ-მ დარეკა და რამდე-ნიმე წუთში მერსედესის მარკის ავტომობილით მივიღნენ – ზ. ჯ. და ა, რომელთაც გადაუსვეს ეს პირი. ტრანზიტული ნომრები და ამოლებული ნივთები გადაყარეს მ-ი.

მსჯავრდებულმა მ. ღ-მა საკასაციო სასამართლო სხდომაზე გა-ნაცხადა, რომ იგი აღიარებს და ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანა-შაულს. ამასთან, ეთანხმება გამოძიების სტადიაზე მოწმის სახით მიცემულ ჩვენებას. დ. მ-მ მ. ღ-ს დახმარება სთხოვა, ვინაიდან, მის დას პრობლემა ჰქონდა თავისი სიძის ყოფილ მეგობართან. მას ბიჭებმა საცხოვრებელ ბინასთან გაუარეს და მ-ს ბინასთან წავიდ-

ნენ. იქ მოვიდა ზ. ჯ, რომელმაც აუხსნა სიტუაცია. შემდეგ ისინი წავიდნენ ც-ე, სადაც მათ უნდა დახვედროდათ – გ. და ა. გადან-ყდა, რომ გაჰყვებოდნენ „Х6-ს“ ფირმის ავტომობილს, გ. ჩაისვამ-და ან გარდაცვლილს მანქანაში და ისეთ ადგილას გააჩერებდა, რომ მათ გადასვათ. ასეც მოხდა. გაჰყვნენ უკან, გადაისვევს მანქანა-ში და იარაღი ჩამოართვეს. შემოვლითი გზით წავიდნენ რ-ი. მ-მ დაურეკა ზ-ს. 15 წუთში მოვიდნენ – ა. და ჯ, რომლებსაც აღნიშნუ-ლი პირი გადასცეს. დ. მ-მ ამოღებული ნივთები და ტრანზიტული ნომრები მ-ში გადაყარა.

მსჯავრდებულებმა – მ. ღ-მა და დ. დ-მა საკასაციო სასამარ-თლოს სხდომაზე მოითხოვეს მათსა და პროკურორ ხატია გოგრი-ჭიანს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო დარწმუნდა, რომ საპრო-ცესო შეთანხმების დადებისას დ.დ-სა და მ. ღ-ს მიმართ არ გან-ხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა ან რაი-მე უკანონო დაპირება; მსჯავრდებულთა განმარტებით, მათ ჰქონ-დათ შესაძლებლობა, მიეღოთ ადგომატისაგან ეფექტური დახმა-რება. სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება და-დებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების, ან რაიმე უკა-ნონო დაპირების გარეშე. საპროცესო შეთანხმება წებაყოფლობით არის დადებული და მსჯავრდებულები წებაყოფლობით აღიარე-ბენ ბრალს, სრულად აცნობიერებენ შეთანხმების, მათ შორის – წასამართლობის სამართლებრივ შედეგებს; დ. დ. და მ. ღ. სრულად აცნობიერებენ დანაშაულს, რომელთა ჩადენაშიც ბრალი ეფიქა, სრულად აცნობიერებენ იმ დანაშაულთათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომელთა ჩადენასაც ისინი აღიარებენ, მათთვის ცნო-ბილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ; აცნობიერებენ, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია, მომავალში მათ წინააღმდეგ გამოყე-ნებულ იქნეს წებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ისინი საპრო-ცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიაწვდიან. სასა-მართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ დ. დ. და მ. ღ. სრულად აცნობიერებენ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კა-ნონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, სრულად აღიარე-ბენ ბრალს და ეთანხმებიან პროკურორს სასჯელის ზომაზე.

საკასაციო სასამართლო დარწმუნდა, რომ მსჯავრდებულ დ. დ-სა და მ. ღ-სათვის ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მათი უფლებები; ასევე ისიც, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მათ

სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. მსჯავრდებულები ეთანხმებიან ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს, საპროცესო შეთანხმებაში ასახულია მსჯავრდებულებსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა. დ. დ. მ. ღ. და მათი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს. დ. დ. და მ. ა. სევე აცნობიერებენ, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს, შუამდგომლობაში მითითებული სასჯელის მეშვეობით საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, მსჯავრდებულთა პიროვნებას, მათ ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მოტივსა და მოვალეობათა დარღვევის ზომას. სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელი კანონიერი და სამართლიანია, რის გამოც არსებობს საქართველოს სსკ-ის 213-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული, შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

ამდენად, პროკურორ ხატია გოგრიჭიანის შუამდგომლობა მსჯავრდებულების – დ. დ-სა და მ. ღ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მსჯავრდებულების – დ. დ-ს, მ. ღ-სა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ – ი. მ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარის (მ. ღ-სა და დ. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ – ნ. გ-ს) საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს განხილული; ხოლო საპროცესო შეთანხმება პროკურორ ხატია გოგრიჭიანსა და მსჯავრდებულ მ. ღ-ს შორის უნდა დამტკიცდეს მასში ასახული პირობების შესაბამისად.

3. ზ. ჯ-ს, გ. გ-ს, დ. მ-სა და გ. ა-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების ეპიზოდები:

რაც შეეხება სხვა მსჯავრდებულებს – ზ. ჯ-ს (დამნაშავედ ცნობილი – საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2019 წლის 1-ლ ოქტომბერს მოქმედი რედაქციით), გ. ა-ს (გამართლებული – საქართვე-

ლოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 2019 წლის 1-ლ ოქტომბერს მოქმედი რედაქციით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), გ. გ-სა (დამნაშავედ ცნობილი – საქართველოს სსკ-ის 25, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) და დ. მ-ს (დამნაშავედ ცნობილი – საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), მათ მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საკასაციო პალატა ცალკე გააანალიზებს. ბრალდების შესახებ დაფგენილების ფაბულის შინაარსისა და წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დ. მ-ს უკანონოდ თავისუფლების აღკვეთას, ხოლო შემდგომში, მის განზრას მკვლელობას (დამამძიმებელ გარემოებებში), წინ უძლოდა გარკვეული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც საბოლოო ჯამში დაკავშირებულნი არიან დანაშაულის ჩადენის სუბიექტურ მხარესთან, განზრახვასთან. მეტი თვალსაჩინოებისათვის, საკასაციო პალატა განვითარებულ მოვლენებს მიმოიხილავს ორ ნაწილად: შემთხვევის დღემდე განვითარებულ და უშუალოდ შემთხვევის დღეს განვითარებულ მოვლენებად და წარმოდგენილი მტკიცებულებების ფონზე, მათ ცალ-ცალკე გააანალიზებს.

3.1. შემთხვევის დღემდე განვითარებული მოვლენები, დანაშაულის ჩადენის მოტივი:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების შესახებ დაფგენილების თანახმად – გ. ა-ა და ზ. ჯ-მ დ. მ-ესთან დაპირისპირების გამო, მისი თავისუფლების უკანონო აღკვეთა და შურისძიების მოტივით მისთვის სიცოცხლის მოსპობა დაგეგმეს. ამდენად, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე თავდაპირველად შეფასდეს ნამდვილად იკვეთება თუ არა შურისძიების მოტივი და თუ – კი, რას ეფუძნება იგი.

განსახილველ ნაწილში საკასაციო სასამართლო აფასებს მათ შორის – მოწმეების: დაზარალებულის უფლებამონაცვლის დ. დ-ის, ნ. დ-ის, მ. მ-ს, გ-ა დ-ის, თ. ლ-ს, ლ. ლ-ს, თ. ჯ-ა და ს. ბ-ს ჩვენებებს. ხსენებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით დგინდება რამდენიმე გარემოება, კერძოდ, რომ: გარდაცვლილი დ. მ-ე კარგად იცნობდა, მეტიც, წარსულში მეგობრობდა – გ. ა-თან, გ. გ-სა და ზ. ჯ-სთან, გარკვეული ხნის შემდეგ კი, გ. ა-სა და ზ. ჯ-სთან ჰქონდა კონფლიქტი; შემთხვევამდე მცირე ხნით ადრე, კერძოდ, 2019 წლის სექტემბერში, მოწმეები მიუთითებენ დ. მ-ესა და ს. ბ-ს (ზ. ჯ-ს ძმა) შორის მომხდარ კამათზე/ინციდენტზე. აღნიშნული ფაქტი თავის მხრივ, დამატებით მიუთითებს პირთა შორის დაპირისპირების ხარისხსა და ფარგლებზე, კერძოდ:

მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის უფლებამონაც-

ვლის – დ.დ-ის განმარტებით, მის გარდაცვლილ ვაჟს, ზ. დ-ს გვარი ჰქონდა შეცვლილი და რეგისტრირებული იყო, როგორც – დ. მ-ე. მისი შვილი მეგობრობდა – გ. ა-თან, გ.გ-სა და ზ. ჯ-სთან. ამასთან, გ. ა. იყო მისი შვილიშვილის ნათლია. მისთვის ცნობილია, რომ ბოლო წლებში მის ვაჟს გ. ა-სა და ზ. ჯ-სთან ჰქონდა კონფლიქტი, მაგრამ მიზეზი მისთვის უცნობია.

მონმე მ. მ-ს განმარტებით, მის ვაჟს დ. მ-ეს, კონფლიქტი ჰქონდა ზ. ჯ-სა და გ. ა-თან, რის გამოც იყო მუდმივი შიშში. გადმოცემით იცის, რომ მომხდარ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, ზ. ჯ-ს ძმას – ს. ბ-ს თავი ჩაურტყამს სახეში დ. მ-სათვის. მისთვის ცნობილია, რომ მისი ვაჟის – დ. მ-ს შიშები გამოწვეული იყო ზ. ჯ-სა და გ. ა-ს მხრიდან მუქარით. მისი განმარტებითვე, გარდაცვალებამდე მის შვილს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გ. გ-თან.

მონმე ნ. დ-ის განმარტებით, დაახლოებით შვიდი-რვა წლის წინ, ზ. ჯ-სა და გ. ა-ს კონფლიქტი ჰქონდათ მის ძმასთან, ან გარდაცვლილ დ. მ-სთან. მომხდარ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 2019 წლის სექტემბერში, ლ. ღ-ე მიაგზავნეს ზ. ჯ-სთან, მაგრამ ვერ შერიგდნენ. მათი შეხვედრისას, ს. ბ. ფიზიკურად შეხებია დ. მ-ეს. დ. მ-ეს კონფლიქტი მოსვლია ლ. ღ-თანაც. მისი ძმისგან (დ. მ-სგან) გაგებული ჰქონდა, რომ გ. ა. და ზ. ჯ. რაღაცას უმზადებდნენ.

მონმე გ-ა დ-ის ჩვენებით, არის გარდაცვლილ დ. მ-ს მეუღლე. მისთვის ცნობილია, რომ მის მეუღლეს ბოლო ექვსი-შვიდი წელია, კონფლიქტი ჰქონდა ზ. ჯ-სა და გ. ა-თან. მონმემ ასევე მიუთითა, რომ 2019 წლის სექტემბერში, მომხდარ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, ს. ბ-ს თავი ჩაურტყამს სახეში მისი მეუღლისთვის, რის გამოც მის მეუღლეს თვალი ჰქონდა ჩაღურჯებული.

მონმე თ. ლ-ს ჩვენებით, იცნობს გ. გ-ს, ზ. ჯ-სა და გ. ა-ს. გარდაცვლილი დ. მ-ე იყო მისი მეგობარი. 2019 წლის 18 სექტემბერს, დ. მ-ე დაუკავშირდა ტელეფონით და სთხოვა, დახვედროდა ხ-ი. დღის გარკვეული პერიოდი გაატარეს ერთად. მოგვიანებით, დაშორებიდან რამდენიმე საათში, დაუკავშირდა დ. მ-ე, რომლისგანაც გაიგო, რომ კამათი მოსვლია ს. ბ-სა და ლ. ღ-სთან და სთხოვდა თ-ი წაყვანას. შელაპარაკების მიზეზი მისთვის უცნობია. მან იმავე სალამოს წაიყვანა თ-ი დ. მ-ე და დატოვა მ-ი მდებარე მისავე საცხოვრებელ სახლში. გზაში მსვლელობისას, დ. მ-სთვის რაიმე დაზიანება არ შეუმჩნევია. არ პასუხობდნენ ლ. ღ-ს ზარებს.

მონმის სახით დაკითხული ლ. ღ-ს ჩვენებით დადასტურებულია, რომ იცნობს გ. გ-ს, ზ. ჯ-სა და გ. ა-ს. ასევე იცნობდა გარდაცვლილ დ. მ-ეს. 2019 წლის 18 სექტემბერს, სალამოს, დ. მ-ე მივიდა ხ-ი მდებარე მის ოფისში, სადაც ასევე იმყოფებოდა ზ. ჯ-ს ძმა – ს. ბ.

უცებ, ს. ბ-მ თავი დაარტყა დ. მ-ეს, რაზეც ატყდა ჩოჩქოლი. იმ საღამოსვე დაურეკა დ. მ-ეს და შეხვდა. აუხსნა, რომ ს. ბ-მ თავი იმიტომ დაარტყა, რომ მისასალმებლად გაწვდილი ხელი არ ჩამო-ართვა. მოულოდნელად, დ. მ-ემ აიღო რაღაც რენის საგანი, რომე-ლიც სამოც სანტიმეტრამდე გაიშალა და ჩაარტყა თავში, საფე-ქელთან.

მონმეთ თ. ჯ-ს ჩვენებით დადასტურებულია, რომ გარდაცვლი-ლი დ. მ-ე იყო მისი მეგობარი. 2019 წლის 18 სექტემბერს ხ-ი, საღა-მოს დ. მ-ე მივიდა მის ოჯახში და სთხოვა, მიეყვანა ლ. ლ-ს სანახა-ვად. მან დ. მ-ე ლ. ლ-ს ოფისში მიიყვანა და დატოვა მისივე თხოვ-ნით. დაახლოებით თხუთმეტ წუთში, დაურეკა დ. მ-ემ და უთხრა, რომ მის სახლთან იყო მისული. ჩასვლისას ნახა, რომ დ. მ-ეს თავზე მაისური ჰქონდა შემოხვეული. უთხრა, რომ ს. ბ-მ თავი ჩაარტყა სახეში. მათთან ლ. ლ-ე მივიდა და დ. მ-ე ცალკე გაიყვანა საღაპა-რაკოდ. მათ შორის დაძაბული საუბარი განმუხტა კ. ც-ნ ერთად.

მოწმის სახით დაკითხული ს. ბ-ს ჩვენებით, არის ზ. ჯ-ს ძმა. იცნობს გ. ა-ს, გ. გ-სა და დ. მ-ს. ბაგშვილიდან იცნობდა გარდაც-ვლილ დ. მ-ეს და მასთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, თუმცა ბო-ლო ექვსი-შვიდი წელი არ ჰყავდა ნანახი ამ უკანასკნელის საზ-ლვარგარეთ ყოფნის გამო. 2019 წლის 17-18 სექტემბერს, რიცხვი ზუსტად არ ახსოვს, საღამოს, ხ-ი, ლ. ლ-ს ოფისში დ. მ-ეს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. იმის გამო, რომ არ ჩამოართვა, გაბრა-ზებულმა თავი ჩაარტყა სახეში.

კასატორი – გ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასა-ციონ საჩივარში აპელირებს, რომ მოწმეები ვერ ადასტურებენ თუ რა საკითხს შეეხებოდა კონფლიქტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როდესაც კონკრეტულ ფაქტს წინ უძღვის რაიმე სახის კონ-ფლიქტი, რომელიც შემდგომ ხდება გარევეული მოტივის, გან-ზრახვის განმაპირობებელი ფაქტორი, სავალდებულო არ არის მი-სი კონკრეტული შინაარსის ცოდნა, ვინაიდან, რიგ შემთხვევაში, მოცემული კონფლიქტის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა პი-რი არც უმხელდეს მიზეზს თავის ახლობლებს, რაც არ გამორიც-ხავს ცალკე აღებული დაპირისპირების არსებობასაც, რაზეც მო-ცემულ შემთხვევაში, არაერთმა მოწმემ მიუთითა. ზოგადად, და-ძაბული ვითარების არსებობას დამატებით, მიუთითებს ზ. ჯ-ს ძმას-თან მომხდარი წინარე ინციდენტიც.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ნაწილში დაცვის მხარის ხსენებული არგუმენტი ვერ გახდის საეჭვოს ბრალდების შესახებ დადგენი-ლების იმ ნაწილს – სადაც საუბარია გ. ა-სა და ზ. ჯ-ს დ. მ-ესთან დაპირისპირების თაობაზე.

საქმეში წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე, აღ-

ნიშნული ფაქტიდან გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ, მოვლენები ვითარდება იმგვარად, რომ დ. მ-ე იყარგება, კერძოდ, ნ. დ-ის 2019 წლის 2 ოქტომბრის განცხადების თანახმად, 2019 წლის 1-ლ ოქტომბერს, საცხოვრებელი სახლიდან გავიდა მისი ძმა, დ. მ-ე, რომელიც სახლში არ დაბრუნებულა. აღნიშნული განცხადების პარალელურად, საკასაციო პალატა დეტალურად აფასებს იმ ინფორმაციას, რომელიც ოჯახს დ. მ-ს ბოლო ადგილსამყოფლის თაობაზე – ნ. ბ-სგან და ან გარდაცვლილის მეგობრისგან – გ. გ-საგან გააჩნდა, კერძოდ: მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის უფლებამნაცვლის დ. დ-ის განმარტებით, 2019 წლის 2 ოქტომბერს დაურეკა ქალიშვილმა ნ. დ-მა, აცნობა, რომ დ. მ-ე ღამე სახლში არ მისულა და რომ, მობილური ტელეფონიც გათიშული ჰქონდა. როგორც გაირკვა, იგი ბოლოს, ვინმე „ბ-ბ“ (ნ. ბ-სთან) ერთად ყოფილა. თავად ნ. ბ-ს განმარტებით დაადგინეს, რომ მასთან საუბრის შემდეგ, დ. მ-ე გ. გ-ს ავტომანქანით ნასულა, თუმცა, თავად გ. გ. დ. მ-ესთან ერთად ნასვლას უარყოფდა. დ. მ-ს გაუჩინარების თაობაზე აცნობეს პოლიციას. ამავე დროს, იმ ადგილას, სადაც „(ნ. ბ) და გ. გ. დ. მ-ს ნახვას ადასტურებდნენ, გასართობ ცენტრ „პ-ის“ კამერებში ნახეს, რომ მისი ვაჟი, დ. მ-ე გ. გ-ს ჩაუჯდა მანქანაში და ერთად ნავიდნენ. კამერების ნახვის შემდეგ, 4 ოქტომბერს, გ. გ-მა დაუდასტურა, რომ დ. მ-ე მართლაც ჩაუჯდა მანქანაში. მოწმის განმარტებით, მას ჰქონდა რეგისტრირებული „მაკაროვის“ სისტემის იარაღი, რომელსაც კარადაში ინახვდა და გასაღებიც მხოლოდ მას ჰქონდა. შვილის გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინა, რომ იარაღი ადგილზე აღარ იყო. მისი აზრით, მის შვილს საფრთხე ელოდა და ამიტომ აიღო მისი იარაღი.

მოწმე ნ. დ-ის განმარტებით, 2019 წლის 2 ოქტომბერს მისი რძლის გ. დ-ისაგან შეიტყო, რომ ღამით, დ. მ-ე სახლში არ მისულა და ტელეფონიც გათიშული ჰქონდა. გასართობ ცენტრ „პ-ის“ კამერებში ნახეს, რომ დ. მ-ე გ. გ-ს ჩაუჯდა მანქანაში და ერთად ნავიდნენ. გ. გ-მა თავდაპირველად, უარყო დ. მ-ესთან შეხვედრა, თუმცა, „პ-ის“ კამერების ნახვის შემდეგ დაადასტურა, რომ დ. მ-ე მართლაც ჩაუჯდა მანქანაში, მაგრამ აღნიშნავდა, რომ გზაში დ. მ-ე სხვასთან გადაჯდა. მოგვიანებით თქვა, რომ დ. მ-ე იარაღით ყოფილა და პოლიციელებს ნაუყვანით რ-ი. გ. გ. ერთ-ერთი პოლიციოელს, გვარად მ-ს ასახელებდა. მან გ. გ-ს საუბარი ფარულად ჩაინერა ტელეფონით და გადასცა გამომძიებელს.

2019 წლის 5 ოქტომბერს ნ. დ-ს, დ. დ-ს, მ. ქ-სა და გ. გ-ს შორის შემდგარი შეხვედრისა და საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერის თანახმად, გ. გ. მათ უდასტურებს, რომ 2019 წლის 1 ოქტომბერს, 20:00 საათზე დაურეკა დ. მ-ეს, გაიყვანა სახლიდან და მიუთითა

ტერიტორიაზე, სადაც ჩამოსვა იმ მიზნით, რომ დ. მ-ე უნდა შეხვედროდა მისთვის უფრობ პირებს. ამავე ჩანაწერის მიხედვით, გ. გ. აცხადებს, რომ გზაში დ. მ-ე მობილურით ელაპარაკებოდა ვიღაცას.

მონმე ნ. დ-ის მიერ წარდგენილ აუდიოჩანაწერთან დაკავშირდით, 2019 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს შსს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ფონოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად:

1) ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ სადავო აუდიოჩანაწერში: „20191005-141005.მ4ა“ მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე გ. გ-ს ხმის;

2) ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ აუდიოჩანაწერს „20191005-141005.მ4ა“ მონტაჟის კვალი არ აღენიშნება.

აღნიშნული დასკვნის ავთენტიკურობა დაადასტურა სასამართლო სხდომაზე დასკვნის გამცემმა ექსპერტმა – ე. კ-მა, რომლის განმარტებითაც, კვლევის შედეგად გაცემული დასკვნა კატეგორიულია და ცდომა არ არსებობს.

გასართობი ცენტრი „ჰ-ის“ კამერების ჩანაწერებით, რომელიც გამოკვლეულ იქნა მონმე ნ. დ-ის თანდასწყებით, დადასტურებულია, რომ 2019 წლის 1 ოქტომბერს, 19:59 საათზე კადრში ჩნდება თეთრი „BMW-ს“ მარკის ჯიპი, რომლის ნომერიც არ ჩანს. 20:01 საათზე გამოჩენდა ახალგაზრდა მამაკაცი. ნ. დ-ის განმარტებით, მისი ძმა დ. მ-ე ელაპარაკება ახალგაზრდა მამაკაცს ნ. ბ-ს, იგივე „ბ-ს.“ რამდენიმე წუთის შემდეგ, მისი ძმა აღებს თეთრი მანქანის კარს და ჯდება მასში. ჩაჯდომისას, კადრში ჩანს მხოლოდ მამაკაცის ფეხი. მონმის განმარტებით, ეს მისი ძმა დ. მ-ეა, რომელიც ჯდება გ. გ-ს ავტომანქანაში. იგივე დაადასტურა აღნიშნული კადრის ნახვისას, ნ. ბ-მაც.

დ. მ-ს მობილური ტელეფონის – დეტალური ინფორმაციით დადასტურებულია, რომ დ. მ-ს მობილური ტელეფონის ნომერზე 2019 წლის 1 ოქტომბერს, 19:59 საათზე ბოლო სატელეფონო ზარი დაფიქსირებულია გ. გ-ს მობილური ტელეფონიდან.

მონმე გ. დ-ის ჩვენებით (გარდაცვლილ დ. მ-ს მეულლე), 2019 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს რგა საათზე, მისი სახლში დაბრუნების შემდეგ, მეულლე გავიდა სახლიდან. სახლიდან გასვლისას ეცვა ლურჯი შორტი, სპორტული ფეხსაცმელი და ზოლიანი ღია ფერის მაისური. მისი ჩაცმულობის გამო იფიქრა, რომ მალე დაბრუნდებოდა. დ. მ-ე სარგებლობდა მობილური ტელეფონის ნომრით – დ. მ-ე მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. მოგვიანებით, ტელეფონი გაითიშა. მეულლის მეგობრებს, მათ შორის გ. გ-საც ურეკავდა და კითხულობდა, რამე ხომ არ იცოდნენ. გ. გ.

პასუხობდა, რომ საერთოდ არ ჰყავდა იმ დღეს ნანახი. მოგვიანებით, „ჰ-ის“ კამერების ჩანაწერებით აღმოჩნდა, რომ ეზოში 6. ბ-სთან საუბრის შემდეგ, დ. მ-ე გ. გ-ს ჩაუჯდა მანქანაში და წავიდნენ, რაც საუბარში დაადასტურა 6. ბ-მაც. „ჰ-ის“ კამერების ჩანაწერების ნახვის შემდეგ, გ. გ. არწმუნებდათ, რომ დ. მ-ე პოლიციას ჰყავდა გატაცებული და მაღლე დაბრუნდებოდა. მოგვიანებით, ისიც გაიგეს, რომ ზ. ჯ-ს ნათესავი იყო პოლიციელი მ.

მოწმე 6. ბ-ს ჩვენებით (ზედმეტსახელად – „...“), დ. მ-ე გაიცნო მეტადონით ჩანაცვლებითი პროგრამით მკურნალობისას. დ-მა 2019 წლის სექტემბრის ბოლოს გააცნო გ. გ, რომელიც იმყოფებოდა „BMW-ს“ მარკის, თეთრი X-6-ით. 2019 წლის 1 ოქტომბერს, სალამოს შეხვდა დ. მ-ეს, ამ უკანასკნელის საცხოვრებელ კორპუს-თან. გამოლაპარაკებისას, დ. მ-სგან გაიგო, რომ გ. გ-თან ერთად აპირებდა გასვლას; მასთან საუბრის დამთავრებისთანავე, ჩაჯდა თეთრ ავტომანქანა X-6-ში. მოწმე 6. ბ-ს ნარედგონა „ჰ-იდან“ ამოღებული კამერის ჩანაწერი, რომელზეც დაადასტურა, რომ კადრში შარვლიანი არის თვითონ, მოკლე შარვალი (ბრიჯი) კი აცვია დ. მ-ეს. თეთრი „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა X-6-ით არის გ. გ, რომლის მანქანაშიც ჯდება დ. მ-ე.

მოწმის სახით დაკითხული, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევეს სამმართველოს გამომძიებლის, 6. ლ-ს ჩვენებით, წარმოებაში ჰქონდა სისხლის სამართლის საქმე დ. მ-ს გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით. გამოკითხა გ. გ. (რომელიც დ. მ-ს ოჯახის წევრების განმარტებით, დ. მ-ეს შეხვდა ბოლოს). გამოკითხვისას, გ. გ-მა დაადასტურა, რომ 2019 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით, 20:00 საათზე, მან დაურეკა დ. მ-ეს, შეხვდა მისი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ, ხოლო შემდეგ დაშორდა.

მოწმის სახით დაკითხული რ მ-ს ჩვენებით, გ. გ-თან, გ. ა-სა და ზ. ჯ-სთან აქვს მეგობრული ურთიერთობა. ასევე მეგობრობდა ან გარდაცვლილ – დ. მ-ესთან. მეგობრისგან, თ. ლ-სგან გაიგო დ. მ-ს გაუჩინარების შესახებ. იგი თ. ლ-ნ ერთად მივიდა დ. მ-ს სახლში, სადაც დახვდნენ დ. მ-ს ოჯახის წევრები და 6. ბ. იქ გაიგო, რომ გაუჩინარებული დ. მ-ე, ნინა სალამოს გ. გ-ს ჩასჯდომია თეთრ ავტომანქანა X-6-ში და მასთან ერთად ნასულა. ამის შემდეგ, მან დაურეკა გ. გ-ს, რომელმაც აღნიშნული ფაქტი დაადასტურა, მაგრამ უთხრა, რომ ორი წუთის შემდეგ, გადავიდა. კამერების ჩანაწერების ნახვის შემდეგ, გ. გ. დ. მ-ს სახლში დაიბარეს. მან დაადასტურა მისი ავტომანქანა X-6-ით დ. მ-ს ნაყვანა და განმარტა, რომ დ. მ-ს თხოვნით არ ამხელდა ამ ინფორმაციას.

მოწმე თ. ლ-ს ჩვენებით, იგი იცნობს გ. გ-ს, ზ.ჯ-სა და გ. ა-ს.

გარდაცვლილი დ. მ-ე კი იყო მისი მეგობარი. 2019 წლის 2 ოქტომბერს გ-ა დ-ისგან გაიგო, რომ დ. მ-ე ლამე სახლში არ მისულა და დახმარება სთხოვა. შეიკრიბნენ დ. მ-ს სახლში. შეკრებილ მეგობრებს შორის იყო გ. გ-ც, რომელიც უარყოფდა დ. მ-ესთან შეხვედრას. ორი დღის შემდეგ, გ. დ-ისგან უკვე იცოდა, რომ 2019 წლის 1 ოქტომბრის საღამოს, დ. მ-ე გ. გ-ს წაუყვანია თავისი ავტომანქანით. გ. გ-თან განმეორებით შეხვედრისას, გ. გ-მა აღიარა, რომ იმ საღამოს თეთრი X-6-ით წაიყვანა დ. მ-ე, თუმცა სად – არ უთქვამს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზემოაღნერილი მტკიცებულებების მიხედვით, გ. გ. წარმოადგენს უკანასკნელ პირს, რომელთანაც დ. მ-ეს მის გაუჩინარებამდე ჰქონდა უშუალო კონტაქტი. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია ის პოზიცია, რომელსაც გ. გ. დ. მ-ს ოჯახის წევრებს ანუდიდა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. გ. დ. მ-ესთან კომუნიკაციის თაობაზე ურთიერთსანინააღმდეგო და არასწორ ინფორმაციებს ანუდიდა როგორც ან გარდაცვლილის ოჯახს, ისე – სამართალდამცავ ორგანოს, კერძოდ:

თავდაპირველად, დ. მ-ს ოჯახი ნ.ბ-სგან იგებს, რომ დ. მ-ე მასთან საუბრის შემდეგ, გ. გ-ს ავტომანქანით წავიდა, თუმცა, თავად გ. გ. დ. მ-ესთან ერთად წასვლას უარყოფს. მხოლოდ, კამერების ნახვის შემდეგ, დაადასტურა გ. გ-მა, რომ დ. მ-ე მართლაც ჩაუჯდა მანქანაში, მაგრამ მოწმე ნ. დ-ის განმარტებით, გ. გ. აღნიშნავდა, რომ გზაში დ. მ-ე სხვასთან გადაჯდა. მოვარინებით, კი თქვა, რომ დ. მ-ე იარაღით ყოფილა და პოლიციელებს წაუყვანიათ რ-ი. მოწმე გ-ა დ-ის ჩვენებით, გ. გ. არწმუნებდათ, რომ დ. მ-ე პოლიციას ჰყავდა გატაცებული და მაღლე დაბრუნდებოდა. თუმცა, როგორც გამომძიებელმა აღნიშნა, თავად საგამოძიებო ორგანოში გ. გ-მა გამოკითხვისას განაცხადა, რომ 2019 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით 20:00 საათზე მან დაურეკა დ. მ-ეს, შეხვდა მისი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ და დაშორდა.

დაცვის მხარე უთითებს, რომ მოწმები – ნ. დ-ი და გ-ა დ-ი სასამართლოს ანუდიან ცრუ ინფორმაციას, რომ გ. გ-მა მათ უამბო გატაცების თაობაზე. საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია რაიმე, უტყუარი სახის საფუძველი – ეჭვი შეიტანოს დ. მ-ს ოჯახის წევრთა ჩვენებებში. არ იკვეთება კონკრეტული ინტერესი, თუ რატომ უნდა განეცხადებინათ ცრუ ინფორმაცია ხსენებულ მოწმებს დ. მ-ს მეგობართან მიმართებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გ. გ. ზემოაღნიშნული ვერსიის გარდა, მიუთითებდა სხვა ვერსიებზეც, რომლებიც ერთმანეთისგან იყო განსხვავებული. თავდაპირველად, საერთოდ უარყოფდა დ. მ-ესთან შეხვედრას. მოცემულ გარემოე-

ბებში, საკასაციო სასამართლო დაცვის მხარის არგუმენტს მოწმე-ების – ნ. დ-ისა და გ-ა დ-ის ჩვენებების შეფასების ნაწილში, ვერ გაიზიარებს.

ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა უტყუარად დადასტურებულად მიიჩნევს შემდეგი სახის ფაქტობრივ გარემოებებს:

– გ. ა. და ზ. ჯ. დ. მ-ესთან თავდაპირველად ერთმანეთთან მე-გობრობდნენ, თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ მათ შორის ადგილი ჰქონდა რამდენიმენლიან დაპირისპირებას;

– შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 2019 წლის სექტემბერში, ხ-ი, ლ. ღ-ს ოფისში, დ. მ-ესა და ს. ბ-ს (ზ. ჯ-ს ძმა) შორის იყო კამათი, რა დროსაც ს. ბ-მ დ. მ-ეს სახეში თავი დაარტყა;

– დაპირისპირების გამო, დ. მ-ე იყო მუდმივ შიშში (ალნიშნულ-ზე მათ შორის მიუთითებს – მოწმე მ. მ-ე; ასევე – მოწმე დ. დ-ი, როდესაც განმარტავს, რომ შვილის გარდაცვალების შემდეგ, აღ-მოაჩინა, რომ მისი იარაღი ადგილზე აღარ იყო; მისი აზრით, მის შვილს საფრთხე ელოდა და ამიტომ ატარებდა იარაღს);

– გ. გ. იყო დ. მ-ს მეგობარი; მტკიცებულებების მიხედვით, გ. გ. წარმოადგენს უკანასკნელ პირს, რომელთანაც დ. მ-ეს მის გაუჩინარებამდე (ხ. ბ-ს შემდეგ), ჰქონდა უშუალო კონტაქტი, კერძოდ, ჩაჯდა მის მანქანაში, რის შემდეგაც მისი კვალი ოჯახის წევრები-სათვის სწორედ აქედან დაიკარგა;

– გ. გ. დ. მ-ს გაუჩინარების თაობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო და არასწორ ინფორმაციებს აწვდიდა როგორც აზ გარდაცვლილის ოჯახს, ისე – სამართალდამცავ ორგანოს, რაც თავის მხრივ, საფუძვლიანად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გ. გ-ს ვერსიის უტყუარობას (მითუმეტეს, რომ ისინი მეგობრები იყვნენ) და თავის მხრივ, განამტკიცებს ბრალდების მხარის მითითებებს – მისი დანაშაულში კონკრეტული ფორმით თანამონაწილეობის შესახებ.

3.2. შემთხვევის დღეს განვითარებული მოვლენები:

საკასაციო პალატა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, გაანალიზებს იმ მოვლენათა ქრონოლოგიას, რომელიც დ. მ-ს კვალის დაკარგვისა და ძებნის პარალელურად იქნა ჩადენილი – თავდაპირველად მისი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის, ხოლო შემდგომში კი მისი განზრას მკვლელობით, დამამძიმებელ გარემოებებში (ჯვუფურად და განსაკუთრებული სისასტიკით).

დ. დ-სა და მ. ღ-თან 2019 წლის 7 ოქტომბერს ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით, დგინდება, რომ: 2019 წლის 1 ოქტომბერს, დ. დ. მივიდა რ-ი, ალ. მ-ს ქუჩაზე დ. მ-სთან უბანში, „BMW-ს“ მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო ნომრით: ..., საიდანაც მასთან ერთად, ავტომანქანაზე ნომრების შეცვლის მიზნით,

წავიდნენ რ-ს სასაფლაოზე, სადაც შეცვალეს ნომრები და დააყენეს სხვა ნომრები. დ. დ. და მ. ღ. გამომძიებლებს უთითებენ და აჩვენებენ მ. ღ-თან შეცვედრის ადგილს, სადაც იგი ჩაისვეს ავტომანქანაში და გაემართნენ დ. მ-ს საცხოვრებელ კორპუსთან შეხვდნენ ზ. ჯ-ს და მასთან საუბრის დასრულების შემდეგ, ზემოაღნიშნული ავტომანქანით გაემართნენ თ-ი. ისინი უთითებენ კონკრეტულ ქუჩებს, რომელთა გავლით „BMW-ს“ მარკის მესამე სერიის ავტომანქანითა და უცხოური ნომრებით მივიდნენ – თ-ი, ც-ს ქუჩის №-თან, სადაც შეხვდნენ გ. გ-სა და გ. ა-ს და კიდევ ერთხელ შეათანხმეს დ. მ-ს სახლიდან მოტყუებით გამოყვანისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გეგმა. აღნიშნულის შემდეგ, გამომძიებლებს მიუთითეს ის ქუჩები, რომელთა გავლით ზემოაღნიშნული ავტომანქანით მივიდნენ დ. მ-ს საცხოვრებელ კორპუსთან – თ-ი, გ-ს ქუჩის №-თან და გაჩერდნენ მის მოპირდაპირე მხარეს, საიდანაც თვალყურს ადევნებდნენ გ. გ-ს, რომელიც „BMW X6-ის“ მარკის ავტომანქანით გაჩერებული იყო დ. მ-ს კორპუსთან და სწორედ მას უნდა გამოეყვანა დ. მ-ე სახლიდან. აღნიშნულის შემდეგ, მიუთითეს იმ ქუჩებზე, რომელთა გავლით მივიდნენ გ-ს მ-... მიკრორაიონის № კორპუსთან, სადაც შებოჭქს დ. მ-ე, წარათვეს იარაღი, მობილური და გადასცეს თავის ავტომანქანაში. ბრალდებულებმა მიუთითეს მარშრუტზე, რომლის გავლითაც, თ-ს შემოვლითი გზით ზემოაღნიშნული ავტომანქანით მივიდნენ რ-ი, თ-ს ქუჩის ბოლოს, მ-ნ მიმავალი გრუნტიანი გზის დასაწყისიდან დაახლოებით, ორას მეტრში არსებულ ტერიტორიაზე, სადაც დ. მ-ე გადასცეს იქ ავტომანქანა „მერსედესით“ მისულ – გ. ა-სა და ზ. ჯ-ს. აღნიშნულის შემდეგ, დ. ღ-მა და მ. ღ-მა გამომძიებლებს მიუთითეს ძველი და ახალი რ-ს დამაკავშირებელ ხიდთან არსებული ადგილზე, სადაც დ. მ-მ მ-ი გადაყარა ავტომანქანის ტრანზიტული ნომერი, დ. მ-ს მობილური ტელეფონი და „მაკაროვის“ სისტემის იარაღი (წერილობითი ფორმით გამოკვლეულია – პირველი ინსტანციის 2020 წლის 8 ივნისისა და 15 ივნისის სასამართლო სხდომებზე).

აღსანიშნავია, რომ იგივე ფაქტობრივი გარემოებებია დადასტურებული – დ. მ-ს 2019 წლის 7 ოქტომბერს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით (წერილობითი ფორმით გამოკვლეულია – პირველი ინსტანციის 2020 წლის 15 ივნისის სასამართლო სხდომაზე).

საგამოძიებო ექსპერიმენტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილე გამომძიებლების – ს. ე-ს, ს. ღ-ს, გ. ქ-ს, ი. გ-ს და გ. ფ-ს ჩვენებებით.

დ. მ-ს, დ. დ-სა და მ. ღ-ს მსგავსად, საკასაციო სასამართლო

სხდომაზე არ უღიარებია დანაშაული (რაც რათქმაუნდა, მისი უფლებაა) და მას არ დაუდასტურებია გამოძიების სტადიაზე მიცემული გამოკითხვის ოქმის შინაარსი. საკასაციო პალატა ხსენებულ საკითხს ეხება იმ კუთხით, რომ მოცემულ ვითარებაში პალატამ უნდა შეაფასოს რამდენად დაეყრდნობა დ. მ-ს მონაწილეობით შედგენილ საგამოძიებო ექსპერიმენტს ოქმს (როგორც ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებას).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, როდესაც ბრალდებული აღარ ადასტურებს მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, იგი საგამონაკლისო შემთხვევებში მაინც შესაძლოა იქნეს გამოყენებული, როგორც ბრალდების დამადასტურებელი პირდაპირი სახის მტკიცებულება (გამოძიების სტადიაზე მიცემული აღიარებითი ჩვენების გამოკლებით); აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევები დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით (იხ. №424აპ-16, №561აპ-15, №682აპ-21, №569აპ-22), კერძოდ:

№561აპ-15 სისხლის სამართლის საქმეში საკასაციო სასამართლო მიუთითა, რომ „საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბრალდებულებს ჩვენება არ მიუციათ, არამედ ვითარება აღადგინეს იმ ხერხების დემონსტრირებით, რაც მათ მიერ გამოყენებული იყო ბრალდების მხარის მიერ მათთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად. ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა კი ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. ამასთან, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პირდაპირი მტკიცებულებაა, რომელიც სასამართლო შეიძლება გამოიყენოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის. თუმცა, იმავეს თქმა შეუძლებელია საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების (ინფორმაციის) თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელზეც ვრცელდება ის ზოგადი შემზღვდავი წესი, რაზედაც პირდაპირ არის მითითებული მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.“

ე.ი. ამ სისხლის სამართლის საქმეში საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ვითარება აღდგა სწორედ იმ „სპეციალური ხერხების“ დემონსტრირებით, რაც პირმა მისთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად გამოიყენა, რის გამოც ოქმი მიჩნეულ იქნა ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს №424აპ-16 გადაწყვეტილების თანახმად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს მიენიჭა მტკიცებულებითი ძალა, ვინაიდან ბრალდებულმა გამომძიებლებს მიუთითა იმ მაღაზიასა და მასში განთავსებულ სექციაზე, სადაც დახები იყო დალაგებული. თავის მხრივ, მაღაზიის თანამშრომელმა მოწმედ დაკითხვის დროს აღნიშნა, რომ ამ მაღაზიაში, სწორედ ამ ადგილას, ისეთივე ტიპისა და ფორმის დანები იყიდებოდა (რაც ასევე დასტურდებოდა საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მაღაზიაში გადაღებული ფოტოდოკუმენტით).

პალატამ სხვა საქმეში მიუთითა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა (საგამოძიებო ექსპერიმენტის გაზიარების კუთხით), პირობითად, სხვა შემთხვევაში შეიძლება იყოს მოცემულობა, როდესაც მოწმის/დაზარალებულის ჩვენებაში ასახული ინფორმაციის აღდგენის პროცესში, საქმეზე დამატებით აღმოჩენილი იქნება რაიმე საგანი, დოკუმენტი, კვალი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ესე იგი, საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ასახავდეს ჩვენებისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას, რომლის რეალურობაც სწორედ ამ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში მოწმდება. მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას პირმა მიუთითა, თუ სად დამალა დანაშაულის საგანი, რომლის ნამდვილობა შემოწმდა, გამართლდა და გამომძიებლებმა იგი ამოიღეს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №682აპ-21 გადაწყვეტილება).

მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, მ. ღ-მა და დ. ღ-მა საკასაციო სასამართლო სხდომაზე აღიარეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაული და ამასთან, მიუთითეს, რომ ისინი ეთანხმებოდნენ მათი გამოკითხვის ოქმს/საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსს. რაც შეეხება, დ. მ-ს, საკასაციო სასამართლო მასთან ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, აგრეთვე იყენებს მტკიცებულებად კუმულაციურად, ორ, კონკრეტულ არგუმენტზე დაყრდნობით:

პირველი არგუმენტის თანახმად, დ. მ-სთან, მ.ღ-სა და დ. დ-თან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტი შემოიფარგლა არა-ერთი განსხვავებული, ერთმანეთისაგან დაშორებული ადგილით, კერძოდ:

პირველ სტადიაზე მათ მიუთითეს რ-ი არსებულ ლოკაციებზე, კერძოდ, ადგილზე, სადაც შეიცვალა ავტომანქანის ნომრები, სადაც დ. დ-მა და დ. მ-მ ავტომანქანაში ჩაისვეს მ. ღ. და სადაც შენერდნენ ზ. ჯ-ს;

შემდეგ, მათი მითითებული ლოკაციებზე დაკავშირებულია – თ-ნ და მოიცავს რამდენიმე ადგილს, კერძოდ: ც-ს ქუჩას – სადაც

ისინი შეხვდნენ გ. გ-სა და გ. ა-ს, დ. მ-ს საცხოვრებელ კორპუსთან მისვლას, საიდანაც – თვალყურს ადევნებდნენ გ. გ-ს და ლოკაციას, სადაც შებოჭეს დ. მ-ე, წაართვეს ნივთები და გადაისვეს თავის ავტომანქანაში;

მესამე ლოკაციად მითითებულია კვლავ რ-ე, სადაც უშუალოდ ხდება დ. მ-ს გადაცემა გ. ა-სა და ზ. ჯ-სათვის;

ხოლო მეოთხე ლოკაციად, მითითებულია ადგილზე, სადაც მ-ი გადაყარეს ტრანზიტული ნომერი და დ. მ-ს ნივთები.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, როგორ შეეძლოთ ბრალ-დებულებს მიეთითებინათ ამ რაოდენობის დეტალზე, ადგილზე, კონკრეტულ ლოკაციებზე შესაბამისი ქმედებების მითითებით. სრულიად არაბუნებრივია, დანაშაულთან დაუკავშირებელი პირი ფლობდეს ამ მოცულობის ინფორმაციას, მითუმეტეს ისეთი სახის გარემოებებთან მიმართებით, როგორებიც არის: დანაშაულის ჩადენის ფორმა, სტადიები, ერთმანეთისაგან დაშორებული ლოკაციები, გადაადგილების კონკრეტული მარშრუტები და ა.შ..

მეორე არგუმენტის თანახმად, საგამოძიებო ორგანომ დაათვალიერა დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტების დროს მითითებული გადაადგილების მარშრუტები, გამოიკვლია მითითებულ მარშრუტზე განთავსებული სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანანერები და სატელეფონო მომსახურების ანქების მონაცემები, რომელიც თანხვდენილი აღმოჩნდა მათ მიერ გამოძიებისათვის მიწოდებულ ინფორმაციასთან. შესაბამისად, ხსენებული მტკიცებულებები საგამოძიებო ორგანომ მოიპოვა სწორედ მას შემდეგ, რაც საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში ბრალ-დებულებმა საგამოძიებო ორგანოს მიუთითეს იმ კონკრეტულ, არაერთ ლოკაციაზე, რომელიც უკავშირდებოდა როგორც უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის მზადებას, ისე უშუალოდ ამ დანაშაულის აღსრულებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საგამოძიებო ორგანომ დაათვალიერა დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტების დროს მითითებული გადაადგილების მარშრუტები, გამოიკვლია მითითებულ მარშრუტზე განთავსებული სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანანერები, რომელიც შეესაბამება საგამოძიებო ექსპერიმენტში ასახულ ლოკაციებს, კერძოდ:

შპს „პ. რ-ს“ ვიდეოჩანანერებით: 2019 წლის 1 ოქტომბერს, 14:04 საათზე დ. დ. თავისი მართვის ქვეშ მყოფი მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანაში, სახელმწიფო ნომრით: -, ასხამს საწვავს. 14:29 საათიდან 17:36 საათამდე პერიოდში, იგივე ავტომანქანა, რომელსაც უკვე შეცვლილი აქვს ქართული სანომრე ნიშნები, უცხო-

ური სანომრე ნიშნებით – -- ფიქსირდება რ-ს სხვადასხვა ქუჩაში დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერებში. იმავდროულად, დ. დ-ს, დ. მ-სა და მ. ღ-ს სარგებლობაში არსებულ მოძილურ ტელეფონებს ემსახურებათ – რ-ი განთავსებული ანქები.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 14 მაისით დათარიღებული №.... ვიდეოექსპერტიზის დასკვნის თანახმად: წარმოდგენილ ვიდეო-ჩანაწერებზე ასახული ავტომობილი სანომრე ნიშნით – ... და ავტომობილი სანომრე ნიშნით – ..., ასევე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის ავტოსადგომზე განთავსებული ავტომობილი სანომრე ნიშნით – ..., არის ერთი და იგივე, ხოლო საქართველოს შსს საქართველო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2019 წლის 23 დეკემბრის პაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნით დგინდება, რომ თ. ნ. ხიდის დამაკავშირებელი საავტომობილი გზის მე-17 კილომეტრზე დამონტაჟებული კამერის ჩანაწერში 17:40:31 საათზე დაფიქსირებულ თ-სკენ მოძრავ მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანაში, სანომრე ნიშნით – – მძღოლის გვერდით ზის – მ. ღ.

მოწმე ა. ბ-ის განმარტებით, იგი დ. დ-თან მეგობრობს. მას საკუთრებაში ჰყავს მესამე სერიის, შავი, „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით: 2019 წლის 30 სექტემბერს, დ. დ-მა უთხრა, რომ მეორე დღისთვის, რამდენიმე საათით, თ-ი ჩასვლის მიზნით, ეთხოვებინა ავტომანქანა. იმ სააღმოსვე, მისი გასაღები გადასცა და მეორე დღეს, დ. დ-მა ავტომანქანა წაიყვანა მისი მშობლების ეზოდან. მოწმემ მიუთითა თავისი მანქანის განმასხვავებელ ნიშნებზე. მისი განმარტებით, გამომძიებელმა წარუდგინა რამდენიმე ვიდეო, ერთ-ერთ კამერაში ჩანდა, როგორ ასხამდა ბენზინს დ. დ. იმის მიუხედავად, რომ სხვა კამერების ჩანაწერებში ავტომანქანას უცხო ნომრები ეყინა, მან თავისუფლად ამოიცნო ავტომანქანა იმ ნიშნებით, რაც ჩამოთვალა სასამართლო სხდომაზე. მისივე განმარტებით, მას შემდეგ, რაც მისი ავტომანქანა ათხოვა დ. დ-ს, მისი მეგობრისგან ს. წ-ნ შემთხვევით გაიგო, რომ დ. დ. მართავდა მის ავტომანქანას უცხოური სანომრე ნიშნებით.

მოწმის სახით დაკითხული ქვემო ქართლის პოლიციის საპატ-რულო დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორების გ. მ-სა და თ. ზ-ს ჩვენებებით, დადასტურებულია, რომ სამსახურებრივად იცნობდნენ – დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს. 2019 წლის 1 ოქტომბერს, რ-ი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაახლოებით, 17:30 სთ-ზე შ-ს გამზირზე, შენიშნეს თ-ს მიმართულებით მოძრავი „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა უცხოური ნომრით. გადაამოწმეს ნომერი, რომელიც ბაზაში არ მოიძებნა. მაღაზია „მ-ს“ მიდამოებში დაეწივნენ აღნიშნულ ავტომანქანას და ნახეს, რომ შიგნით პოლი-

ციელები ისხდნენ: საჭესთან – დ. მ. და გვერდით – მ. ღ. პოლიციის ფორმებით, უკან – დ. დ. სამოქალაქო ფორმით. მიიჩნიეს, რომ ოპერატორიული მიზნით ეყენათ ეს ნომრები, მიესალმნენ და გზა განაგრძეს.

ამასთან, სხვა ვიდეოკამერის ჩანაწერების მიხედვით, ხსენებული, მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა სანომრე ნიშნით – ... აგრეთვე ფიქსირდება რ-ა და თ-ი (რაც შესაბამისია საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმთან, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, პირთა ლოკაციები შემოსაზღვრული იყო სწორედ – რ-თა და თ-თ), კერძოდ:

2019 წლის 1 ოქტომბერს, 17:36:22 საათზე, რ-ი, შ-ს ქუჩაზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერებში ფიქსირდება მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა სანომრე ნიშნით – ... როგორც მიემართება რ-ს გასასვლელისკენ. იმავე ქუჩაზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებში 2019 წლის 1 ოქტომბერს, 17:36:43 საათზე, იგივე მანქანა აგრძელებს მოძრაობას თ-ს მიმართულებით. 2019 წლის 1 ოქტომბერს, 17:40:31 საათზე თ. წ. ხიდის დამაკავშირებელი საავტომობილი გზის მე-17 კილომეტრზე დამონტაჟებული კამერის ჩანაწერში, ფიქსირდება თ-სკენ მოძრავი ზემოაღნიშნული მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომობილი, სანომრე ნიშნით – ამავე ჩანაწერში გარკვევით ჩანს, რომ ავტომანქანში ზის სამი პირი.

2019 წლის 1 ოქტომბერს, 17:48:36 და 17:49:56 საათებზე, თ-ი, ფ-ს დასახლებაში დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებში, ფიქსირდება მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის იგივე ავტომანქანა. იმავე დროულად, იმავე დღის 17:43 საათიდან 17:46 საათამდე დროის შუალედში, დ. მ-ს სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ... ნომერსა და მ. ღ-ს სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ... ნომერს ემსახურება – თ-ი, ფ-ს დასახლებაში განთავსებული ანძები.

2019 წლის 1 ოქტომბერს, 17:51:56 საათზე, თ-ი, ო-ს ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული კამერის ვიდეოჩანაწერებში, ფიქსირდება მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის იგივე ავტომანქანა. იმავდროულად, იმავე დღის, 17:48 საათიდან 17:52 საათამდე დროის შუალედში დ. მ-სა და მ. ღ-ს მობილურ ტელეფონებს ემსახურება თ-ი, ო-ში დამონტაჟებული ანძები.

აღნიშნულის შემდეგ, საკასაციო პალატა განსაკუთრებულად გამოჰყოფს ც-ს ქუჩაზე დაფიქსირებულ ვიდეოჩანაწერებს, ვინაიდან, როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით დგინდება, ხსენებულ ქუჩაზე ისინი (იგულისხმება დ. დ. დ. მ. ღ.) შეხვდნენ გ. გ-სა და გ. ა-ს და კიდევ ერთხელ შეათანხმეს დ.მ-ს სახლიდან

მოტყუებით გამოყვანისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გეგმა, კერძოდ:

2019 წლის 1 ოქტომბერს, 18:09:30 საათზე, თ-ი, კაზინო „ა-ა“ და ს-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებში, ფიქსირდება მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა სანომრე ნიშნით – ... რომელიც მიემართება ს-ს მოედნისკენ. 2019 წლის 1 ოქტომბერს, 18:10:47 საათზე, იგივე მანქანა ფიქსირდება თ-ი, კ-ა და ს-ის ქუჩების კვეთაზე და მიემართება ც-ს ქუჩისკენ. პარალელურად, 2019 წლის 1 ოქტომბერს, 18:02 საათიდან 18:13 საათამდე პერიოდში დ. მ-სა და მ. ღ-ს მობილურ ტელეფონებს ემსახურება თ-ი, გ-ა და კ. ქუჩაზე მდებარე სატელეფონო ანძები. იმავე დღეს, 18:13 საათზე დ. დ-ს მობილურ ტელეფონის ... ნომერს ემსახურება – თ-ი, შ-ს ქუჩაზე მდებარე სატელეფონო ანძა.

2019 წლის 1 ოქტომბერს, 18:21:55 საათზე, თ-ი, ც-ს ქუჩაზე დამონტაჟებული კამერის ვიდეოჩანანერებში ფიქსირდება – ზემოაღნიშნული მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა სანომრე ნიშნით – იმავდროულად, 2019 წლის 1 ოქტომბერს, 18:21 საათიდან 19:30 საათამდე, დ. მ-ს, ღ-ს და მ. ღ-ს მობილურ ტელეფონებს ემსახურება – თ-ი, ს-ს ტერიტორიაზე, კერძოდ, გ-ს, ც-ს, ფ-სა და ხ-ს ქუჩებზე განთავსებული სატელეფონო ანძები. ასევე, 18:11 საათიდან 19:33 საათამდე, გ. გ-ს მობილური ტელეფონის ... ნომერს ემსახურება თ-ი, კ. შ-ს, ს-სა და ც-ს ქუჩებზე დამონტაჟებული სატელეფონო ანძები. 18:23 საათიდან 21:00 საათამდე, გ. ა-ს მობილური ტელეფონის – ნომერს ემსახურება – თ-ი, ს-ს, ფ-ს, ჭ-ს, ც-სა და მ-ის ქუჩებზე განთავსებული სატელეფონო ანძები.

ვიდეოჩანანერებში აგრეთვე იკვეთება გ. გ-ს ავტომანქანაც, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში, იგი სწორედ მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანის პარალელურად მოძრაობს. რაც შეესაბამება საგამოძიებო ექსპერიმენტში მითითებულ იმ გარემოებას, რომ მათ ც-ს ქუჩის შემდეგ, გადაინაცვლეს დ. მ-ს საცხოვრებელ კორპუსთან, კერძოდ:

2019 წლის 1 ოქტომბერს, 19:30:59 საათზე, თ-ი, პ-ა და პ-ს ქუჩების კვეთაზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებში ფიქსირდება მესამე სერიის BMW-ს მარკის ავტომანქანა სანომრე ნიშნით – ამავე ადგილზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებში იმავე დღეს, 19:34:25 საათზე, ფიქსირდება გ. გ-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა „BMW X6“, სახელმწიფო ნომრით იმავე დღის, 19:30 საათიდან 19:41 საათამდე დროის პერიოდში, დ. მ-ს მობილურ ტელეფონს ჯერ ემსახურება თ-ი, ს-ზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან განთავსებული სატელეფონო ანძა, ხოლო შემდეგ – მდინარე მ-ს მ-ზე მდებარე სატელეფონო ანძები, ხოლო 19:30

საათზე მ. ღ-ს მობილურ ტელეფონს ემსახურება თ-ი, კ. ქუჩაზე მდებარე სატელეფონო ანძა.

2019 წლის 1 ოქტომბერს, 19:40:17 საათზე, თ-ი, მ-ე, გ-ს ქუჩაზე, ე.წ. „ე-ს“ ხიდთან დამონტაჟებული კამერების ვიდეოჩანანერებში ჩნდება ბ. ქუჩის მიმართულებით მოძრავი გ. გ-ს მართვის ქვეშ მყოფი BMW X6, სახელმწიფო ნომრით –

2019 წლის 1 ოქტომბერს, 19:49:17 საათზე, თ-ი, ბ-ა და ჩ-ს ქუჩების კვეთაზე განთავსებული კამერების ვიდეოჩანანერებში ფიქ-სირდება გ. გ-ს მართვის ქვეშ მყოფი BMW-X6-ის მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით ... და მის პარალელურად, გვერდით, მარცხენა მხარეს მოძრავი მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა, სანომრე ნიშნით – დაახლოებით ერთ წუთში, თ-ი, ბ-ა და ბ-ს ქუჩების კვეთაზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებში, კვლავ ჩნდება ერთმანეთის პარალელურად მოძრავი, ზემოაღნიშნული თეთრი BMW-X6-ის მარკის ავტომანქანა და მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა. იმავდროულად, 2019 წლის 1 ოქტომბრის 19:49 საათიდან 19:51 საათამდე, დ. მ-ს მობილურ ტელეფონს ემსახურება – თ-ი, ბ. ქუჩაზე მდებარე სატელეფონო ანძა.

2019 წლის 1 ოქტომბერს, 19:53:48 საათზე, თ-ი, შ-ის ქუჩაზე, ე.წ. გ-ს ხიდებთან დამონტაჟებული ვიდეოკამერის თვალთახედვის არეში, ექცევა მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა სანომრე ნიშნით – ... და გ. გ-ს თეთრი „BMW X6“ მარკის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით - 20:00 საათზე, თ-ი, გ-სა და ნ-ს ქუჩების კვეთაზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერებში, ფიქ-სირდება მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა სანომრე ნიშნით ..., რომელსაც არ უმუშავებს წინა მარჯვენა ფარი, ხოლო რვა წამში, მას უკან მიჰყვება გ. გ-ს თეთრი „BMW X6-ის“ მარკის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით ... დაახლოებით ერთ წუთში, დ. მ-ს საცხოვრებელი სახლის წინ - თ-ი, გ-ს ქუჩის №...-თან მდებარე გასართობი ცენტრ „ჰ-ის“ კამერის ვიდეოჩანანერში, ფიქსირდება გზაზე მოძრავი მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის შავი ავტომანქანა და გ. გ-ს „BMW X6-ის“ მარკის თეთრი ავტომანქანა, რომელიც ჩერდება გასართობ ცენტრ „ჰ-ის“ წინ. იმავდროულად, 2019 წლის 1 ოქტომბერს, 19:59 საათზე, გ. გ. თავისი მობილური ტელეფონის ზემოაღნიშნული ნომრით ურეკავს დ. მ-ეს მობილური ტელეფონის ... ნომერზე. ამ დროს, გ. გ-ს მობილურ ტელეფონს ემსახურება – თ-ი, გ-ს ქუჩაზე მდებარე სატელეფონო ანძა, ხოლო დ. მ-ს მობილურ ტელეფონს – თ-ი, მ-ი მდებარე სატელეფონო ანძა.

2019 წლის 1 ოქტომბერს, 20:11 საათზე, თ-ი, გ-ს მ-... მიკრორაიონის პ-ი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ინდივიდუალური მენარმე „ლ. მ-ის“ აფთიაქის კამერის ვიდეოჩანანერებ-

ში, ჯერ ფიქსირდება გ. გ-ს თეთრი, „BMW X6“ მარკის ავტომობილი, ხოლო შემდეგ – მის უკან მოძრავი შავი, მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომობილი სანომრე ნიშნით ორივე ავტომანქანა მიემართება თ-ი, გ-ს მ-... მიკრორაიონის პ. კორპუსისკენ. 2019 წლის 1 ოქტომბერს, 20:16 საათზე, დ. მ-ს მობილურ ტელეფონს ემსახურება თ-ი, მ-ი განთავსებული ანდა. აღნიშნულის შემდეგ, დ. მ-ს მობილური ტელეფონი ითიშება და მასზე აქტივობა აღარ ფიქსირდება.

ამასთან, თ-ი, გ-ს მ-... მიკრორაიონის №... კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული საკონტროლო ზარებით დადგენილია, რომ თ-ი, მ-ი განთავსებული ანდა ემსახურება იმ ტერიტორიას, სადაც საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმების მიხედვით, დ. მ-ე შეიძყრეს და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ასევე, 2019 წლის 1 ოქტომბერს, 20:22 საათზე, დ. დ-ს მობილურ ტელეფონს ემსახურება თ-ი, გ-ი, ხ-ს ქუჩაზე მდებარე ანდა.

2019 წლის 1 ოქტომბერს, თ-დან რ-სკენ მიმავალი მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის ავტომობილი სანომრე ნიშნით ... ფიქსირდება სოფელ ნ-ს გადასახვეთან 20:52 საათზე, სოფელ გ-ის გადასახვევეთან – 21:04 საათზე და სოფელ გ-ს გადასახვევთან – 21:10 საათზე.

რ-ი, თ-ს ქუჩაზე დამონტაჟებული კამერების მიხედვით, 2019 წლის 1 ოქტომბერს, 21:15:23 საათზე, კადრში ჩანს მესამე სერიის „BMW-ს“ მარკის, შავი ავტომობილი, სანომრე ნიშნით – ..., რომელიც მიემართება ც-ს ქუჩის მიმართულებით, მდინარე მ-6. 22:25:28 საათზე იგივე ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით ... ჩნდება რ-ი დამონტაჟებული კამერების თვალთახედვის არეში. ამავდროულად, 21:19 საათიდან 22:11 საათამდე პერიოდში დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს მობილურ ტელეფონებს ემსახურება რ-ი მდებარე სატელეფონო ანდები. პარალელურად, 2019 წლის 1 ოქტომბრის 20:58:01 საათიდან „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – ... მოძრაობას იწყებს თ-დან რ-ს მიმართულებით.

რაც შეეხება გ. გ-თან 2019 წლის 6 ოქტომბერს ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მისი დამცველი ადვოკატის არგუმენტებზე, კერძოდ, საკასაციო საჩივრის მიხედვით: მოცემული მტკიცებულება მოპოვებულია კანონის დარღვევით, ვინაიდან, იმ დროისათვის გ. გ-ს ჰყავდა ადვოკატი, რომელიც არ დაუშვეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე. ადვოკატის განცხადებებით დგინდება, რომ იგი პოლიციაში იმყოფებოდა და არ ახვედრებდნენ გ. გ-ს. მხოლოდ მას შემდეგ მიუყვანეს ადვოკატი, რაც მან უარი განაცხადა ამოცნობაზე. ადვოკატის მიერ მითითებული მასალების თანახმად,

2019 წლის 6 ოქტომბერს, ადვოკატი ა. კ-ე საგამოძიებო ორგანოში წარადგენს სამ განცხადებას (მასში მითითებული დროებია: 14:18 საათი, 16:23 საათი, 19:20 საათი). განცხადებებში აღნიშნულია, რომ მათ დაკავებული ჰყავთ გ. გ. და ითხოვს მისი ადგილმდებარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებასა და მასთან შეხვედრას. თავის მხრივ, საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარებულია – იმავე დღეს (6 ოქტომბერს), 17:35 საათიდან 21:15 საათამდე დროის პერიოდში. ესე იგი, ამ დროისათვის საგამოძიებო ორგანო მინიმუმ, ფლობდა ინფორმაციას ადვოკატის არსებობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო სხდომაზე პროკურორმა აღნიშნა, რომ ა. კ-ეს, როდესაც გამომძიებელი დაუკავშირდა, მან სთხოვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, სააღამომდე დალოდებოდნენ („მაგალითად, საღამოს რვა საათამდე“) და მიუთითა, რომ ორდერი ჯერჯერობით წარდგენილი არჰონდა, ვინაიდან, როდესაც მივიღოდა, მაშინ წარადგენდა. ამასთან, არ იკვეთებოდა საგალდებულო დაცვის შემთხვევა და გ. გ-ს ჰერნდა მხოლოდ მოწმის სტატუსი. საგამოძიებო მოქმედებები გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ტარდებოდა და გამოძიება მიმდინარეობდა განზრას მკვლელობაზე.

მოსამართლის დამატებით შეკითხვაზე – მოწმეს ჰკითხეს თუ არა, ადვოკატის საჭიროების შესახებ, პროკურორმა განაცხადა, რომ მოწმემ აღნიშნულზე განაცხადა უარი და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში მოცემული ინფორმაცია დაფიქსირებულია (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმი, 13:51 საათი).

საკასაციო პალატა პროკურორის აღნიშნულ განმარტებებთან მიმართებით, ყურადღებას მიაქცევს რამდენიმე სახის გარემოებას, ერთოდ:

– პირველ რიგში, როგორც დგინდება, პროკურორს არ უარყვია საგამოძიებო ორგანოს მიერ ადვოკატის თაობაზე ინფორმაციის ცოდნის ფაქტი;

– პროკურორი უთითებს, რომ ადვოკატი ითხოვდა საღამომდე დალოდებას, რისი შესაძლებლობაც საგამოძიებო ორგანოს არსებული ვითარებიდან და თავად დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, არ ჰერნდა. პალატისათვის გაურკვეველია, მოცემულ ჟემთხვევაში კონკრეტულად რა დროს მოიცავს საღამო (პროკურორმა მხოლოდ ზოგადი ფორმით აღნიშნა – „მაგალითად რვა საათი“), მაშინ როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტი იწყება – 17:35 საათიდან და გრძელდება – 21:15 საათამდე.

– ამის გარდა, როგორც აღინიშნა, ადვოკატი პერიოდულად, რამდენიმესაათიანი ინტერვალით, წერს სამ განცხადებას (მათ შორის

– ითხოვს გ. გ-ს მონაცელებას), რაც თავის მხრივ, ბუნდოვანს ხდის დღის განმავლობაში, მისი მოუცლელობის ფაქტის შესახებ მითითებას;

– პროცესურორმა განაცხადა, რომ მოწმემ ადვოკატზე განაცხადა უარი და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში მოცემული ინფორმაცია დაფიქსირებულია, თუმცა, აღნიშნული არ დასტურდება თავად საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით. მოცემულ ოქმში მხოლოდ მითითებულია, რომ ექსპერიმენტში მონაწილე პირებს განემარტათ ექსპერიმენტის ჩატარების მიზანი და წესი, მათი უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, რომ შეუძლიათ დასვან კითხვა, მოითხოვონ მოქმედების გამეორება, მონაწილეობა მიიღონ აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტისა თუ კვალის დათვალიერებაში და ა.შ.. აღნიშნულზე მითითება არ გვხვდება არც საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობის გრაფაში. საგამოძიებო ექსპერიმენტს ოქმს წინ ერთვის – გ. გ-ს ხელნერილი, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო ექსპერიმენტში (ადვოკატთან დაკავშირებით, არც ამ ხელნერილშია აღნიშნული). ა. კ-ე ერთვება მხოლოდ პირის ამოცნობის ოქმი (06/10/2019, 22:58-23:05), რა დროსაც გ. გ, ადვოკატთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, უკვე უარს აცხადებს ამოცნობაში მონაწილეობაზე.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ ვითარებაში არ დასტურდება ის გარემოება, რომ გ. გ-სათვის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს ცნობილი იყო ა. კ-ის მიერ დაწერილი განცხადებების თაობაზე და რომ იგი, ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ უტყუარად, უარს აცხადებდა მის მიერ დაცვაზე. მეტიც, ზოგადად ადვოკატზე უარის გაცხადება, პროცესურორის მითითების შესაბამისად, მოცემული არ არის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში (არამედ მხოლოდ მისი გამოყითხვის ოქმში, რომელიც წინ უსწრებდა საგამოძიებო ექსპერიმენტს).

მოცემულ ვითარებაში, ყველა ზემოაღნერილი დეტალის ერთობლივად მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია – გ. გ-ს 2019 წლის 6 ოქტომბერს ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსის გაზიარება.

რაც შეეხება სხვა მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავეთა ქცევასთან, არის შემდეგი:

მოწმე გამომძიებელმა მ. ნ-ამ განაცხადა, რომ დ. მ-სთან მეგობრობს, ხოლო დ. დ-სა და მ. ლ-ს იცნობს სამსახურებრივად. დ. მ-მ „გოთსაპში“ მისწერა რჩევის საკითხავად იმ ფაქტან დაკავშირებით, რომ რამდენიმე დღის წინ ავტომანქანაში ჩაუსვამს პი-

რი, წამოუყვანია რ-ი, რომელიც მოგვიანებით გარდაცვლილი მ-ი იპოვეს.

რუსთავის საქალაქო სამმართველოს საუბნო განყოფილების უფროსმა გ. კ-მ მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ დ. მ. მის განყოფილებაში მუშაობდა. მან მიღო შეტყობინება, რომ მდინარე მ-ე გამორიყული იყო ადამიანის გვამი. „გოთსაპში“ მისწერა დ. მ-მ, რომ მასთან შეხვედრა უნდოდა. შეხვედრისას, დ. მ-მ უამბო, რომ მის დას, ნ. მ-ს აწუხებდა დ. მ-ე, რის გამოც სიძემ, ზ. ჯ-მ სთხოვა მისი რ-ი ჩაყვანა. დაწვრილებით მოუყვა, როგორ ჩამოიყვანეს დ. მ-ე რ-ი მან, მ. ღ-მა და დ. დ-მა, ამ უკანასკნელის მიერ ნათხოვი „BMW-ს“ მარკის ავტომანქანით და დ. მ-ე გადასცეს მის სიძეს. მან დ. მ. წაიყვანა გამომძიებელთან ჩვენების მისაცემად. მოწმის განმარტებით, ეს ყველაფერი დ. მ-სთან შეხვედრამდე გ. გ-სგანაც იცოდა.

მოწმის სახით დაკითხული რუსთავის საქალაქო სამმართველოს მეორე განყოფილების გამომძიებლის – ზ. ბ-ს განმარტებით, დ. მ. და მ. ღ. მისი მეობრები არიან, დ. დ. – თანაკლასელი და მეჯვარეა. 2019 წლის 5 ოქტომბერს, მდინარე მ-ზე გვამის აღმოჩენასთან დაკავშირებით, ამ საქმეში ოპერატიული კუთხით ჩაერთო. 2019 წლის 6 ოქტომბერს, დილით, შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოში შეხვდნენ დ. მ. და მ. ღ. დ. მ. გამოელაპარაკა დ. მ-ს მკვლელობასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც დ. მ-მ შეიტყო, რომ საქმეში ფიგურირებდა ოთხი პირი და მათი მონაცემები ჰქონდა მობილურში, მოსთხოვა აღნიშნული ინფორმაციის მისთვის გადაგზავნა. „გოთსაპშის“ საშუალებით დ. მ-ს გადაუგზავნა მითითებული პირების მონაცემები. იმავე დღეს, შუადღეს, დადგინდა, რომ აღნიშნულ საქმეში ასევე მონახილეობა ჰქონდათ მიღებული – დ. მ-ს, მ. ღ-სა და ყოფილ თანამშრომელს დ. დ-ს. იგი მარტო შეხვდა ამ უკანასკნელს და ჰკითხა, მ. ღ-სა და დ. მ-სთან ერთად, გ-დან ვინმე ხომ არ ჰყავდა წამოყვანილი, რაც დ. დ-მა დაუდასტურა და ჰკითხა, თუ რა ხდებოდა მან დ. დ-ს უთხრა, რომ მათ მიერ გ-დან წამოყვანილი პირი ნახეს მოკლული, მდინარე მ-ში. საუბარში დ. დ-მა უთხრა, რომ აღნიშნული პირი გ-დან დ. მ-ს სიძეს და კიდევ ერთ პირს ჩაუყვანეს რ-ი.

ზ. ბ-ს, მ. ნ. და გ. კ-ს მიერ დ. მ-სთან შემდგარი სატელეფონო კომუნიკაცია დადასტურებულია დ. მ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხვილი ინფორმაციით.

მოწმის სახით დაკითხული შსს რ-ის საქალაქო სამმართველოს მე... განყოფილების გამომძიებლის ს. ც-ს ჩვენებით დადასტურებულია, რომ მ. ღ-თან, დ. მ-სა და დ. დ-თან მეგობრობს. 2018 წლის დეკემბერში, დ. დ-ს ასესხა 2000 ლარი, რაზეც გააფორმეს სესხის

ერთწლიანი ხელშეკრულება. დ. დ-მა მხოლოდ სამი თვის თანხა გადაიხადა, შემდეგ შეწყვიტა თანხის გადახდა. არაერთი შეხსენების მიუხედავად, ვერ იხდიდა, რის გამოც თავად მას მოუწია სესხის დაფარვა. 2019 წლის 3 ოქტომბერს, დაუკავშირდა დ. დ. და დარჩენილი თანხა გადაუხადა სრულად.

ბანკებიდან გამოოხვილი ინფორმაციით:

სს „ლ-ან“ – 2019 წლის 2 ოქტომბერს დ. დ-მა თავის ანგარიშზე შეიტანა 399,5 ლარი, ხოლო 2019 წლის 3 ოქტომბერს – 400 ლარი.

სს „ს-ან“ – 2019 წლის 3 ოქტომბერს დ. მ-მ თავის ანგარიშზე შეიტანა 6800 ლარი.

სს „ს-ან“ – 2019 წლის 3 ოქტომბერს მ. ღ-ს ანგარიშზე სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით ჩაირიცხა 400 ლარი.

ამდენად, დ. მ-ს, მ. ღ-ს, დ. დ-სა (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთა) და გ. გ-ს მიერ (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთაში დახმარება) დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია შემდეგი სახის მტკიცებულებათა ერთობლიობით:

– მოწმე 6. ბ-ს ჩევნებით, რომლის თანახმდაც, 2019 წლის 1 ოქტომბერს, გამოლაპარაკებისას, დ. მ-სგან გაიგო, რომ გ. გ-თან ერთად აპირებდა გასვლას; მასთან საუბრის დამთავრებისთანავე ჩაჯდა თეთრი ავტომანქანა X-6-ში. მოწმე 6. ბ-ს წარედგინა „ჰიდან“ ამოლებული კამერის ჩანაწერი, რომელზეც დაადასტურა, რომ კადრში შარვლიანი არის თვითონ, მოკლე შარვალი (ბრიჯი) კი აცვია დ. მ-ეს. თეთრი „BMW-ს“ მარკის ავტომანქანა X-6-ით არის გ. გ, რომლის მანქანაშიც ჯდება დ. მ-ე;

– გ. გ-ს ავტომანქანაში ჩაჯდომის შემდეგ იკარგება დ. მ-ს კვალი, რის გამოც, მისი ოჯახის წევრი მეორე დღესვე, განცხადებას წერს საგამოიძიებო ორგანოში;

– გ. გ. დ. მ-ს გაუჩინარების თაობაზე, ურთიერთსანინააღმდეგო და არასწორ ინფორმაციებს აწვდის დ. მ-ს ოჯახსა და სამართლდამცავ ორგანოს;

– დ. მ-სთან, მ. ღ-სა და დ. დ-თან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით;

– დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტების დროს, მათ მიერ მითითებულ მარშრუტებზე განთავსებული სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანანერებითა და სატელეფონო მომსახურების ანძების მონაცემებით;

– მოწმე ა. ბ-ის განმარტებით დადასტურებულია, რომ დ. დ-ს მან საკუთარი ავტომანქანა ათხოვა. გამომძიებელმა მას წარუდგინა რამდენიმე ვიდეო, ერთ-ერთ კამერაში ჩანდა, როგორ ასხამდა ბენზინს დ. დ. იმის მიუხედავად, რომ სხვა კამერების ჩანაწერ-

რებში ავტომანქანას უცხო ნომრები ეყენა, მან თავისუფლად ამო-იცნო ავტომანქანა; ხოლო პატრულ-ინსპექტორების გ. მ-სა და თ. ზ-ს ჩვენებებით დადასტურებულია, რომ 2019 წლის 1 ოქტომბერს შენიშნეს თ-ს მიმართულებით მოძრავი „BMW-ს“ მარკის ავტომან-ქანა უცხოური ნომრით, რომელსაც დაეწივნენ და ნახეს, რომ შიგ-ნით ისხდნენ: საჭესთან – დ. მ. და გვერდით – მ. ღ. პოლიციის ფორ-მებით, უკან – დ. დ. სამოქალაქო ფორმით;

– ავტომანქანისათვის ნომრის შეცვლა, ხოლო ქმედების დას-რულების შემდეგ აღნიშნული ნომრის, ისევე როგორც დ. მ-ს ნივ-თების (ტელეფონისა და პისტოლეტის) მ-ი გადაყრა მიუთითებს მსჯავრდებულთა მიერ გამოჩენილ სიფრთხილეზე;

– ზეპირი და წერილობითი სახის მტკიცებულებებით, აგრეთვე იკვეთება იმგვარი სახის გარემოებები, რომლებიც ამყარებს ბრალ-დების მხარის პოზიციას, კერძოდ, ამ მხრივ აღსანიშნავია, დ. მ-ს კომუნიკაციის შინაარსი თანამშრომლებთან (ქმედების ჩადენიდან მომდევნო დღეებში) და მისი მხრიდან საქმის დეტალებით დაინ-ტერესება (გვამის აღმოჩენის შემდეგ); აგრეთვე, მაგალითად, დ. დ-ს მიერ 2019 წლის 3 ოქტომბერს, დარჩენილი ვალის დაფარვის ფაქტი;

ამდენად, მსჯავრდებულების – გ. გ-სა და დ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრების მოთხოვნა – მათი გამართლების თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს მათი უსაფუძ-ვლობის გამო.

4. ზ. ჯ-სა და გ. ა-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება გათვალის-წინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნ-ქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2019 წლის 1-ლ ოქ-ტომბერს მოქმედი რედაციით):

საკასაციო სასამართლო ზ. ჯ-სა და გ. ა-ს ბრალდებას ცალკე გამოჰყოფს, ვინაიდან, მათ მიმართ წარდგენილი მუხლები არის იდენტური.

ამასთან, საკასაციო პალატა პირველ რიგში, შეაფასებს ზ. ჯ-ს ქმედებებს, ვინაიდან, იგი წარდგენილ ბრალდებაში სრულად არის ცნობილი დამნაშავედ, ხოლო შემდეგ, გააანალიზებს გ. ა-ს მონა-ნილეობის ხარისხს ხსენებულ დანაშაულებში.

მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს ზ. ჯ-ს ბრალდებას არის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმები, რომელთა გამოყენე-ბის მართლზომიერ ხასიათსა და უშუალოდ შინაარსზე, საკასაციო პალატამ ზეგით უკვე დეტალურად იმსჯელა. რაც შეეხება სხვა მტკიცებულებებს:

შპს „ბ“ გამოთხოვილ ვიდეოჩანანერის თანახმად, 2019 წლის 1

ოქტომბერს, 10:37 საათზე ზ. ჯ- 6. მ-სა და შვილთან ერთად გამოდის თ-ი, ც-ს ქუჩის №....-ში მდებარე საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოდან. დათვალიერების ოქმის მიხედვით, მას აცვია რუხი პიჯაკი, ხოლო შიგნით – ლურჯი სამოსი.

2019 წლის 1 ოქტომბერს, 16:34 საათზე თ-ი, გ-ს ქუჩაზე და 16:39 საათზე თ-ი, ფ-ი დამონტაჟებული კამერების ვიდეოჩანაწერებში ფიქსირდება რ-სკენ მოძრავი 6. მ-ს მართვის ქვეშ მყოფი „BMW X6“-ის მარკის ავტომობილი სახელმწიფო ნომერი – დათვალიერების ოქმის მიხედვით, წინა მარჯვენა სავარძელზე ზის ზ. ჯ. და აცვია იგივე ტანსაცმელი – რუხი პიჯაკი და პიჯაკის შიგნით – ლურჯი სამოსი. იგივე მანქანა ფიქსირდება თ. 6. ხიდის მეჩვიდმეტე კილომეტრზე, იმავე დღის 16:51 საათზე და მიემართება რ-სკენ.

ამასთან, 2019 წლის 6 ოქტომბერს ჩატარდა ზ. ჯ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც სხვა წილით ერთად, ამონდეს – ლურჯი გრძელებული ანგარიში (წარწერით – „CARAMELO“) და რუხი გრძელებული ანგარიში პიჯაკი (კისრის მიდამოში წარწერით – „SUN 68“). აღსანიშნავია, რომ ზ. ჯ-ს მეუღლის – 6. მ-ს განმარტებით, ზ. ჯ-ს აღნიშნული სამოსი ეცვა 2019 წლის 1 ოქტომბერს. აღნიშნულ ოქმს ხელს აწერს თავად 6. მ, რომელსაც საგამძიებო მოქმედებაში რაიმე შესწორება ან/და დამატება არ შეუტანია. აგრეთვე მას გადაეცა ოქმის ასლი, რაც აგრეთვე დაადასტურა ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. ჯ-ს საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულ ტანსაცმელზე ჩატარებული ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით №... დადგინდა, რომ:

პერანგსა და პიჯაკზე არსებული ლია მოწითალო – მოყავისფრო ლაქები შეიცავს ადამიანის სისხლს. ობ. №53-55,58-ის გენეტიკური პროფილები შერეულია. ობ. №53-ის გენეტიკური პროფილის ერთი წილი და ობ. №54,55,58-ის გენეტიკური პროფილების მაჟორული წილი ეკუთვნის დ. მ-ეს.

ამდენად, გარდა იმისა, რომ დადასტურებულია ზ. ჯ-სათვის უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი დ. მ-ს გადაცემის ფაქტი, მის ტანსაცმელზე (რომელიც დადასტურებულია, რომ ეცვა 2019 წლის 1 ოქტომბერს და ამოღებულია მისი ბინიდან), გარდაცვლილის სისხლის კვალია ამოსული.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულ პასუხებს დაცვის მხარის იმ ვერსიასთან დაკავშირებით, რომ – ზ. ჯ-ს ტანსაცმელზე დ. მ-ს სისხლის აღმოჩენა, განაპირობა ზ. ჯ-ს ძმის – ს. ბ-სა და დ. მ-ეს შორის 2019 წლის სექტემბერში მომხდარმა დაპირისპირებამ, რა დროსაც ს. ბ-ს სწო-

რედ აღნიშნული ტანსაცმელი ეცვა. სხვა არსებითად ახალი, დამატებითი სახის არგუმენტებზე კი, დაცვის მხარეს საკასაციო საჩივარში არ მიუთითება.

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დ. მ-ს სიკვდილის მიზეზია პისტოემორაგიული ანემია, გამოწვეული მარჯვენა საერთო საძილე არტერიისა და შინაგანი ორგანოების დაზიანებით, სხეულის მრავლობითი ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობების შედეგად; სიკვდილის დადგომიდან გასული უნდა იყოს 24 საათზე მეტი (აქვე საკასაციო სასამართლო დამატებით უთითებს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, გვამი აღმოჩენილია – 2019 წლის 5 ოქტომბერს).

გვამზე აღინიშნება ოცდასამი ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა, აგრეთვე მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები: თავის, სახისა და მარჯვენა ზედა კიდურის მიდამოში კანის და რბილი ქსოვილების დაზიანებით;

ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობები მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის (საგნების) მოქმედებით, ხოლო ნაკვეთი ჭრილობები მიყენებულია მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის (საგნების) მოქმედებით სიკვდილის წინა და სიკვდილის დადგომის პერიოდში და ერთობლიობაში მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძმე ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დ. მს გვამიდან აღებულ კუნთში აღმოჩნდა 0,18% ეთილის სპირტი. კუნთში არ აღმოჩნდა მეთილის, იზოპროპილის სპირტები, აცეტონი. კუნთში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები: ოპიატები, კოკაინი, ბუპრენორფინი, მეტადონი, ამფეტამინი, მეტამფეტამინი, ტეტრაჰიდროკანაბინოლი, ბარბიტურის მჟღას ნანარმები, ბენზოდიაზეპინები, ტრიციკლური ანტიდეპრესანტები. კუნთში არ აღმოჩნდა ქლორორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდები.

საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ქმედების განსაკუთრებული სისასატიკით ჩადენილ განზრას მკვლელობად დაკალიფიცირებისთვის აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კრიტერიუმი, რაც გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება მსხვერპლში უნდა იწვევდეს ძლიერ ტანჯავას, ასევე, დამნაშავემ შეგნებულად უნდა შეარჩიოს მკვლელობის ისეთი ხერხი, რომელიც მსხვერპლს განსაკუთრებულ ტანჯავას მიაყენებს. მოცემულ შემთხვევაში, სამედიცინო ექსპერტიზაში მითითებულ ჭრილობათა სიმრავლე, მათი სიღრმე და ლოკაცია (მოიცავს გულმკერდს, კიდურებს, ფაქტობრივად, სხეულის უმეტეს ნაწილს), აგრეთვე ფაქტი, რომ ხე-

ნებული არაერთი ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობები მიყენებულია რა-იმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის (საგნების) მოქ-მედებით, ხოლო ნაკვეთი ჭრილობები მიყენებულია მჭრელი ზედა-პირის მქონე საგნის (საგნების) მოქმედებით სიკვდილის წინა და სიკვდილის დადგომის პერიოდში – მიუთითებს ერთი მხრივ, იმა-ზე, რომ აღნიშნული ფორმა მსხვერპლში, უპირობოდ გამოიწვევ-და ძლიერ ტანჯვას, ხოლო მეორე მხრივ, ადასტურებს დამამავის მიზანს, რომ სწორედ ამ მეთოდით დაეტანჯა, მოესპონ სიცოცხლე დ. მ-სათვის. ამასთან, სხვადასხვა სახისა და ფორმით მიყენებული დაზიანება, აგრეთვე დ. მ-ს გვამის აღმოჩენის ადგილის (შემთხვევ-ვის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, რ-ი, მდინარე მ-ს მ-ს გაყოლებაზე, მდინარის დინების მიმართულებით, მიწის გრუნ-ტიან ზედაპირზე, დასვენებული იყო, მოთეთო პოლიტილენის ტომარაში მამაკაცის გვამი) საკასაციო პალატას დადასტურებუ-ლად მიაჩინა, რომ ზ. ჯ. არ მოქმედებდა მარტო.

რაც შეეხება გ. ა-სათვის წარდგენილ ბრალდებას საქართველოს საკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იგი უნდა გამ-ტყუნდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნა-ნილის „ა“ ქვეპუნქტით, კერძოდ, დ. მ-ს თავისუფლების უკანო-ნოდ ალკვეთის ნაწილში, ხოლო განზრას მკვლელობაში დამამდი-მებელ გარემოებებში, უნდა გამართლდეს.

პროკურორი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწი-ლის „ე“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ნაწილ-ში, მისი პოზიციის დამადასტურებელ მტკიცებულებებად მიუთი-თებს:

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებზე, ბრალდების მხარის მი-ერ მოპოვებულ ვიდეოჩანანერებზე, რომლებიც უთითებს 2019 წლის 1 ოქტომბერს ავტომანქანა „მერსედესის“ (სახელმწიფო ნორ-მით ...) გადაადგილების მარშრუტზე როგორც თ-ი, ასევე რ-ი, გ. ა-ს კუთვნილი მობილური ტელეფონის მომსახურე ანქების ადგილმდე-ბარებისა და ზემოხსნებული ავტომანქანა „მერსედესის“ სახელ-მიფი ნომრით ... გ. ა-სგან ამოღების ფაქტზე (06/10/2019).

რაც შეეხება მტკიცებას, განზრას მკვლელობის ნაწილში, პრო-კურორს ახალი არაფერი წარმოუდგენა, ვინაიდან, საკასაციო სა-სამართლოსათვის მ. ღ-სა და დ. დ-ს მიერ ბრალის აღიარებამ, ბრალ-დებულის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლათან მიმართებით, სრულებით არ შეცვალა (მოცემულ შემთხვევაში, გ. ა-ს ტანსაცმელზე, ზ. ჯ-ს მსგავად, არ ამოსულა გარდაცვლილის რაიმე სახის კვალი), ხოლო სხვა, ყველა ზემოხსე-

ნებული მტკიცებულება ერთობლივად, უტყუარად მიუთითებს მის მიერ მხოლოდდამხოლოდ – საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე. თვით დ. დ-სა და მ. ღ-ს არ გააჩნიათ რაიმე სახის უტყუარი ინფორმაცია, თუ როგორც განვითარდა მოვლენები მათ მიერ ზ. ჯ-სა და გ. ა-სათვის დ. მ-ს გადაცემის შემდგომ.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ამოღების ოქმს, ავტომანქანა „მერსედესის“ (სახელმწიფო ნორმით – ...) გადაადგილების მარშრუტებს, გ. ა-ს კუთვნილ, მობილური ტელეფონის მომსახურე ანძების ადგილმდებარეობას, დ. დ-ს, მ. ღ-სა და დ. მ-ს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებს) საკასაციო პალატა განიხილავს ერთობლივად და მიუთითებს, რომ ისინი სრულად შეესაბამება ერთმანეთს და ქმნის შემთხვევის დღეს მოვლენათა განვითარების უწყვეტ და ლოგიკურ ჯაჭვებს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით პროცესის მონაწილე მხარეების მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების ვალდებულებების შესახებ, რომელთა თანახმად, არ არის სავალდებულო ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს დეტალურ პასუხს; მთავარია, ეროვნულმა სასამართლოებმა ნათლად დაასახელონ თავიანთი მსჯელობის განმაპირობებელი ასპექტები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (იხ. შემდეგი გადაწყვეტილებები: „ვან დე ჰიურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ (Van de Hurk v. Netherlands), 1991 წლის 19 აპრილი, 61 პარ., „გეორგიადისი საბერძნეთის წინააღმდეგ“, (Georgiadis v. Greece), 1997 წლის 29 მაისი, პარ. 43).

5. საკასაციო სასამართლოს მიერ გ. გ-ს, ზ. ჯ-ს, გ. ა-სა და დ. მ-ს მიმართ შერჩეული სასჯელის სახე და ზომა:

საკასაციო სასამართლო აღნიშვნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი პასუხობდეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ მიზნებს.

საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან ათ წლამდე, იარაღთან დაკავშირებუ-

ლი უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, ხოლო საქართველოს სისტემის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (2019 წლის 1-ლ ოქტომბერს მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთას ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

5.1. ზ. ჯ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი:

ზ. ჯ-სთან მიმართებით, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მასთან გამოკვეთილია დანაშაულთა ერთობლიობის (განზრას მკვლელობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის) ფაქტი. ამასთან, მის მიერ ჩადენილი ორივე დანაშაული განზრახია და განეკუთვნება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას (მათ შორის – სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულს), რაც საბოლოო ჯამში მის მიერ მოვალეობათა დარღვევის ზომის საკმარისად მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

ამასთან, ზ. ჯ-სათვის განსაზღვრული სასჯელის ნაწილში საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შინაარსს, რომლის თანახმადაც, გარდაცვლილის სხეულს სხვადასხვა ადგილზე აღნიშნებოდა არაერთი ჭრილობა – ნაჩხვლეტ-ნაკვეთი და მრავლობითი ნაკვეთი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიიდან, ქმედებების ხერხიდან, მოვალეობათა დარღვევის ზომიდან, მიყენებული დაზიანების სიმრავლიდან და დანაშაულთა ერთობლიობის ფაქტიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ზ. ჯ-ს უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლით – საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელიდან უნდა დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა მისი მაქსიმალური, 20 წლის ვადით. რაც შეეხება უვადო თავისუფლების აღკვეთას (რომელსაც ალტერნატივის სახით, აგრეთვე ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 2019 წლის 1-ლ ოქტომბერს მოქმედი რედაქცია), საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი საქმის მასალებით, არ იკვეთება პროკურორის მოთხოვნის – ზ. ჯ-სათვის სასჯელის გამკაცრების (ესე იგი, უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯის) დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან, ბრალდების მხარეს არ მიუთითებია რაიმე განსხვავებული სახის არგუმენტზე, რომელიც ერთი მხრივ, იქნებოდა საფუძვლიანი და დასაბუთებული, ხოლო მეორე მხრივ კი, გამოკვეთდა, რომ იგი სააპელაციო პალატამ სასჯელის დანიშვნის დროს, მხედველობაში არ მიიღო.

5.2. გ. გ-ს, გ. ა-სა და დ. მ-ს მიმართ დანიშნული სასჯელები:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამივე მსჯავრდებულს მათ მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის (დ. მ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა) უნდა განესაზღვროთ თანაბარი სახისა და ზომის სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით.

მართალია, გ. გ. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში დამხმარეს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მან დ. მ-ე საცხოვრებელი ბინიდან მოტყუებით გამოყვანა, რითაც შექმნა საფუძველი – დ. მ-ს, მ. ღ-სა და დ. დ-ს წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, შესაძლებლობა, მისცემოდათ მისთვის უკანონოდ აღკვეთათ თავისუფლება (რაც მოიცავდა დაკავების ინსცენირებას).

გ. გ-თან მიმართებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ დ. მ-ე მისი მეგობარი იყო (აღნიშნულზე მიუთითებს არაერთი მოწმე, რაც ზემოთ იქნა მიმოხილული).

დ. მ-სთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ იგი იყო პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც უშუალოდ აკისრია ვალდებულება იზრუნოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვაზე, არათუ – შეღახოს იგი.

რაც შეეხება გ. ა-ს, მან და ზ. ჯ-მ, დ. მ-ე მანქანაში ჩაისვეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მას როგორც საკომუნიკაციო საშუალება, ისე თავდაცვის საშუალება ჩამორთმებული ჰქონდა.

ყოველივე ხსენებული გარემოება თითოეულ მსჯავრდებულ-თან მიმართებით, მიუთითებს მოვალეობათა დარღვევის ზომის მაღალ ხარისხზე და მათ მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროებაზე. შესაბამისად, გ. გ-ს, დ. მ-სა და გ. ა-ს უნდა დაენიშნოთ – თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ზომისთან მიახლოებული სასჯელი (დ. მ-სთან მიმართებით, ვინაიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, არ იკვეთებოდა მაქსიმალური ზომის (10 წლით) მისჯის სამართლებრივი საფუძველი, მას საკასაციო სასამართლომ აგრეთვე, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების – გ. გ-ს, გ. ა-სა და დ. მ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა (თავისუფლების აღკვეთა – 9 წლით) სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის მიზნების მიღწევას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის

301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქვემო ქართლის სააოქტო პროკურორის მოადგილის – ლევან ლაზარეშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მსჯავრდებულების – მ. ღ-სა და დ. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. გ-ს საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველი;

3. მსჯავრდებულ დ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ – მ -ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ – გ. ო-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

5. მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ – თ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 13 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

7. სახელმწიფო ბრალმდებლის ხატია გოგრიჭიანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ხატია გოგრიჭიანისა და მსჯავრდებულ დ. დ-ს შორის:

დ. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 3 (სამი) წლითა და 9 (ცხრა) თვით;

დ. დ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან, რაც დღეს მდგომარეობით ჩადენის მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

8. სახელმწიფო ბრალმდებლის ხატია გოგრიჭიანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ხატია გოგრიჭიანისა და მსჯავრდებულ მ. ღ-ს შორის:

მ. ღ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს

სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 3 (სამი) წლითა და 9 (ცხრა) თვით;

მ. ღ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან, რაც დღეის მდგომარეობით ჩატვალის მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

9. დ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან;

10. გ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2019 წლის 6 ოქტომბრიდან.

11. ჟ. ჟ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2019 წლის 1-ლ ოქტომბერს მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 20 (ოცი) წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ზ. ჯ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 20 (ოცი) წლით, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2020 წლის 2 იანვრიდან.

12. გ. ა. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2019

ნლის 1-ლ ოქტომბერს მოქმედი რედაქციით) წარდგენილ ბრალ-დებაში;

გ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განხესაზღვროს – 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათველა დაეწყოს ამ განაჩენის გამოცხადების მომენტიდან;

მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს ამავე საქმეზე პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2019 წლის 7 ოქტომბრიდან 2020 წლის 4 ივლისის ჩათვლით.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 13 მარტის განაჩენი ნივთმჭკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

14. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა (პროკურორსა და მსჯავრდებულს შორის დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების ნაწილში).

განაჩენი ცვლილების შეტანა (სსპ-ის 126' მი-2 ნაწილის „პ“, „გ“ ქვეპუნქტები)

განაჩენი საქართველოს სახელით

№398აპ-23

11 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე)

შ. თადუმაძე,

მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ სტურუას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად:
 - 1.1. 2022 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 19:00 საათზე, რ-ი, ნ. გ-ის ქუჩის №...-ში, ჯ. ც-ემ გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის

მოტივით, ოჯახში მისი როგორც მამაკაცის უპირატესი როლის დე-მონსტრირების მიზნით, არასრულნლოვანი შვილების – 2015 წელს დაბადებული ი. ც-ის, 2016 წელს დაბადებული ზ. 6-ს, 2021 წელს დაბადებული ი. ც-ისა და დის შვილის, 2015 წელს დაბადებული დ. ც-ის თანდასწრებით, იძალადა დის – თ. ც-ის, მეუღლის – ხ. 6-ას, ბებიის – ც. ც-ის მიმართ, კერძოდ, თ. ც-ის საყვედურზე, რატომ სცემა შვილს, ჯ. ც-ემ ვაზა ესროლა მას, რომელიც მოხვდა კედელს. ასევე ნივთები გადმოყარა სახლში, მუშტი ჩაარტყა თავის არეში თ. ც-ეს, რა დროსაც თ. ც-ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი და შვილ-თან ერთად გაიქცა სახლიდან; ყელზე მოუჭირა ხელი ბებიას, ც. ც-ეს, რა დროსაც ც. ც-ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი; ასევე მეუღ-ლეს, ხ. 6-ას რამდენჯერმე დაარტყა მუშტი თავის არეში, დანა და-უსვა სახის არეში, უქნევდა დანას სახის არეში დასარტყმელად, რომელიც ხ. 6-ას მოხვდა სახეზე აფარებული ხელების არეში. აღ-ნიშნული ქმედებებით ფიზიკური ტკივილი განიცადა ხ. 6-ამ და მი-იღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელო-ბის მოუშლელად.

1.2. 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით, რ-ი, ხ. გ-ის ქ. №-ში, ჯ. ც-ე გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტი-ვით, ოჯახში მისი როგორც მამაკაცის უპირატესი როლის დემონ-სტირების მიზნით, უმიზეზოდ, სისტემატურად აყენებდა სიტყვი-ერ შეურაცხყოფას მეუღლეს, ხ. 6-ას, ხოლო 2021 წლის დაახლოე-ბით სექტემბერში, ჯ. ც-ემ გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახში მისი როგორც მამაკაცის უპირატესი როლის დე-მონსტირების მიზნით, სოციალურ ქსელში აქტიურობის გამო იძა-ლადა ორსული მეუღლის, ხ. 6-ას მიმართ, კერძოდ, მუშტი დაარ-ტყა ცხვირის არეში, რა დროსაც ხ. 6-ამ განიცადა ფიზიკური ტკი-ვილი და წამოუყიდა სისხლი.

1.3. 2021 წლის დეკემბრის ბოლოს, რ-ი, ხ. გ-ის ქ. №-ში, ჯ. ც-ემ გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახში მისი რო-გორც მამაკაცის უპირატესი როლის დემონსტირების მიზნით, იძა-ლადა არასრულნლოვანი შვილის, ლ. ც-ის მიმართ, რის გამოც უსაყ-ვედურა მეუღლემ, ხ. 6-ამ. აღნიშნულით გაღიზიანებულმა ჯ. ც-ემ თმაში დაქაჩა ხ. 6-ას და მუშტი დაარტყა მარცხენა ლოყის არეში, რა დროსაც ხ. 6-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.4. 2022 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 13:00 საათზე, რ-ი, ხ. გ-ის ქ. №-ში, ჯ. ც-ემ არასრულნლოვან შვილს, 2015 წელს დაბადე-ბულ ი. ც-ეს უთხრა, რომ – ნუ იდგა ყვავილთან და ესროლა სათამა-შო, რომელიც მოარტყა მარცხენა თვალის არეში, რა დროსაც ი. ც-ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო ჯანმრთელობის მსუ-ბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 4 აგვისტოს განაჩენით:

ჯ. ც-ე, – დაბადებული ... წლის 7 ივნისს, – ცნობილ იქნა უდანა-შაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2021 წლის იანვარი – 2022 წლის იანვრის პერიოდი, 2021 წლის სექტემბრის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2021 წლის დეკემბრის ეპიზოდი) ნარდგენილ ბრალდებული.

ჯ. ც-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სა-მართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწი-ლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენი-სათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ერ-თმა თანაბარი სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ ჯ. ც-ეს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სა-ხედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რომლის მოხდის ათველა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 4 თებერვლიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განაჩენით:

რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ სტურუასა და მსჯავრდებულ ჯ. ც-ის ინტერესების დამცველი ად-ვოკატების – ე. ხ-ა და ბ. მ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყო-ფილდა;

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 4 აგვისტოს გა-ნაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – პროკურორმა თინათინ სტურუამ მოითხოვა ჯ. ც-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაუ-ლების ჩადენაში (ოთხი ეპიზოდი) და მკაცრი სასჯელის განსაზ-ღვრა, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით; აგრეთვე სასჯე-ლის გამკაცრება (პენიტენციური დაწესებულებაში მოხდით) საქარ-თველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნ-ქტებითა და სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (30 იანვრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენი-

სათვის.

5. დაცვის მხარეს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შე-საგებელი არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სა-კასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივ-რის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნ-და დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განა-ჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

1.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების, 2022 წლის 30 იანვრის ეპიზოდი:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ ნაწილში სა-აპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი სახის ფაქ-ტობრივი გარემოებები:

2022 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 19:00 საათზე, ჯ. ც-ემ გენ-დერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახში მისი როგორც მამაკაცის უპირატესი როლის დემონსტირების მიზნით, არასრულ-წლოვანი შვილებს, 2015 წელს დაბადებული ი. ც-ის, 2016 წელს დაბადებული ზ. ნ-ს, 2021 წელს დაბადებული მ. ც-ისა და დის შვი-ლის, 2015 წელს დაბადებული დ. ც-ის თანდასწრებით, იძალადა დის – თ. ც-ის, მეულლის – ხ. ნ-ას, ბებიის – ც. ც-ის მიმართ, კერ-ძოდ, თ. ც-ის საყვედურზე, რატომ სცემა შვილს, ჯ. ც-ემ ვაზა ეს-როლა მას, რომელიც მოხვდა კედელს. ასევე ნივთები გადმოყარა სახლში, მუშტი ჩაარტყა თავის არეში თ. ც-ეს, რა დროსაც თ. ც-ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი და შეილთან ერთად გაიქცა სახლი-დან; ყელზე მოუჭირა ხელი ბებიას, ც. ც-ეს, რა დროსაც ც. ც-ემ განიცადა ფიზიკური ტკივილი. ასევე მეუღლეს, ხ. ნ-ას რამდენ-ჯერმე დაარტყა მუშტი თავის არეში, დანა დაუსვა სახის არეში, უქნევდა დანას სახს არეში დასარტყმელად, რომელიც ხ. ნ-ას მოხ-ვდა სახეზე აფარებული ხელების არეში, აღნიშნული ქმედებებით ფიზიკური ტკივილი განიცადა ხ. ნ-ამ და მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად.

სააპელაციო სასამართლო ზემოგანხილული ქმედების ნაწილში დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ ბრალდების მხარის მტკიცებუ-ლებებს, მათ შორის: პატრულ-ინსპექტორების – ა. ა-ა და ლ. გ-ს ჩევინებებს, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებსა და სამხრე-კა-მერის კიდეოჩანანერებს. რაც შეეხება თავად დაზარალებულებს – ხ. ნ-ას, ი-ც-ეს, ც. ც-ესა და თ. ც-ეს, მათ ისარგებლეს საქართვე-

ლოს სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით და ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე განაცხადეს უარი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიმოიხილავს გამოკვლეულ მტკიცებულებებს და მათი შინაარსის უშუალო შემხებლობას სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან, კერძოდ:

პატრულ-ინსპექტორ ლ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2022 წლის იანვარში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ოჯახურ ძალადობაზე შეტყობინების საფუძველზე, გავიდა მისამართზე. ადგილზე მისულს ბრალდებული დახვდა ეზოში, რომელსაც მოუწოდეს წესრიგის დაცვისაკენ, თუმცა, ის მაინც აგრძელებდა ოჯახის წევრების მიმართ შეურაცხყოფას; ამის შემდეგ მან პოლიციასაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც ადმინისტრაციული წესით დააკავეს. კონფლიქტისას, იქ იმყოფებოდა ბრალდებულის დაც, რომლისკენც ჯ. ც-ე დასარტყმელად იწევდა. ადგილზე მომხდარი ფაქტი სამხრე კამერებმა დააფიქსირა. სასამართლოს მიერ ბრალდებულს ხუთ დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა განესაზღვრა. მოწმემ განმარტა, რომ იგი ესაუბრა ბრალდებულის ოჯახის წევრებს, შვილებსა და მეუღლეს. მათთან საუბროსას გაიგო, რომ ბრალდებული ყველას ეჩიუბა. მეუღლეს ჭრილობა ჰქინდა მიღებული და არასრულწლოვან შვილსაც ფიზიკურად შეეხო.

იგივე ფაქტობრივი გარემოებებია დადგენილი პატრულ-ინსპექტორის ა. ა. ჩვენებით.

სამხრე კამერების ჩანაწერებით გამოიკვეთა, რომ პატრულ-ინსპექტორების შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისას, ბრალდებული მათ დახვდათ ეზოში, რომელსაც მოუწოდეს წესრიგის დაცვისაკენ, თუმცა ის მაინც აგრძელებდა ოჯახის წევრების მიმართ შეურაცხყოფის მიყენებას. შემდეგ კი პოლიციის თანამშრომლებსაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შემდეგაც ადმინისტრაციული წესით დააკავეს. კონფლიქტის დროს იქ იმყოფებოდა ბრალდებულის დაც, რომლისკენც ბრალდებული დასარტყმელად იწევდა.

რაც შეეხება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, 2022 წლის 31 იანვარს პირადი გასინჯვით, ხ. ნ-ას აღვინიშნებოდა ნაკვეთი ჭრილობა მარჯვენა სხივ-მაჯის სახსრის მიდამოში, ხაჭდევები მარჯვენა წინამხრის მიდამოსა და სახის მარცხენა ნახევარში. ნაკვეთი ჭრილობა მიყენებულია რაიმე მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, ხოლო ნაჭდევები მიყენებულია მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით. დაზიანებები მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს

ჯანმრთელობის მოუშლელად და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება წინასწარ ცნობებში მითითებულ თარიღს. პირადი გასინჯვების მონაცემების შესაბამისად, ხ. 6-ა უჩიოდა ტკივილს თავის მარცხენა ნახევარში.

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია, რომ ც. ც-ესა და თ. ც-ეს სხეულზე ფიზიკური დაზიანებები არ აღნიშნებოდათ. მათ ექსპერტის წინაშე განაცხადეს, რომ ჯ. ც-ემ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.

მოწმის – მ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ არის ჯ. ც-ის მეზობელი. 2022 წლის 30 იანვარს აღნიშნავდა დაბადების დღეს. უკვე დაბნელებული იყო, როცა სტუმრები გააცილა და ფანჯრიდან დაინახა პატრულის ავტომანქანა. ეზოში რომ ჩავიდა, მეზობლების-გან შეიტყო, რომ ჯ-ს მოუვიდა ინციდენტი, თუმცა რაიმე ხმაური მას არ გაუგია. მხოლოდ ის იცის, რომ ოჯახის წევრებთან მოუვიდა ინციდენტი, მაგრამ რა სახის, არ იცის. ჯ. ც-ე ცხოვრობს მეუღლე-სა და შვილებთან ერთად.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას („სტამბოლის კონვენცია“), რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის ოჯახში ძალადობას ეხება. კონვენციაში მითითებულია, რომ აღნიშნული დანაშაულის გამოძიება ან სისხლისამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს მთლიანად მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე დამოკიდებული და სასამართლო პროცესი უნდა გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს. აღნიშნული კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოძიების სტადიაზე უნდა მოიპოვონ არსებითი სახის მტერცებულებები, დაკითხონ მოწმეები, მიიღონ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ., რათა დარწმუნდნენ, რომ სასამართლო პროცესის შემდგომი გაგრძელება არაა მხოლოდ მსხვერპლის განაცხადზე დამყარებული (Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, §280).

ამდენად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს სამართლებრივ მოცემულობას, როდესაც, ერთი მხრივ, დაზარალებულებმა (ხ. 6-ამ, ი. ც-ემ, ც. ც-ემ და თ. ც-ემ) ისარგებლეს მათვების კანონით მინიჭებული უფლებით და პირველი ინსტანციის სასამართლოს არ მისცეს ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება, ხოლო, მეორე მხრივ, აცნობიერებს, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს დანამაული, დაიცვას მსხვერპლი და პასუხისმგებლობა დააკისროს მოძალადეს, მიუხედავად

იმისა, გაიხმო თუ არა საჩივარი/განცხადება უკან დაზარალებულ-მა ან/და შეურიგდა თუ არა მოძალადეს. მაშასადამე, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ოჯახში ძალადობის მსხვერ-პლთა განსაკუთრებულ მოწყვლადობას (იხ. „ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ“, (Volodina v Russia), №41261/17, ECHR, 09/07/2019) და ამასთანავე, დამატებით აღნიშნავს, რომ კერძო (დახურულ) სივ-რცეში მტკიცებულებათა მოპოვება განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს და ხშირად შეუძლებელიცა. სწორედ ამიტომ მსგავ-სი კატეგორიის საქმეებზე დაუშვებელია არსებული მტკიცებულე-ბების რაიმე სახით კლასიფიკაცია, რაოდენობრივი შეფასება, წი-ნასწარ იურიდიული ძალის განსაზღვრა და შინაარსის ინტერპრე-ტაცია. სისხლის სამართლის მართლმასაჯულებისთვის უმნიშვნე-ლოვანესია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ერთმანეთთან შე-თანხმებულად, აშკარად და დამაჯერებლად ადასტურებს მომ-ხდარ ფაქტებს, ერთიანი ლოგიკურ ჯაჭვით აღადგენს დანაშაუ-ლის ვითარებას და ობიექტურ პირს გონივრულ ეჭვს მიღმა სტან-დარტით დაარწმუნება ბრალდებაში (იხ. საქართველოს უზენასი სასამართლოს №269აპ.-22, №1070აპ-22 და №1052აპ-22 გადაწყე-ტილებები).

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ და-ნაშაულის შეტყობინების მიღების შემდეგ (რეგისტრაციის №243688, თემა: კონფლიქტი ოჯახური/ძალადობა, შენიშვნა: „...ძა-ლადობაა ოჯახში, აცხადებს, რომ ყველაფერი დალენა, ბავშვები ჰყავს სახლში, ვინაობა არ მითხრა“), პატრულ ინსპექტორები (ცხად-დებიან შემთხვევის ადგილზე, სადაც დახვდათ ჯ. ც-ე, რომელსაც მოუწოდეს წესრიგის დაცვისაკენ, თუმცა, ის მაინც აგრძელებდა ოჯახის წევრების მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას; ჯ. ც-ემ შეუ-რაცხყოფა მიაყენა თავად პოლიციელებსაც, რის გამოც იგი ადმი-ნისტრაციული წესით დააკავეს. გასათვალისწინებელია, რომ კონ-ფლიქტის დროს იქ იმყოფებოდა ბრალდებულის დაც, რომლისკე-ნაც ჯ. ც-ე დასარტყყმელად იწევდა. სამედიცინო ექსპერტიზის დას-კვნით, ხ. ნ-ას სხეულზე არსებული ფიზიკური სახის დაზიანებები აღენიშნებოდა, რომელიც ხანდაზმულობით არ ენინააღმდეგებო-და შესაბამის ცნობები მითითებულ თარიღს.

შესაბამისად, ის ფაქტი, რომ განსახილველი ბრალდება სწორედ კერძო (დახურულ) სივრცეში არის ჩადენილი, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამართალდამცავი ორგა-ნოსათვის მინოდებული ინფორმაციას, რაც მოცემულ შემთხვევა-ში არის ოჯახური კონფლიქტი/ძალადობა, რომელზეც დროულად რეაგირებს შესაბამისი უწყება, ხოლო ადგილზე მისული პატრულ-ინსპექტორი უშუალოდ ხედავს ბრალდებულს ემოციურ მდგომა-

რეობას (რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამშვიდებული). წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით ცალსახად დაგინდება, რომ ჯ. ც-ე პოლიციის მისვლის დროს იქცეოდა კონფილიქტურად, ინვ-და დისკენ და შეურაცხყოფას აყენებდა თავად პოლიციელებსაც. ამ ვითარებაში სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ლოგიკურად ავ-სებს მიზეზობრიობის ჯაჭვს და უზყუურად ადასტურებს ჯ. ც-ის მიერ ჩადენილ ოჯახში ძალადობას, ჩადენილი არასრუნლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის, სამი პირის მიმართ (დანა-შაულის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით).

რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივს, რაც აგრეთვე დადგენილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, ამ ნაწილებში, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-თა პალატის განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია დაცვის მხარეს და გაასაჩივრა მხოლოდ ბრალდების მხარემ. იმ საკითხის გადასაწყვეტად კი, შეუძლია თუ არა სასამართლოს გასცდეს საკა-საციო საჩივრისა და მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საკონსტი-ტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გა-დაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებულ მსჯელობაზე:

„...კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს, საქმეში არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სა-სამართლო განხილვის და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღე-ბის მიზანს...“ (II-20 პარ.).

„...შეჯიბრებითობის პრინციპით გულისხმობს მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, წარადგინონ მათი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები, არგუმენტები და ამ გზით მოახ-დინონ გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე, თუმცა ეს არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალ-დებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამარ-თლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხა-რე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაც-ვას და მიუთიოებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე“ (II-21 პარ.).

დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის არარსებობის მიუხედავად,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №688პ-19 გადაწყვეტილებით დადგენილია პრაქტიკა მსჯავრდებულის გამართლების თაობაზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ იგი უფლებამოსილია, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირის მსჯავრდება იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენაც წარმოდგენილი მასალებიდან არ გამომდინარეობს და აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განაჩენში:

როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩინია, რომ 2022 წლის 30 იანვარს, ჯ. ც-ის დანაშაულებრივ ქმედებას წინ უძლოდა – გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივი, განპირობებული, ოჯახში მისი როგორც მამაკაცის უპირატესი როლის დემონსტრირების მიზნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხსენებული მოტივი, დაზარალებულთა მიერ ჩვენების მიცემის უფლებაზე უარის თქმით სარგებლობის შემდეგ, არც სხვა მტკიცებულებით დადასტურებულა. შესაბამისად, მოცემულ ფონზე წარმოდგენილი საქმის მასალები – ხსენებული მოტივის რეალურად არსებობასთან მიმართებით ინვესტიციების მიზნით და მოტივის შესაბამისად მოცემის უფლებაზე უარის თქმით სარგებლობის შემდეგ, არც სხვა მტკიცებულებით დადასტურებულა. შესაბამისად, გამამტკიცებული განაჩენი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს ეფუძნება და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ: „გენდერული შეუწყნარებლობა შესაძლებელია თან სდევდეს ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობის ნებისმიერ ასპექტს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში – აღნიშნული მოტივის მაკვალიფიცირებელ ნიშნად ბრალდებულისათვის შერაცხვა, დასაშვებია მხოლოდ ამ მოტივისა და ქმედებას შორის ურთიერთკავშირის დადგენისას. ამდენად, დანაშაული ჩადენილია გნდერული შეუწყნარებლობის მოტივით, თუ მტკიცებულებებით დასტურდება მამაკაცის მიერ ქალს თავისუფლების შეზღუდვის, დადგენილ სტერეოტიპულ ჩარჩოებში მოქცევის და კონტოლის ფაქტები და სწორედ ეს საბაბი არის წამყანი ფაქტორი დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენებისას“ (იხილეთ: №203-აპ.-22 გადაწყეტილება).

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოკვლეული არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს გენდერული მოტივის უტყუარად არსებობის ფაქტს და აღნიშნულის შესაბამისად, მოცემული ნიშანი ჯ. ც-ეს მსჯავრიდან უნდა ამოერიცხოს.

რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტს, მოცემული ნაწილი დასჯად ქმედებად მიიჩნევს ოჯახში ძალადობის ჩადენას – „ნინასწარი შეცნობით არასრულნლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ.“

აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების როგორც დისპოზიციის, ისე უშუალოდ მისი ფორმულირების ნაწილში გამოკვეთილი არ არის, თუ „ა“ ქვეპუნქტიდან კონკრეტულად რომელ ნიშანს ედავება ბრალდება ჯ. ც-ეს (აღნიშნული ქვეპუნქტი მითითებულია მხოლოდ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შემაჯამებელ აბზაცში). ანალოგიურად, არ არის მოცემული ქვეპუნქტის კონკრეტულ შინაარსზე მითითება სააპელაციო სასამართლოს დადგენილებით ნაწილში.

საკასაციო სასამართლო ვარაუდობს, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარე გულისხმობდა – „ორსული ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის ჩადენას.“

აღნიშნული ვარაუდის საფუძველს პალატას ერთის მხრივ, ადლევს ის გარემოება, რომ როგორც ბრალდების სხვა ეპიზოდში იკვეთება, ა. ნ-ა იყო ორსული, ხოლო მეორეს მხრივ, სხვა სავარაუდო ნიშანი – მაგალითად, ნინასწარი შეცნობით არასრულნლოვნის მიმართ დანაშაულის ჩადენა, ისედაც ცალკე ბრალდების ეპიზოდად არის გამოყოფილი (2022 წლის 30 იანვარი) და ამასთან, არც განსახილველი ბრალდების ფაბულიდან იყოთხება ცალსახად.

მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, ის გარემოება, რომ საბოლოო ბრალის ნარდგენამდე (11.03.2022), კერძოდ, 2022 წლის 15 თებერვალს, როდესაც გარკვეულზომად დადგენილება კვალიფიკაციის თაობაზე, მათ შორის – საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილში შეიცვალა, მოცემულ მუხლს დაემატა სწორედ „ა“ ქვეპუნქტი – „ორსული ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტი“ (კვალიფიკაციის შეცვლის საფუძვლებში მასზე მითითება აღარ არის). თუმცა, მოცემული ფაქტის შემდეგ, როგორც აღინიშნა, საბოლოო 2022 წლის 11 მარტის ბრალდების შესახებ დადგენილებაში (დისპოზიციასა და აღნერილობაში) აღარ არის მითითებული მოცემულ ნიშანზე და ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ორსულობასთან დაკავშირებით, არათუ უშუალოდ მითითება არ გხვდება, არამედ საქმის მასალების თანახმადაც, გარკვეულნიად შესაძლებელია იმის დადგენა, რომ 2022 წლის 30 იანვარს, ესე

იგი დანაშაულის ჩადენის დღეს ხ. ნ-ა აღარ იყო ორსული და მას შვილი უკვე – 1 თვის შექენილი ჰყავდა (ვინაიდან, იგი დაკითხულია მომდევნო დღეს, 2022 წლის 31 იანვარს და აღნიშნულზე რმდენჯერმე მიუთითებს თავად დაზარალებული). საკასაციო სასამართლო ცალსახად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ხ. ნ-ას გამოკითხის ოქმს იგი არ იყენებს ჯ. ც-ის მსჯავრდების ნაწილში, არამედ მხოლოდდამხოლოდ იმ გარემოების გასაანალიზებლად – თუ გამოძიების სტადიაზე რა კონკრეტულ მასალას დაეყრდნო ბრალდება, როდესაც მოცემულ მაკვალიფიცირებელ ნიშანს უსაზღვრავდა ჯ. ც-ეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს მათ შორის ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღნერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით, რაც მოცემულ შემთხვევში ხსენბულ მაკვალიფიცირებელ (ორსული ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის ჩადენის) ნაწილში, – არ არის დაცული, ვინაიდან მასზე მითითება არ გვხვდება არც ბრალის დისპოზიციაში და არც მის ფორმულირებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. ც-ეს უნდა ამიერიცხოს მითითება როგორც – საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, ისე გენდერის ნიშით შეუწყნარებლობის მოტივზე, ვინაიდან ისინი წარმოდგენილი საქმის მასალებიდან არ გამომდინარება.

1.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების, 2022 წლის 30 იანვრის ეპიზოდი:

მსჯავრდების მოცემულ ეპიზოდში საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ ზემომიმოხილული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს წარდგენილი ბრალდების უტყუარობას.

გარდა, პატრულ-ინსპექტორების – ა. ა-ა და ლ. გ-ს ჩვენებებისა და სამხრე-კამერის ვიდეოჩანანერებისა (რომლებიც საკასაციო სასამართლომ ზევით უკვე დეტალურად მიმოიხილა), გასათვალისწინებელია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასაც, რომლის თანახმადაც, პირადი გასინჯვით ი. ც-ეს (31.01.226.) აღნიშნება სისხლნაშენთი მარცხენა თვალ-ბუდის მიდამოში, ნაჭდევები მარცხენა თვალ-ბუდისა და კისრის მიდამოებში. აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზ-

მულობით არ ეწინააღმდეგება წინასწარ ცნობებში მითითებულ თარიღს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად: ოჯახური ძალადობის შემადგენლობასათვის სავალდებულო ერთ-ერთი ელემენტის – ფიზიკური ტკივილის განცდის დადგენი შესაძლებელია როგორც თავად დაზარალებულის ჩვენებით, ასევე – საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით (მსხვერპლის სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ძალადობის ხანგრძლივობის, მიყენებული დაზიანებების რაოდენობის, სახის, განლაგების, დანაშაულის ჩადენის ხერხის, საშუალებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით), რომლებიც მსხვერპლის მიერ ტკივილის განცდის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალადობის ისეთი ფაქტები, სადაც დაზარალებულის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით შეუძლებელია მსხვერპლის მიერ განცდილი ტკივილის ვერბალურად გადმოცემა, დაუსჯელი დარჩებოდა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი №443აპ-20).

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოსათვის არ ინვესტიცია ის გარემოება, რომ არასრულწლოვნისათვის (2015 წელს დაბადებული) სისხლნაუდენთი მარცხნა თვალ-ბუდის მიღამოში, ნამდვილად გამოიწვევდა ტკივილს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს როგორც ი. ც-ის, ისე ხ. ნ-ას ნაწილში (ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს შესაბამისი სამედიცინო ექსპერიზის დასკვნის შინაარსს, რომელიც ზემოთ უკვე იქნა განხილული) ფიზიკური ტკივილის განცდის ელემენტი უტყუარად დადასტურებულად მიაჩინა.

როგორც აღინიშნა, დაცვის მხარეს საკასაციო საჩივარი მოცემულ ნაწილში გამართების მოთხოვნით არ წარმოუდგენია. შესაბამისად, საკასაციო პალატა დეტალურად აფასებს რა წარმოდგენილ მტკიცებულებათა შინაარსს აღნიშნავს, რომ მათში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნია და მოწმეთა ჩვენებები შესაბამისობაშია სამხრე-კამერის ჩანაწერის შინაარსთან, ისევე როგორც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ლოგიკურად ებმის მოცემული ქმედების მიზეზობრიობის ჯაჭვის.

ყოველივე ზემოანიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი მოცემულ მსჯავრდებაში შეიტანოს რაიმე სახის ცვლილება, რის გამოც ამ ნაწილში საპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დარჩეს უცველელად.

1.3. 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (2021 წლის იანვარი – 2022 წლის იანვრის პერიოდის, 2021 წლის სექტემბრის

ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2021 წლის დეკემბრის ეპიზოდი) გამართლების ნაწილი:

საკასაციო პალატა ბრალდების ხსენებულ ორ ეპიზოდში სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და მოტივაციას და აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, ინფორმატიულია მხოლოდ 2022 წლის 30 იანვარს ჯ. ც-ის მიერ ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე, ხოლო სხვა ბრალდებათა ირგვლივ კი არა-თუ პირდაპირ, არამედ ირიბადაც ვერ ადასტურებენ ჯ. ც-ის მხრიდან 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით დაზარალებულ ხ. ნ-ას მიმართ განხორციელებული სისტემატური შეურაცხყოფისა და 2021 წლის სექტემბერსა და დეკემბრის ბოლოს, ასევე მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტებს, მით უფრო, ამ ძალადობების შედეგად დაზარალებულის მიერ ფიზიკური ტკივილისა და ფსიქოლოგიური ტანჯვის განცდის ფაქტებს.

შესაბამისად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ამ ორ ეპიზოდში, ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მტკიცებულებათა – გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს და არასაკმარისია პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

1.4. საკასაციო სასამართლოს მიერ ჯ. ც-ის მიმართ შერჩეული სასჯელის სახე და ზომა:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი პასუხობდეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ მიზნებს.

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ოჯახური ძალადობის საქმებზე უმნიშვნელოვანესია, ზედმიწევნით შეფასდეს ძალადობის ხარისხი, კერძოდ: 1) რა ფორმით ჩაიდინა პირმა ძალადობა

(ფიზიკური, ფსიქოლოგიური), 2) რამდენ ეპიზოდად და დროის რა შეუალებით, 3) რა ხერხის გამოყენებით (მაგალითად, ემუქრებოდა არამხოლოდ სიტყვიერად, არამედ დანის დემონსტრირებით), 4) დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანება, მისი ლოკალიზაცია და ა.შ..

განსახილეველ შემთხვევაში ჯ. ც-ეს ბრალად ედება ოჯახის სხვა-დასხვა წევრის მიმართ ფიზიკური ძალადობა (ორი ეპიზოდი). ამ-დენად, მოცემულ საქმეში ძალადობის ხარისხი არ არის დაბალი. შესაბამისად, საკასაციო პალატას (გენდერის ნიშნისა და საქარ-თველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ამო-რიცხვის მიუხედავად) არ მიაჩნია მართებულად ჯ. ც-ის სასჯელის შემსუბუქება (მითუმეტეს, რომ მოცემული მოთხოვნით საკასაციო სასამართლოსათვის თავად დაცვის მხარესაც არ მოუმართავს). ამასთან, არ არსებობს სასჯელის მეტად გამკაცრების საფუძვე-ლიც, ვინაიდან ბრალდების მხარეს არ მიუთითებია რაიმე ისეთი სახის გარემოებაზე, რაც სააპელაციო სასამართლოს მხედველო-ბაში არ მიღლია სასჯელის დანიშნის დროს.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მი-აჩნია, რომ ჯ. ც-ე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ – საქართვე-ლოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტე-ბით, რისთვისაც უნდა მიესაჯაოს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით; ანალოგიურად, უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით – საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საბოლოოდ, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თა-ნახმად, ჯ. ც-ეს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სრულად უზრუნველ-ყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული სასჯე-ლის მიზნების მიღწევას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურორის პროკურორ თინათინ სტურუას საკასაციო საჩიგარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

ჯ. ც-ე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (2021 წლის იანვარი – 2022 წლის იანვრის პერიოდის, 2021 წლის სექტემბრის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2021 წლის დეკემბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

ჯ. ც-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით, ხოლო ამავე ბრალდების ეპიზოდიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ამოერიცხოს – როგორც ზედმეტად წარდგენილი და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლით;

ჯ. ც-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქას მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ ჯ. ც-ეს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 4 თებერვლიდან;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება
(სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილი)
განაჩენი
საქართველოს სახელით

№119აპ-23

17 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ნ. სანდოძე

განიხილა თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ანი ხუბეჯაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 მაისის განაჩენით პ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესავა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის საფუძველზე შეუმცირდა 75 დღით და განესაზღვრა 3 წლით, 9 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რამაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 თებერვლის განაჩენით დანიშნული და იმავე სასამართლოს 2013 წლის 23 იანვრის განჩინებით შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და პ. ბ-ს განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ მიესავა 3 წლით, 9 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩატვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2020 წლის 27 აგვისტოდან 2021 წლის 25 მაისის ჩატვლით.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით პ. ბ-ს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 26 აგვისტოს თ-ი, ჩ-ის ქ. №-ის მობირდაპირედ, დაახლოებით 22 საათზე წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირებისას, გ. ზ-მა განზრას მოკვლის მიზნით დანა დაარტყა გ-ს, რა დროსაც ჭრილობები მიაყენა გულმკერდისა და თავის არეში, რის შემდეგაც

შემთხვევის ადგილიდან მიიმაღა. გულმერდის არეში მიღებულმა დაზიანებებმა გამოიწვია გ-ის სიკვდილი.

მომხდარ ფაქტს შეესწრო ბ. ბ-ი, რომელმაც იცოდა, რომ ჩადენილი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და ამის შესახებ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩირო მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. გ-ემ, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მაისის განაჩენის გაუქმება და ბ. ბ-ის გამართლება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენით დაკმაყოფილდა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მაისის განაჩენი გაუქმდა: ბ. ბ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. გამართლებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან; მასაც განემარტა საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების შესახებ.

5. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩირო ბრალდების მხარემ. პროკურორი ანი ხუბეჯაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და ბ. ბ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

6. გამართლებულ ბ. ბ-ის ადვოკატი გ. გ. შესაგებლით ითხოვს პროკურორის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას.

7. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა იოსებ ხუციშვილმა მოითხოვა პროკურორ ანი ხუბეჯაშვილის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენის გაუქმება და ბ. ბ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

8. ადვოკატმა ლ. ა-ემ მოითხოვა ბ. ბ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა პოზიციები და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩიროებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ ვერ

წარმოადგინა გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს და-არწმუნებდა ბ. ბ-ის ბრალეულობაში, კერძოდ:

2.1. მოწმე ა. ლ-ის ჩვენებით დასტურდება, რომ მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ნათესავების – ბ. და მ. ბ-ების სახლში, თ-ი, ჩ-ის ქ. №-ში. 2020 წლის 26 აგვისტოს ბ. ბ-სა და მის მევობრებს ადგი-ლობრივ მაცხოვრებლებთან მოუხდათ კამათი, თუმცა სიტუაცია ფიზიკური ძალადობის გარეშე განიმუხტა და ყველა სახლში შებ-რუნდა; დაახლოებით 40 წუთში ბ. ბ-ი და მისი მეგობარი გ. ზ-ი ისევ გარეთ გავიდნენ; დაპირისპირებულთა შორის ჩხუბი ორ ადგილას მიმდინარეობდა – ზედა მხარეს იყო ბ. ბ-ი, რომელსაც თვითონ აშ-ველებდა, ხოლო ქვემოთ ჩხუბობდნენ გ. ზ-ი და ა. ო-ი; მოწმეს და-ნა არ დაუნახავს, მხოლოდ კივილი შემოესმა, კაცი დაჭრესო, რის შემდეგაც გ. ზ-ი და ა. ო-ი მივიდნენ ბ. ბ-თან და უთხრეს, გავიქცე-თო; ბ-სგან გაიგო სიტყვები – „დანა სად უნდა გამოიყენო, არ იციო?!” ბ. და მისი და სახლისკენ გაიქცნენ, ჩხუბში მონაწილე პი-რებმა კი შეაღწიეს ეზოში და მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ; 7-8 ადამიანი ეჩხუბებოდა ბ. ბ-ს, რომელსაც თავი ჰქონდა გატეხილი; 4-5 წუთში მივიდა პოლიცია, რომელმაც ხალხის წასკლის შემდეგ ბ. ბ-ს ჰკითხა, თუ რა ხდებოდა; ბ-მ გამოიცვალა და პოლიციელებმა ის წაიყვანეს; რადგან იყო აფექტურ მდგომარეობაში, თვითონ ვერ მოიფირა პოლიციაში დარეკვა, ტელეფონიც არ ჰქონდა.

2.2. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს მოწმის სა-ხით დაკითხულმა ს. თ-მა და დ. თ-მა. ს. თ-მა დამატებით განმარტა, რომ 3-4 წუთი არ იყო გასული, პოლიცია რომ მივიდა; ბ-ს ხელში ტელეფონი არ დაუნახავს, ხოლო დ. თ-მა აღნიშნა, რომ შემთხვე-ვის ადგილი ლამპიონებით იყო განათებული და დაინახა გ. ზ-ის მი-ერ მოქნეული დანა, რომელიც გ-ს გულმკერდის არეში მოხვდა; ასე-ვე გაიგო ბ. ბ-ისათვის გ. ზ-ის ნათქვამი, რომ დაჭრა და გაქცეუ-ლიყვნენ, რაზეც ბ. ბ-მა უპასუხა: „რა ჰქენი, ბიჭო, დანა იხმარეო?!”

2.3. ფაქტის კიდევ ერთმა თვითმხილველმა, მოწმე მ. ე-მ სასა-მართლოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ არის ბ. ბ-ის და; 2020 წლის 26 აგვისტოს, სტუმრების გაცილებისას, რადგან მის ძმას შეაგვი-ანდა, გარეთ გავიდა და ნახა, რომ დაახლოებით 30 კაცს შორის იყო მისი ძმაც და ისინი ჩხუბობდნენ; გაშველების შემდეგ ბიჭებთან ერთად დაბრუნდა სახლში; მცირე ხანში ბ-მ გადაწყვიტა იმავე ხალ-ხთან დალაპარაკება, თვითონაც გაჰყვა, რა დროსაც უბნის მაც-ხოვრებლებთან მოხდა ფიზიკური დაპირისპირება; დაინახა დანი-ანი სილუეტი, ეგონა, რომ ბ-ს მისადევდნენ, ამიტომ ის სახლში შე-იყვანა; ხალხის ბრძოლის გადასახარებელი მათ სახ-ლთან მივარდა, ბ-საც ურტყამდნენ, ის წაიქცა და წაქცეულსაც ურ-

ტყამდნენ; როდესაც იკითხა მიზეზი, უთხრეს, რომ ჩემი ნათესავი დაჭრესო, მერე უცებ წავიდნენ; ამ დროს მივიდა პოლიცია, ეძებდნენ დანას, შემდეგ ბ. წაიყვანეს.

2.4. მოწმე ა. ო-ის ჩვენებიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 26 აგვისტოს იმყოფებოდა ბ. ბ-ის სახლში და მის ნათესავებსა და მეგობრებთან ერთად სვამდნენ ლუდს; წასვლისას შელაპარაკება მოუხდათ უბანში მაცხოვრებელ ბიჭებთან; კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად უკან დაბრუნდნენ; რამდენიმე ხანში ბ. გავიდა ბიჭებთან დასალაპარაკებლად, რასაც მოჰყვა ფიზიკური დაპირისპირება; ა-ს გილაცამ სკამი ჩაარტყა თავში, რის გამოც წამიერად გაითიშა, შემდეგ დაიწყო გ. ზ-ის ძებნა, რომელსაც დაახლოებით 10 მეტრის მოშორებით ექვსი კაცი სცემდა; ისინი წამიერად დაიშალნენ და გ. გამოჩნდა, რომელსაც მარცხენა ხელიდან სისხლი სდიოდა; გ. ბ-ს სახლისკენ გაიქცა; ბ. ფეხზე იდგა, მაგრამ თავი სისხლიანი ჰქონდა და სირბილი არ შეეძლო; ის ეზოში შევიდა და კარი ჩაკეტა; ა. ო-ი და გ. ზ-ი იქიდან წაგიდნენ, ურეავდნენ ბ-ს, მაგრამ ვერ დაუკავშირდნენ, მოუწვდომელი იყო; დანის მოქნევის მომენტი მას არ დაუნახავს.

2.5. მოწმე ლ. ს-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2020 წლის 26 აგვისტოს მისმა შვილმა დაამშვიდა ქუჩაში მოჩეუბარი მამაკაცები; სახლში დაბრუნებიდან მალევე გაიგეს ყვირილის ხმა; ბ. ბ-ს თან ახლდა ორი მამაკაცი, ისინი ეძებდნენ მის შვილს, აგინებდნენ და ყვიროდნენ; გ. გავიდა გარეთ, თვითონაც გაჰყვა და დაინახა, რომ ლურჯ მაისურიანს 4-5 ბიჭი ეჩეუბებოდა, რომლებიც გ-მ გააშველა და იმ მომენტში დაარტყა დანა; ბ. ამბობდა დაბლიდან – „ბიჭო, რას შვები, მოკალიო?“ და გაიქცნენ.

2.6. მოწმე რ. მ-ის ჩვენებით, დიდი ყვირილის შემდეგ გ-ი გარეთ გავიდა, მას დედა – ლ. ს-ა გაჰყვა; თვითონაც ხახევარ წუთში გავიდა, მაგრამ გ. უკვე დაჭრილი იყო; პოლიცია 2-3 წუთში მივიდა.

2.7. მოწმე ქ. ხ-ას ჩვენების მიხედვით, საღამოს 9 საათის შემდეგ გ-ის სახლის მოპირდაპირე ჩიხიდან ბ. ბ-ი და სამი ბიჭი ჩამორბოდა გინებით; მათთან გ. გავიდა რ-თან ერთად; ბიჭები შეკამათდნენ, მაგრამ მალევე დამშვიდდნენ და დაიშალნენ; ცოტა ხანში იგივე პირები ახალგაზრდა ქალთან ერთად დაბრუნდნენ და კითხულობდნენ გ-ს; სიტყვიერი კონფლიქტი გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში, რომელშიც ბ. ბ-იც მონაწილეობდა; მოწმემ დაინახა, თუ როგორ დაარტყა დანა გ-ს ლურჯმაისურიანმა პირმა, რის შემდეგაც ბ. ბ-მა უთხრა: „რა ჰქენი, მოკალიო?“ პასუხი აღარ გაუგია, რადგან მამაკაცები ზემოთ გაიქცნენ.

2.8. გ-ის დაჭრის ფაქტი დაადასტურა მოწმე ი. ჟ-მა, ხოლო მოწმე ნ. წ-მა განმარტა, რომ საღამოს 7 საათისათვის ბ. ბ-ის და არაა-

დეკვატურად იქცეოდა, ბ. ბ-მა ის ორჯერ შეიყვანა სახლში; 15 წუთში ყვირილის ხმაზე გამოვიდა და დაინახა, რომ ჩიხში უამრავი ხალხი იყო და დაძაბულად საუბრობდნენ; ამ დროს გაიგო, რომ გ. დაჭრეს და ლამპიონის შუქზე დაინახა, რომ გ-ს მუცელზე ედო ხელი, 3-4 ნაბიჯი გადადგა და იქვე, კედელზე მიყუდებული, ჩამოსრიალდა; მერე გაიგო, რომ ბ. ბ-ი იყო ნაცემი, თვითონ არ უნახავს.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება ფორმალურ შემადგენლობათა კატეგორიას, რომელიც დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც პირისათვის ცნობილი გახდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა. ამასთან, მუხლის დისპოზიცია მკაფიოდ გულისხმობს პირის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ ნამდვილი/სარწმუნო ინფორმაციის ფლობის/ცოდნის აუცილებლობას, კერძოდ, პირს უნდა გააჩნდეს სარწმუნო ინფორმაცია დანაშაულის ხასიათსა და შინაარსზე ან იმ პირზე, ვინც ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ხოლო ცოდნის ნამდვილობა კი შესაძლებელია, ეფუძნებოდეს იმსა, რომ პირი იყო დანაშაულის თვითმხილველი ან დამნაშავეებთან/თანამონაწილესთან საუბრის დროს გაიგო ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია პირისთვის შესაძლებელია, ცნობილი/მოპოვებული გახდეს ასევე დოკუმენტებიდან, კერძო მიმოწერიდან და ა.შ.. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის პასიურ ქცევაში (უმოქმედობაში), კერძოდ, პირის მიერ კომპეტენტური ორგანოებისათვის შეუტყობინებლობაში, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ხოლო აღნიშნული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რა დროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ არ ატყობინებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ შესაბამის ორგანოებს/პირებს, რომლის შესახებაც დანამდვილებით იცის და სურს ეს შედეგი, ხოლო შეუტყობინებლობის მოტივი შესაძლებელია იყოს შერისძიების შიში, ანგარება, დამნაშავისთვის ხელის დაფარება და ა.შ.

4. საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს არ დაეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც მან იცის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუმცა მას დაუძლეველი ძალით, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით ან მასზე განხორციელებული ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გამო არ გააჩნდა რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ზემოაღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაულის ჩადენის თაობაზე ეცნობებინა სათანადო ორ-

განოებისათვის/პირებისათვის. ამასთან, ეს დანაშაული, როგორც წესი, დენადი ფორმით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი იწყება უმოქმედობით და შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.

5. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განზრას მკვლელობის შესახებ შეუტყობინებლობა გამოძიებისათვის, მტკიცების თვალსაზრისით, საკამაოდ რთული ამოცანაა. პირველ რიგში, უნდა დადასტურდეს კონკრეტული პირის ინფორმირებულობა ამგვარი დანაშაულების ჩადენის თაობაზე. მტკიცებულებებით თუ ვერ დადასტურდება უტყუარად, რომ პირი სარწმუნო ინფორმაციას ფლობს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, მისი მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების არცოდნის თაობაზე განცხადების გავეთება სამართალდამცავ ორგანოში ვერ განიხილება მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლად.

6. ზოგადად, დანაშაულის ადგილზე ყოფნა უპირობოდ კონკრეტული დანაშაულის დანახვასა და მის გაცნობიერებას არ გულისხმიობს. აღნიშნულთან ერთად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომ პირმა იცის/შეიტყო ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მსგავს შემთხვევაში სწორედ აღნიშნული ორი კრიტერიუმის ერთობლიობა განაპირობებს ცოდნის ნამდვილობას. საკასაციო პალატა საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შემდეგ ასკვნის, რომ ბ. ბ-ის ბრალეულობის ცალსახად დადასტურება შეუძლებელია, ისინი უტყუარად არ მიუთითებს მის მიერ დანაშაულის ხასიათისა და შინაარსის ცოდნის თაობაზე, მეტიც, ძნელად იკვეთება მისი მოქმედებების ერთიანი სურათი, ვინაიდან მოწმეთა ჩვენებები განსხვავდება ერთმანეთისაგან მოვლენათა აღნერის, ჩხუბის მიზეზისა და მონაწილე პირების რაოდენობასთან დაკავშირებით.

7. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შეუძლებელია, დადასტურებულად მივიჩნიოთ, რომ ბ. ბ-მა ნამდვილად დაინახა, აღიქვადა გააცნობიერა გ. ზ-ის მიერ გ-ისათვის თავისა და გულმკერდის არეში ჭრილობების მიყენება, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია, მითუთრო, რომ ამის თაობაზე არც მოწმეებს არ უთქვამთ. იმის დაშვებითაც კი, რომ ბ. ბ-ი სრულად გაერკვა მომხდარ ვითარებაში, შეუძლებელია მტკიცება, რომ გ. ზ-ის მხრიდან დანის გამოყენებით მისთვის ცხადი გახდა, თუ რა დაზიანებები მიიღო დაზარალებულმა. შემთხვევის ადგილზე მყოფი პირებიდან არცერთი არ უთითებს ბ. ბ-ის მიერ გ. ზ-ის მხრიდან დანის გამოყენების ფაქტისა და გ. ს-ის დაბლა დაცემის დანახვის შესახებ. ამასთან, დადგენილია, რომ ბ. ბ-ი და გ. ზ-ი ერთი მიმართულებით არ წასულან; ბ. ბ-ი იძულებული გახდა, გაქცეულიყო და ეზოში ჩაეტილიყო, რა დროსაც ცემის შედეგად მანაც მიიღო სხეულის დაზიანებები.

8. გარდა ამისა, ქმედების შეუტყობინებლობით დასაკვალიფი-

ცირებლად აუცილებელია, რომ შეტყობინება დანაშაულის ჩადენის თაობაზე გაკეთდეს უმოკლეს ვადაში. კანონში არ არის მითითებული დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს შეტყობინება. ობიექტურად, დროის ეს პერიოდი გრძელდება დამნაშავის მხილებამდე, სუბიექტურად კი დროის მოცემული პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს იმ მომენტამდე, როცა უმოქმედოდ მყოფი პირი შეიტყობს, რომ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობილია სათანადო ორგანოებისათვის და დაწყებულია გამოიყება. ამასთან, პირი პასუხს აგებს შეუტყობინებლობისათვის მაშინ, თუ მას ამ პერიოდის განმავლობაში რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, ეცნობებინა სამართალდამცავებისათვის დანაშაულის ჩადენის თაობაზე. ასეთი შესაძლებლობის არარსებობა კი გამორიცხავს პასუხისმგებლობას.

9. პალატა მიუთითებს, რომ ზემოჩამოთვლილი მოწმეების ჩვენებით ერთმიშვნელოვნად დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიღნენ ძალიან მალე, 3-5 წუთში. აღნიშნული დასტურდება თავად პოლიციელების ჩვენებებითაც, კერძოდ: მოწმეებმა – ნ. შ-ბა და ზ. ჩ-მა სასამართლოს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ 2020 წლის 26 აგვისტოს მიიღეს შეტყობინება ჯერ ჩეუბის, ხოლო შემდეგ – დაჭრის შესახებ და ადგილზე მივიღნენ დაახლოებით 2-3 წუთში; ჩ-ის ქ. №-ში მათ დახვდათ ნაცემი ბ. ბ-ი, რომელიც იყო აგრესიული, ილანძლებოდა და ინევდა მეზობლების მიმართულებით; პოლიციელების შეკითხვაზე მან ჯერ უპასუხა, რომ არაფერი იცოდა, ხოლო შემდეგ – ალარაფერი უთქვამს.

10. ამდენად, დადასტურებულია, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლამდე პოლიციელებმა უკვე იცოდნენ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. ამასთან, ბ. ბ-ი ხალხმრავალ დაპირისპირებაში ერთ-ერთი მონაწილე პირია, რომელიც გახდა მეზობლების მხრიდან თავდასხმის ობიექტი და თვითონაც მრავალი დაზიანება მიიღო. ასეთ პირობებში კი ვარაუდი იმისა, რომ მას გააზრებული ჰქონდა მომხდარი ფაქტი, რეალურად შეეძლო და არ დარეკა პოლიციის განყოფილებაში, უსაფუძვლოა. აგრეთვე, პოლიციის თანამშრომლებისათვის მის მიერ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია შესაძლოა, გამოყენებულიყო მის წინააღმდეგ.

11. მობილურ ტელეფონთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მოწმე გ. ბ-ის ჩვენებით, ის ვერ უკავშირდებოდა ბ. ბ-ს, ვინაიდან მისი ნომერი იყო მიუწვდომელი. ასევე ვერ უკავშირდებოდა ბ-ს თავისი მეუღლეც. გამომძიებელ ლ. ტ-ის ჩვენების მიხედვით, პოლიციის განყოფილებაში გადაყვანილ ბ. ბ-ს მობილური ტელეფონი თან ჰქონდა, ტელეფონი იყო დატენილი, თუმცა რამდენ პროცენტზე, არ ახსოვს; დაცვის მხარის მტკიცებით კი, მობილური იყო დამჯდარი, რაც მოწმეთა ჩვენებებითაც დასტურდება. ბრალდე-

ბის მხარეს არ ჩაუტარებია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები აღნიშნული ბუნდოვანების გასაქარწყლებლად და მობილური ტე-ლეფონი სასამართლოშიც არ გამოკვლეულა. ამდენად, მის რეალურ მდგომარეობაზე სასამართლო ვერ იმსჯელებს.

12. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მოცემულ ვითარებაში ბ-ს არ ჰქონდა იმის რეალური შესაძლებლობა, მომხდარი დანა-შაულის შესახებ შეეტყობინებინა სამართალდამცავი ორგანოები-სათვის, რაც გამორიცხავს მის სისხლისამართლებრივ პასუხის-მგებლობას.

13. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, „ინ დუ-ბიო პრო რეო-ს“ პრინციპის, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მოთხოვნე-ბის გათვალისწინებით, ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღ-ნიშნული გარემოება, რომ ბ. ბ-მა ნამდვილად იცოდა გ. ზ-ის მიერ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის თაობა-ზე, რის შესახებაც არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს, წარმოადგენს ეჭვს, რომელიც ბრალდებულის სასარგებლოდ უნ-და გადაწყდეს.

14. ამდენად, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია უტყუარი, ეჭვის გამომრიცხავი, შეთანხმებულიდა პირდაპირი ხასიათის მტკა-ცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც საფუძვლიანად უარ-ყოფდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციასა და დაცვის მხარის შესაგებელში გაცხადებულ მითითებას ბ. ბ-ის უდა-ნაშაულობის თაობაზე, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს სისხლის სამართლის საქმეთა 2022 წლის 27 დეკემბრის გა-მამართლებელი განაჩენი ბ. ბ-ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. პროკურორ ანი ხუბეჯაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკ-მაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენი ბ. ბ-ის მი-მართ დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. აცლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

**აცლად გამოვლენილ გარემოებათა გამო
შუამდგრადობის დაუზვებლად ცნობის შესახებ
განერიცების უცვლელად დატოვება**

**განერიცება
საქართველოს სახელით**

№9აგ-23

31 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
შ. თადუმაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფუაშვილი,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ-ის საკაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის განჩინებაზე.

1. პროცედურა:

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგის 2018 წლის 18 სექტემბრის განაჩენით ვ. ზ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილს „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგის 2018 წლის 11 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ვ. ზ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პერიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 4 წელი ჩადენითვალა პირობით მსჯავრად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, და-მატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარი.

1.2. მსჯავრდებული ვ. ზ-ი პენიტენციური დანესებულებიდან გათავისუფლდა 2019 წლის 23 მაისს.

1.3. 2021 წლის 11 ივნისს, სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არა-საპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სა-აგენტოს ტერიტორიულმა ორგანომ – თბილისის პრობაციის ბიუ-რომ წარდგინებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ვ. ზ-ის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმება და განა-ჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულება იმ სა-ფუძვლით, რომ მსჯავრდებულმა დაარღვია საზღვარგარეთ გამ-გზავრების ნებართვით განსაზღვრული ვადა (2020 წლის 28 იან-ვრიდან 2020 წლის 27 აპრილის ჩათვლით პერიოდი) და ზედიზედ 6-ჯერ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა თბილისის პრობაციის ბიუროში, რითაც თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეო-ბების შესრულებას.

1.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგის 2021 წლის 28 ივნისის განჩინებით დაკმაყო-ფილდა თბილისის პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინება, გა-უქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგის 2018 წლის 18 სექტემბრის განაჩენით ვ. ზ-ის მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით – მიექცა აღსასრულებლად.

1.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით მსჯავ-რდებულ ვ. ზ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. კ-ისა და ნ. წ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძი-ებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლე-გიის 2021 წლის 28 ივნისის განჩინება დარჩა უცვლელი.

1.6. 2023 წლის 26 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ვ. ზ-მა. მსჯავრდე-ბულმა მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილი-სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-ლატის 2021 წლის 19 ოქტომბრის განჩინების გადასინჯვა და პრო-ბაციის ბიუროში გამოცხადებისათვის თავის არიდებამდე გასული დროის (11 თვის) გამოკლებით პირობითი მსჯავრის დარჩენილი ვა-დის (3 წლისა და 1 თვის) გაუქმების საკითხის ახლიდან განხილვა,

იმ საფუძვლით, რომ აქეს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა (ქრონიკული ტუბერკულოზი), ესაჭიროება გადაუდებელი სასწაულო მკურნალობა ციხის გარეთ, ამასთან, საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრება და საქართველოში დაბრუნების დრო დაემთხვა პანდემიას, გამოცხადდა კარანტინი, შეწყდა ფრენები, რის გამოც ვერ დაბრუნდა დროულად საქართველოში და ვერ გამოცხადდა პრობაციის ბიუროში.

1.7. 2023 წლის 8 თებერვალს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განჩინების გადასინჯვის თაობაზე ცნო დაუშვებლად.

1.8. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ვ. ზ-ის შუამდგომლობა დაუსაბუთებელია, რადგან არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ი) 310-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, მსჯავრდებული ვერ მიუთითებს რაიმე ახალ გარემოებას, რაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საფუძველი გახდებოდა. იმავდროულად, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლი ითვალისწინებს განაჩენის და არა განჩინების გადასინჯვის შესაძლებლობას.

1.9. მსჯავრდებულმა ვ. ზ-მა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის განჩინების გაუქმება და მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება 11 თვით (პრობაციის ბიუროში გამოცხადებისათვის თავის არიდებამდე გასული დრო).

2. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

2.1. საკასაციო სასამართლომ შეგამოწმა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინია, რომ იგი არ უნდა დაკამაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.2. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს: საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარის განხილვის შედეგად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, ძალაში დატოვოს განჩინება ან გააუქმოს იგი და მიუთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ დაუშვას შუამდგომლობა. ამდენად, საკასაციო სასამართლო საჩივრის განხილვის ამ ეტაპზე არ არის უფლებამოსილი შეცვალის/გააუქმოს სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვასაც ითხოვს მხარე. შე-

საპამისად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს კასატორის მოთხოვნაზე სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, არამედ ამონმებს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების სისწორეს.

2.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სასკ-ის 20-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს. მართალია, საქართველოს სსსკ-ის 310-ე-314-ე მუხლები განსაზღვრავს განაჩენის გადასინჯვის საფუძვლებსა და წესს, თუმცა, ზოგადად, ეს არ გამორიცხავს სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლის/საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

2.4. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ი ამომწურავად განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძვლებს და ადგენს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებული საფუძვლების არსებობისას. ამდენად, საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ამონმებს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის/საფუძვლების არსებობას. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი ვერ უთითებს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვერც ერთ საფუძველს და ზოგადად მოითხოვს დანიშნული სასჯელის შემსუბუქებასა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის ახლიდან განხილვას. ვინაიდან მითითებულ ნორმაში განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძვლები ამონწურავად არის განსაზღვრული, დაუშვებელია საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არარსებობის პირობებში კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა იმ საკითხის ხელახალი შეფასების მიზნით, რაც საქართველოს სსსკ-ის თანახმად ფასდება საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას და შემდგომ, ორდინარული გასაჩივრების პირობებში.

2.5. სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში მსჯავრდებული განჩინების გადასინჯვისა და პრობაციის ბიუ-

როში გამოცხადებისათვის თავის არიდებამდე გასული დროის (11 თვის) გამოკლებით პირობითი მსჯავრის დარჩენილი ვადის გაუქმების საკითხის ახლიდან განხილვის საფუძვლად უთითებს მის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობასა და პრობაციის ბიუროში გამოცხადებლობის მიზეზებს.

2.6. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ „ნარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთვად თუ სწავა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლის-სამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო“.

2.7. ამდენად, ახალი გარემოება არა მხოლოდ ობიექტურად უცნობი უნდა ყოფილიყო კასატორისთვის გადაწყვეტილების დადგენის დროს, არამედ ეს გარემოება უნდა იწვევდეს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ შედეგებს, რაც მოცემულ შემთხვევებაში არ იკვეთება. კერძოდ, დაცვის მხარეს შეეძლო პრობაციის ბიუროში გამოუცხადებლობის მიზეზებსა და სასჯელის შემსუბუქებაზე აპელირება პირველი ინსტანციის სასამართლოში პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის განხილვისას და სასამართლოს განჩინების საპარელაციო სასამართლოში გასაჩივრების ეტაპზე. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა – ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის, არამედ – სასჯელისაგან გათავისუფლების ან განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველს, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი არ წარმოადგენს განჩინების გადასინჯვის საფუძველს, ხოლო კასატორი არ უთითებს რაიმე სხვა გარემოებაზე, რაც შესაძლოა, გამხდარიყო განჩინების რომელიმე სხვა ქვეპუნქტით გადასინჯვის საფუძველი.

2.8. ამასთან, გარდა იმისა, რომ არ არსებობს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის არც ერთი საფუძველი, სასჯელის შემსუბუქების თაობაზე კასატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს: პირობითი მსჯავრი გულისხმობს სასამართლოს

მიერ დანიშნული სასჯელის აღსრულების ფორმის ცვლილებას, გამოსაცდელ ვადაში მოვალეობების პირნათლად შესრულების პირობით. გამოსაცდელ ვადაში მოვალეობების დარღვევა კი იწვევს პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და სასამართლოს მიერ დანიშნული, პირობითად ჩათვლილი სასჯელის სრულად რეალურ აღსრულებას. მის ხანგრძლივობაზე გავლენას ვერ მოახდენს მოვალეობების დარღვევამდე გამოსაცდელი ვადის გასული დრო, რადგან გამოსაცდელი ვადა არ წამოადგენს სასჯელის სახეს და ამ ვადის გასული პერიოდი ვერ ჩაითვლება დანიშნული სასჯელის ვადაში.

2.9. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ ვ. ზ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

2.10. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ვ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ექსტრადიცია

განებითობა საქართველოს სახელით

№40^{II}-23

21 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. გ-ს ადვოკატი ი. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო დაწინასასამართლო სხდომის კოლეგის 2023 წლის 4 ივნისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ა. გ-ს მიმართ განხორციელებული სისხლისამართლებრივი პროცედურები თურქეთის რესპუბლიკაში:

თურქეთის რესპუბლიკის პ-ის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2017 წლის 15 ნოემბრის განაჩენით ა. გ-ცნობილი იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ნარკოტიკული ნივთიერებით ვაჭრობა) და მიესავა 8 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2018 წლის 9 ივნისს;

თურქეთის რესპუბლიკის ს-ის ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის განაჩენით ა. გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის №6136 კოდექსის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) და მიესავა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2018 წლის 31 მაისს;

თურქეთის რესპუბლიკის ს-ის ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის განაჩენით ა. გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის №6136 კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) და მიესავა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2018 წლის 31 მაისს.

ძალაში შევიდა 2019 წლის 23 მაისს;

- თურქეთის რესპუბლიკის ს-ის ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2021 წლის 28 იანვრის განაჩენით ა. გ. ცნობილიქნა დამაშავედ თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილით (იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება) და მიესაჯა 3 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2021 წლის 9 მარტს;
 - თურქეთის რესპუბლიკის პ-ის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული განაჩენებით შეფარდებული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ა. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით, 27 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა;
 - თურქეთის რესპუბლიკის რესპუბლიკური მთავარი პროკურატურის 2022 წლის 7 აპრილის საბრალდებო აქტის მიხედვით, ა. გ-ს ბრალი დაედო: თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (იარაღის გამოყენებით მუქარა); 86-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის დაზიანება); 86-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება); 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით (მუქარა, ჩადენილი იარაღის გამოყენებით, ჯგუფურად); 81-ე მუხლის პირველი ნაწილით (განზრახ მკვლელობა); 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი შეკვეთით) და 220-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით (დანაშაულის ჩადენის მიზნით შექმნილი ორგანიზაციის წევრობა) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;
 - 2022 წლის 30 სექტემბერსა და 2023 წლის 7 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის პ-ას რაიონულმა მმიმე სისხლის სამართლის სასამართლომ გასცა ა. გ-ს დაკავების ბრძანებები;
 - 2023 წლის 3 აპრილიდან გამოცხადდა ა. გ-ს ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.
2. საქმის მასალების მიხედვით, ა. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:
 - 2017 წლის 15 ნოემბრის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: ა. გ- ნარკოტიკული საშუალების გასაღებისას სამართლდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დაკავეს და მისგან ამოიღეს 14.5 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კანაფი“;
 - 2018 წლის 7 მარტის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარე-

- მოებები: 2017 წლის 14 თებერვალს ა. გ-საგან ამოიღეს მის მიერვე მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა;
- 2018 წლის 19 სექტემბრის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 27 მარტს ა. გ-საგან ამოიღეს მის მიერვე მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა;
 - 2021 წლის 28 იანვრის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 19 თებერვალს ა. გ-მა ურთიერთშელაპარაკების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტისას დაზარალებულს მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება;
 - 2022 წლის 7 აპრილის საბრალდებო აქტის მიხედვით, ა. გ-ს პრალი დაედო შემდეგში: 2020 წლის 8 აგვისტოს ა. გ-მა ფიზიკურად შეურაცხყო ა. ქ-უ. შემდეგ მუქარის სადემონსტრაციოდ ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა ა. ქ-ს და მ. ჩ-ს, რა დროსაც დაზარალებულებმა მიღებს ჯანმრთელობის დაზიანებები. 2020 წლის 22 აგვისტოს ა. გ-მა ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა ო. ს-ს. 2020 წლის 8 სექტემბერს, დაახლოებით 00:50 საათზე, ა. გ-მა და ნ. ფ. ბ-მა, როგორც დანაშაულის ჩადენის მიზნით შექმნილი ორგანიზაციის წევრებმა, ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით მოკლეს ე. ქ-ი და ე. ი-ნი, ხოლო ე. ა-სა და ჰ. მ. დ-ს მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანებები.
3. ა. გ-ს მიმართ საქართველოში მიმდინარე საექსტრადიციო პროცედურები:
 - 2023 წლის 4 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს ძებნილი ა. გ-;
 - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 5 აპრილის განჩინებით ა. გ-ს შეფარდა 3 თვით საექსტრადიციო პატიმრობა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2023 წლის 4 აპრილიდან;
 - 2023 წლის 10 მაისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ა. გ-ს ექსტრადიციის თაობაზე მიიღო თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და შესაბამისი დოკუმენტები;
 - თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 30 ივნისის განჩინებით ა. გ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2023 წლის 4 ოქტომბრამდე.
 4. 2023 წლის 3 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომ-

ლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ-მა თემურ ცინდელიანმა და მოითხოვა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. გ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასა-სამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 4 ივლისის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დასაშვებად იქ-ნა ცნობილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. გ-ს, – დაბადებულის 1992 წლის 10 ოქტომბერს, – თურქეთის რესპუბლიკაში ექ-სტრადიცია, შემდეგი მიზნებით:

5.1. ა. გ-ს მიმართ:

თურქეთის რესპუბლიკის ბ-ის საქალაქო პირველი მძიმე სის-ხლის სამართლის სასამართლოს 2017 წლის 15 ნოემბრის განაჩე-ნის აღსრულების მიზნით, რომლითაც ა. გ. ცნობილ იქნა დამნაშა-ვედ თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექ-სის 188-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ნარკოტიკული ნივთიერებით ვაჭ-რობა);

თურქეთის რესპუბლიკის ს-ის ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის განაჩენის აღსრულების მიზ-ნით, რომლითაც ა. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რეს-პუბლიკის №6136 კოდექსის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილით (ცეც-ხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდე-გო შეძენა, შენახვა, ტარება);

თურქეთის რესპუბლიკის ს-ის ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2018 წლის 19 სეტემბრის განაჩენის აღსრულების მიზნით, რომლითაც ა. გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის №6136 კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაზილით (ცეც-ხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის მართლსაწინა-აღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება);

თურქეთის რესპუბლიკის ს-ის ძირითადი სისხლის სამართლის სასამართლოს 2021 წლის 28 იანვრის განაჩენის აღსრულების მიზ-ნით, რომლითაც ა. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რეს-პუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილით (იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის მსუბუქი და-ზიანება);

5.2. ა. გ-ს მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციე-ლების მიზნით, ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობაში აღწე-რილი ქმედებებისათვის, რომელიც დასჯადია თურქეთის რესპუბ-ლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (იარაღის გამოყენებით მუ-

ქარა); 86-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (იარალის გამოყენებით ჯანმრთელობის დაზიანება); 86-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (იარალის გამოყენებით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება); 106-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით (მუქარა, ჩადენილი იარალის გამოყენებით, ჯვალურად); 81-ე მუხლის პირველი ნაწილით (განზრახ მკვლელობა); 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი შეკვეთით) და 220-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით (დანაშაულის ჩადენის მიზნით შექმნილი ორგანიზაციის წევრობა).

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 4 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. გ-ს ადვოკატმა ი. ი-ემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და ა. გ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას შემდეგი საფუძვლებით: ა. გ-ს მიმართ თავშესაფრის მინიჭების საკითხის განხილვა დასრულებული არ არის, რის გამოც დაუშვებელია მისი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია. გარდა ამისა, ადვოკატის აზრით, ა. გ-ს მონაყოლი-დან გამომდინარე, იკვეთება თურქეთის მხარის მიერ საქართველოს მხარისათვის საქმის გარემოებებს (ინფორმაციი ორმხრივი სროლისა და ა. გ-ს ახლობლის გარდაცვალების შესახებ) შეგრძულად დამალვის ფაქტი, რაც განცდას აჩენს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირების სუბიექტურ და მტრულ დაინტერესებას ა. გ-ს მიმართ. ამასთან, ადვოკატი უთითებს, რომ ა. გ-ს ინფორმაციით თურქეთის რესპუბლიკაში მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი პირები, კერძოდ, საქმეში არსებული დაზარალებულები და მათთან დაკავშირებული პირები, ანგარიშსორების მიზნით შურს იძიებენ მასზე და იგი დარწმუნებულია, რომ ვერ მოახერხებს თავის სათანადოდ დაცვას, რადგან თურქეთში მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა.

7. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამართველოს პროკურორი თემურ ცინდელიანი ითხოვს, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილოს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. გ-ს ადვოკატი ი. ი-ის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვოს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 4 ივლისის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას, რომ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს და ორმაგი დასჯის აკრძალვის (non bis in idem) პრინციპებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, არის დაცული.

3. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, ქებნილი ა. გ-ს საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებისა და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

4. გარდა ამისა, საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ა. გ- არის თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, იგი არ არის საქართველოს მოქალაქე და არ ითვლება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონებირად. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. გ-ს უარი ეთქვა როგორც ლტოლვილის, ასევე ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო ადვოკატის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ ა. გ-ს მიმართ საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული წარმოება არ დასრულებულა და წარმოების დასრულებამდე დაუშვებელია მისი ექსტრადიცია, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ მიმდინარე სამართალწარმოება ვერ შიიჩნევა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებად.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მასალებით არ დგინდება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ადვოკატის მიერ მითითებული გარემოებები, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს დაზარალებულებისა და მათთან დაკავშირებული პირების მხრიდან ა. გ-ს მიმართ ანგარიშსწორების მიზნით შურისძიების საფრთხის რისკი. ამასთან, ადვოკატმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც

ა. გ-ს მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ვა-რაუდს დაადასტურებდა, ხოლო ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ შესაძლო შურისძიებისა და სიცოცხლისა და ჯან-მრთელობის დაცვის საფრთხეებთან მიმართებით მხოლოდ გან-ცხადებები, ვერ ჩაითვლება ექსტრადიციის გამომრიცხავ გარემო-ებად.

6. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაუშვებელია პი-რის ექსტრადიცია, თუ არსებობს არსებითი საფუძველი ვარაუდის-თვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპერობას ან/და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე. ამასთან, კასა-ტორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობს მისი უფლებების შეღახვის რისკი. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გან-ზოგადებული ხასიათის (ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გა-რეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას (ECtHR, #36378/02, შა-მაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Shamayev and Others v. Georgia and Russia), 12/04/2005, §352). უკანონო მოპყრო-ბის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (ECtHR, #46827/99, 46951/99, მამატკულოვი და ას-კაროვი თურქეთის წინააღმდეგ (Mamatkulov and Askarov v. Turkey) 04/02/2005, §70).

7. ამავე დროს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს თურ-ქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოადგენილ გარანტიებს, რომელთა თანახმად: თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს ევროპის ადამი-ანის უფლებათა დაცვის კონვენციის მონაწილე მხარეს; თურქე-თის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ა. გ-ს (როგორც ეჭვმიტანილის, ასევე მსჯავრდებულის) უფლებები დაცული იქნე-ბა საერთაშორისო კონვენციებისა და შიდა კანონმდებლობის შე-საბამისად; ამასთან, მისთვის წარდგენილი ბრალდება არ არის პო-ლიტიკური ან სამხედრო ხასიათის.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პა-ლატას მიაჩინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამო-ძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 4 ივლი-სის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფერო-ში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კა-ნონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. გ-ს ადვოკატი ი. ი-ის საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასა-სამართლო სხდომის კოლეგის 2023 წლის 4 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სახელით

№41¹-23

28 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაში შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თაღუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდე-
ბარებული პირის – მ. ა. ბ-ს (M. A. B.) ინტერესების დამცველის,
ადვოკატ ა. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგის 2023
წლის 17 ივლისის განჩინებაზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა. ბ-ს მიმართ
თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელებული სისხლისსამარ-
თლებრივი პროცედურები:

2010 წლის პირველ დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს
რაიონულმა საჯარო მთავარმა პროკურატურამ გამოსცა საბრალ-
დებო აქტი, რომლის მიხედვითაც მ. ა. ბ-ს ბრალი ედება თურქეთის
რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირ-
ველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება), ამავე კოდექ-
სის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“, „ჰ“ ქვეპუნქტებითა და
37-ე მუხლთან ერთობლივად 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თაღ-

ლითობა ჩადენილი ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

2015 წლის 19 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული სისხლის სამართლის უმაღლესმა სასამართლომ გამოსცა მ. ა. ბ-ს დაკავების ბრძანება.

2011 წლის 15 ივნისს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონულმა საჯარო მთავარმა პროკურატურამ გამოსცა საბრალდებო აქტი, რომლის მიხედვით, მ. ა. ბ-ს ბრალი ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება) და 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

2011 წლის 4 ოქტომბერს ფ-ს რაიონული სისხლის სამართლის უმაღლესმა სასამართლომ გამოსცა მ. ბ-ს დაკავების ბრძანება.

2012 წლის 23 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონულმა საჯარო მთავარმა პროკურატურამ გამოსცა საბრალდებო აქტი, რომლის მიხედვით, მ. ბ-ს ბრალი ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება) და 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

2012 წლის 27 ნოემბერს ფ-ს რაიონულმა სისხლის სამართლის უმაღლესმა სასამართლომ გამოსცა მ. ბ-ს დაკავების ბრძანება.

2013 წლის 12 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკის ო-ს რაიონულმა საჯარო მთავარმა პროკურატურამ გამოსცა საბრალდებო აქტი, რომლის მიხედვით, მ. ბ-ს ბრალი ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილითა (ოფიციალური საბუთის გაყალბება) და 157-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოტყუებით სხვისი ქონების დაუფლება თავისთვის ან სხვისთვის სარგებლის მიღების მიზნით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

2014 წლის 17 თებერვალს თურქეთის რესპუბლიკის ა.-ს რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გამოსცა საბრალდებო აქტი, რომლის მიხედვით, მ. ბ-ს ბრალი ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილითა (ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება) და 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

2015 წლის 3 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის ა.-ს რაიონულმა სისხლის სამართლის საქმეთა მძიმე დანაშაულის სასამარ-

თლომ გამოსცა მ. ბ-ს დაკავების ბრძანება.

2015 წლის 2 მარტს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონულმა საჯარო მთავარმა პროკურატურამ გამოსცა საბრალდებო აქტი, რომლის მიხედვით, მ. ბ-ს ბრალი ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით (ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება), 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება), 37-ე მუხლთან ერთობლივად 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება, ჩადენილი ჯგუფურად), 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“, „ჰ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებები) და 37-ე მუხლთან ერთობლივად 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „ფ“, „ჰ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებები) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

2015 წლის 17 მარტს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონულმა სისხლის სამართლის სასამართლომ გამოსცა მ. ბ-ს დაკავების ბრძანება;

2015 წლის 27 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის ე-ს რაიონულმა რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გამოსცა საბრალდებო აქტი, რომლის მიხედვით, მ. ბ-ს ბრალი ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება), 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებები) და 325-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცრუდასმენა) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

2016 წლის 12 აგვისტოს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონულმა სისხლის სამართლის სასამართლომ გამოსცა მ. ბ-ს დაკავების ბრძანება.

2015 წლის 24 დეკემბრიდან მ. ბ. იქებნება ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

2. თურქეთის რესპუბლიკიდან მონიცეპული მასალების თანახმად, ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობს შემდეგში:

2010 წლის პირველი დეკემბრის საბრალდებო აქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის თებერვლამდე პერიოდში, მ. ა. ბ. თანამზრანველებთან ერთად, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, აყალბებდა უნაღდო ანგარიშსწორების ჩეკებს, შემდეგ აღნიშნულ ჩეკებს კონკრეტული პროდუქციის შეძენის სანაცვლოდ გადასცემდა სხვადასხვა პირს, როთაც ახდენდა მათ მიმოქცევაში გაშვებას და თაღლითურად ეუფლებოდა დაზარალებულთა კუთვნილ ქონებას, კერძოდ: მ. ბ., ნ-სთან ერთად, ახორცი-

ელებდა შპს. „...“ ხელმძღვანელობას. აღნიშნული საქმიანობის პერიოდში მ. ბ-მ თანამზრახველებთან ერთად, ს. ბ-სგან შეიძინა ბრონეული და 8 610 თურქული ლირის ოდენობის ანგარიშს ნორების-თვის მას გადასცა კომპანიის სახელით გამოწერილი ყალბი ჩეკი. ს. ბ-მ ასანაზღაურებლად ჩეკი წარადგინა ბანკში, თუმცა, იმის გამო, რომ ჩეკზე არსებული ხელმოწერა და ბანკში რეგისტრირებული ხელმოწერები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, ბანკმა არ განახორციელა ოპერაცია, რის შედეგადაც დაზარალებულს მატერიალური ზიანი მიადგა. აღნიშნულის შემდეგ, ნ-მ მ. ბ-ს დავალებით, კომპანიის სახელზე გამოცემული 19 953 თურქული ლირის ოდენობის ყალბი ჩეკი გადასცა შ-ს, რათა ამ უკანასკნელს ციტრუსების ნასყიდობის სანაცვლოდ ჩეკი გადაეცა დაზარალებულისთვის. დაზარალებულმა ვერ შეძლო ფულადი თანხის განაღება, ვინაიდან ჩეკი ყალბი იყო და შესაბამისად მას მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2011 წლის 15 ივნისის საბრალდებო აქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ა. ბ. მუშაობდა კომპანია შპს „...“ დირექტორის თანამდებობაზე. ა. ბ., აგრეთვე მუშაობდა შპს „...“ ფინანსბანკის ლ./ფ.-ს ფილიალის სამმართველოში, სადაც მას ჰქონდა შესაბამისი ანგარიში. 2009 წლის სექტემბერში ა. ბ. შეუთანხმდა ჰ. ქ-ს, რომ ამ უკანასკნელის-გან შეისყიდიდა ბრონეულს, რაშიც უნდა გადაეხადა 9 000 თურქული ლირა – ნალი ანგარიშს ნაწილი. 2010 წლის იანვარში ა. ბ-მ გააყალბა 4 700 თურქული ლირის ლირებულების ჩეკი და ყალბი ჩეკი თანამზრახველების მეშვეობით გადასცა ჰ. ქ-ს, რომელსაც შეჰპირდნენ, რომ ფულადი თანხის დარჩენილ ნაწილს გადასცემ-დნენ რამდენიმე დღეში, თუმცა, შემდეგ მისთვის ფული აღარ გადაუხდიათ. ჰ. ქ-მ ჩეკი გასანაღდებლად გადასცა ბ. ბ-ს, რომელმაც აღნიშნული ჩეკი წარადგინა ბანკში თანხის განაღების მიზნით, თუმცა, ბანკმა არ მოახდინა ჩეკის ლირებულების გადახდა, ვინაიდან აღნიშნული ჩეკი იყო ყალბი.

2012 წლის 23 ივლისის საბრალდებო აქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები:

ა. თ. გ-ს ა-ს რაიონში არსებულ კომპანია „...“ გარკვეული თანხა ჰქონდა ასაღები. მ. ა ბ-ს კი აღნიშნულ კომპანიის მიმართ ჰქონდა დავალიანება. „...“ უფლებამოსილმა პირმა ა. გ-ს შესთავაზა ასაღები თანხის ნაწილის მ. ბ-სგან აღება. აღნიშნულზე ა. გ. ტელეფონით დაუკავშირდა მ. ბ-ს და შეუთანხმდა, რომ მ. ბ. მას გაუგზავნიდა 170 000 თურქული ლირის ლირებულების ჩეკს. მ. ბ-მ კომპანია შპს „...“ დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ა. გ-ს გაუგზავნა ოთხი ცალი ყალბი ჩეკი, რომლებიც გაფორმებული იყო

2009 წლის დეკემბრიდან – 2010 წლის მარტამდე პერიოდში და რომელთა საერთო ლირებულებაც შეადგინდა – 170 000 თურქულ ლირას. დაზარალებულმა ვერ შეძლო აღნიშნული ჩეკების განალდება, რის გამოც მას მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2013 წლის 12 ნოემბრის საბრალდებო აქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 12 ოქტომბერს, მიღებული პროდუქციის სანაცვლოდ, მ. ა. ბ-მ დაზარალებულს გადასცა 20 000 თურქული ლირის ლირებულების ყალბი ჩეკი, რომლის განალდებაც არ იყო შესაძლებელი. შესაბამისად, დაზარალებულს მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2014 წლის 17 თებერვლის საბრალდებო აქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები:

მ. ა. ბ-მ ქ-სგან 2009 წლის აგვისტოსა და სექტემბერში შეიძინა ყურძენი. მ. ბ-ს ფირმის ნარმომადგენელმა მ. ქ-ს 8 000 თურქული ლირა ნინასწარ გადაუხადა, შეძენილი ყურძნის საფასურის დარჩენილი ნაწილისთვის კი მ. ბ-მ 2010 წლის 30 იანვარს ჯ. და მ-ს სავაჭრო ობიექტების დახმარებით მ. ქ-ს 32 000 თურქული ლირის ოდენობის ყალბი ჩეკი გამოუწერა. გარდა ამისა, ჩეკის დაზარალებულისთვის გადაცემის მომენტისთვის მ. ბ-სთვის ცნობილი იყო, რომ აღნიშნული ჩეკით თანხის განალდება არ იყო შესაძლებელი. შესაბამისად, მ. ქ-მ ვერ მიიღო მ. ბ-ს მიერ მისგან შეძენილი ყურძნის საფასური, რის შედეგადაც მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2015 წლის 2 მარტის საბრალდებო აქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები:

2009-2010 წლებში მ. ბ-მ და მისმა თანამზრახველებმა გააყალბეს საბანკო ჩეკები, რომლებიც მათ გამგებლობაში არსებული კომპანიების სახელით შეძენილი საქონლის ანაზღაურების მიზნით, გადასცეს დაზარალებულებს, რითაც მიაყენეს, ჯამურად – 688 730 თურქული ლირის მატერიალური ზიანი.

2015 წლის 27 აპრილის საბრალდებო აქტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის ოქტომბერში, მ. ბ-მ შესყიდული ბოსტნეულის საფასურის ანაზღაურების მიზნით, მ. ჩ-ს და ო. ბ-ს გადასცა 8 860 თურქული ლირის ლირებულების ყალბი ჩეკი. დაზარალებულებმა ვერ შეძლეს აღნიშნული ჩეკის განალდება, რის შედეგადაც მიადგათ 8 860 თურქული ლირის მატერიალური ზიანი. ამასთან, მ. ბ-მ თავის ჩეკებაში განაცხადა, რომ ყალბ ჩეკზე იყო არა მისი, არამედ სხვა, მესამე პირის ხელმოწერა, თუმცა, გამოძიებით დადგინდა, რომ ანიშნული ხელმოწერა ეკუთვნის მ. ბ-ს.

3. მ. ა. ბ-ს მიმართ საქართველოში განხორციელებული საექსტრადიციო პროცედურები:

2016 წლის 16 თებერვალსა და 2016 წლის 18 მაისს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიღებულ იქნა მ. ა. ბ-ს ექსტრადიციის თაობაზე თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა და შესაბამისი დოკუმენტები.

2016 წლის 11 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ბ..

2016 წლის 13 აპრილს მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით მ. ბ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო – 50 000 ლარი, პატიმრობის უზრუნველყოფით და იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა 2016 წლის 20 აპრილს.

4. 2023 წლის 3 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა თემურ ცინდელიანმა და მოითხოვა მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დეპნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღწერილია:

1.1. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2010 წლის პირველ დეკემბერს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“, „ჰ“ ქვეპუნქტებითა და 37-ე მუხლთან ერთობლივად 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თაღლითობა ჩადენილი ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში);

1.2. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2011 წლის 15 ივნისს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში);

1.3. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2012 წლის 23 ივლისს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში);

1.4. თურქეთის რესპუბლიკის ო-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის

სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოტყუებით სხვისი ქონების დაუფლება თავისთვის ან სხვისთვის სარგებლის მიღების მიზნით);

1.5. თურქეთის რესპუბლიკის ა-ს რესპუბლიკური მთავარი პროკურატურის მიერ 2014 წლის 17 თებერვალს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში);

1.6. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 2 მარტს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“, „ჰ“ ქვეპუნქტითი (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) და 37-ე მუხლთან ერთობლივად 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „ფ“, „ჰ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში);

1.7. თურქეთის რესპუბლიკის ე-ს რაიონული რესპუბლიკური მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 27 აპრილს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში).

დაუშვებლად იქნეს ცნობილი მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც აღწერილია:

2.1. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2010 წლის პირველი დეკემბერს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.2. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2011 წლის 15 ივნისის გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.3. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2012 წლის 23 ივლისს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.4. თურქეთის რესპუბლიკის ო-ს რაიონული საჯარო მთავარი

პროექტურის მიერ 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილი (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.5. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროექტურის მიერ 2015 წლის 2 მარტს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით (ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება), 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება), 37-ე მუხლთან ერთობლივად 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება, ჩადენილი ჯგუფურად);

2.6. თურქეთის რესპუბლიკის ე-ს რაიონული რესპუბლიკური მთავარი პროექტურის მიერ 2015 წლის 27 აპრილს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.7. თურქეთის რესპუბლიკის ე-ს რაიონული რესპუბლიკური მთავარი პროექტურის მიერ 2015 წლის 27 აპრილს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცრუდასმენა).

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 17 ივნისის განჩინებით საქართველოს გენერალური პროექტურის პროექტურორ თემურ ცინდელიანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა:

1. დასაშვებად იქნა ცნობილი მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც აღნერილია:

1.1. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროექტურის მიერ 2010 წლის პირველ დეკემბერს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“, „პ“ ქვეპუნქტებითა და 37-ე მუხლთან ერთობლივად 158-ე მუხლის მე-2 ნაწილით (თაღლითობა ჩადენილი ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებებში);

1.2. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროექტურის მიერ 2011 წლის 15 ივნისს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში);

1.3. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2012 წლის 23 ივლის გამოცემულ საბრალ-დებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სა-მართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნ-ქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამდიმებელ გარემოებებში);

1.4. თურქეთის რესპუბლიკის თ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცემულ საბ-რალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოტყუე-ბით სხვისი ქონებს დაუფლება თავისთვის ან სხვისთვის სარგებ-ლის მიღების მიზნით);

1.5. თურქეთის რესპუბლიკის ა-ს რესპუბლიკური მთავარი პრო-კურატურის მიერ 2014 წლის 17 თებერვალს გამოცემულ საბრალ-დებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სა-მართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნ-ქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამდიმებელ გარემოებებში);

1.6. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 2 მარტს გამოცემულ საბრალდე-ბო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამარ-თლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“, „ჰ“ ქვეპუნ-ქტებით (თაღლითობა, ჩადენილი დამამდიმებელ გარემოებებში) და 37-ე მუხლთან ერთობლივად 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „ფ“, „ჰ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჩადენილი ჯგუფურად, და-მამდიმებელ გარემოებებში);

1.7. თურქეთის რესპუბლიკის ე-ს რაიონული რესპუბლიკური მთა-ვარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 27 აპრილს გამოცემულ საბ-რალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნ-ქტით (თაღლითობა, ჩადენილი დამამდიმებელ გარემოებებში).

2. დაუშვებლად იქნა ცნობილი მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლი-კაში ექსტრადიცია, მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც აღწერილია:

2.1 თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2010 წლის პირველი დეკემბერს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სის-ხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით (ოფიციალური საბუ-თის გაყალბება);

2.2 თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2011 წლის 15 ივნისის გამოცემულ საბრალ-დებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სა-

მართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.3. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2012 წლის 23 ივნისს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.4. თურქეთის რესპუბლიკის ო-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილი (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.5. თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 2 მარტს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით (ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება), 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება), 37-ე მუხლთან ერთობლივად 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება, ჩადენილი ჯგუფურად);

2.6. თურქეთის რესპუბლიკის ე-ს რაიონული რესპუბლიკური მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 27 აპრილს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოფიციალური საბუთის გაყალბება);

2.7. თურქეთის რესპუბლიკის ე-ს რაიონული რესპუბლიკური მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის 27 აპრილს გამოცემულ საბრალდებო აქტში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცრუდასმენა).

6. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა. ბ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი – ა. გ. საკასაციო საჩივრით მოითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 17 ივნისის განჩინების გაუქმებას, შემდეგი საფუძვლებით: განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით; კასატორს მიაჩნია, რომ დარღვეულია მ. ა ბ-ს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადები; საექსტრადიციო მასალებით ირკვევა, რომ მ. ა. ბ-ს ბრალდების რიგ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავების ორდერი გაცემულია არა მისი სისხლისასამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის, არამედ – მისგან ჩემნების ჩამორთმევის მიზნით, რაც ეწინააღმდეგება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის 25-ე მუხლს;

დაცვის მხარეს ასევე მიაჩნია, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მ. ა. ბ-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედებები საქართველოს იურის-დიქტის ქვეშ ჩადენის შემთხვევაში, არასწორად დაკვალიფიცირდა თაღლითობად, ვინაიდან მას ბრალად ედება ქურდობის ჩადენა; მ. ა. ბ. საექსტრადიციო მასალების თარგმანებში ხან მოხსენიებულია ბრალდებულად, ხანაც – მსჯავრდებულად, რაც ეჭვს აჩენს მის სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით და აგრეთვე იმ ფაქტთან დაკავშირებით, ხომ არ არის მის მიმართ დაუსწრებლად გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი; მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახის ურღვევობის პრინციპი, ვინაიდან მას საქართველოში ჰყავს ოჯახი; ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას ასევე წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურები. აღნიშნული საკითხზე საქართველოს შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება, დაცვის მხარეს ამჟამად გასაჩინოებული აქტს პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც საქმე იხილება ადმინისტრაციული წესით; თურქეთის რესპუბლიკაში მ. ა ბ-ს მიმართ ბრალად წარდგენილ დანაშაულებზე მიღებულია ამნისტიის კანონი, თუმცა სასამართლომ სათანადოდ არ შეისწავლა ეს საკითხი; გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაცვის მხარეს არ მისცა შესაბამისი დრო და ვადა, რომ წარედგინა ახალი მტკიცებულებები, კერძოდ, მ. ა. ბ-ს თაობაზე თურქეთის რესპუბლიკაში მიღებული სამი განაჩენი (დათარიღებული 12.12.2022, 09.02.2023 და 09.02.2023 წლებით), რომლებითაც შეიცვალა ქმედების კვალიფიკაცია და დანაშაულების სიმძიმე. დაცვის მხარის განმარტებით, აღნიშნულ მტკიცებულებებს უზენაას სასამართლოს წარმოუდგენს.

7. საკასაციო სასამართლომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. გ-ს საკასაციო საჩივარი განიხილა ზეპირ მოსმენის გარეშე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე მხარეებს მისცა შესაძლებლობა, დამატებით წარმოედგინათ მათ ხელთ არსებული რაიმე სახის მტკიცებულება, ინფორმაცია თუ შეუმდგომლობა.

8. პროკურორმა წარმოადგინა თავისი პოზიცია საკასაციო საჩივართან მიმართებით, ხოლო დაცვის მხარემ – დამატებითი მასალები.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეა-

მოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, შეაფასა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა და ხანდაზმულობის პრინციპები, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. თურქეთის რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მ. ა. ბ. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2016 წლის 11 აპრილს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკევეა, დაკავებისას და პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, როდესაც არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის“, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან/და იგი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან დევნას (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Soering v. the United Kingdom, no. 14038/88, §91, ECtHR, 7/07/1989). ამასთან, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ეკისრება ტვირთი, წარადგინოს მტკიცებულებები, რომელებიც დაადასტურებს არსებითი საფუძვლების არსებობას ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობასა და დევნას. ხოლო სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი ბრალდების მხარის სახით, ვალდებულია, გაფანტოს ყველა ეჭვი, რაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეიქმნება (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე: J.K. and others v. Sweden, no. 59166/12, §91, 96, ECtHR, 23/08/2016; Saadi v. Italy, no. 37201/06, §129, ECtHR, 28/02/2008). განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური

სამხილების გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას იმის დასადასტურებლად, რომ ექსტრადიცია პერსონალურ საშიშროებას უქმნის ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირებს (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, §350, 352, ECtHR, 12/04/2005).

5. დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მ. ა. ბ-ს სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაემუქრება საფრთხე და რომ იგი გახდება წამებისა, თუ არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. რაიმე სახის მტკიცებულება, რაც მ. ა. ბ-ს ექსტრადიციის შემთხვევაში მისი უფლებების დარღვევის საფრთხეზე მიუთითებდა ან/და დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მისი სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ მის სათანადო დაცვას, საექსტრადიციო მასალებში ასევე არ მოიპოვება. თავის მხრივ, ვერც საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული საექსტრადიციო პროცედურების შედეგად ვერ იქნა მოპოვებული მ. ა. ბ-ს უფლებების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის – ინტერნეტის ყველაზე მოხმარებად საძიებო სისტემებშიც, რაც ერთ-ერთი მზარდად გამოყენებადი მეთოდია პირის მიმართ უცხო სახელმწიფოში დასადასტურებლად.

6. საკასაციო სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ, რაც ერთობლივად მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიებს ემნის თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევების პრევენციის კუთხით. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

7. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის პირის გადაცემა უფრო უსაფრთხოდ იქნა მიჩნეული, ზემოაღნიშნული ევროპული მექანიზმების არსებობის გამო (Chentiev and Ibragimov v. Slovakia, App no 21022/08 & 51946/08, Decision, ECtHR).

8. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს „საფუძველი ვარაუდისათვის“, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემ-

თხვევაში მ. ა. ბ. დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ ან და-მამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის ხელ-ყოფისა, თუ რაიმე ნიშნით დევნის რისკი.

9. გარდა ამისა, თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების მიერ წარმოდგენილი საქესტრადიციო მასალებით არ იკვეთება რაიმე სახის აშკარა და უხეში პროცესუალური დარღვევა, რაც წარმოშობდა ვარაუდს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მ. ა. ბ-ს მი-მართ დაირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამდენად, მ. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია შეესაბამება ადა-მიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით საქართვე-ლოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

10. უსაფუძვლოა კასატორის მითითება სისხლისამართლებრი-ვი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის დარღვევის შესა-ხებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ჩადენილი დანა-შაული ან მის მიმართ გამოტანილი განაჩენი ხანდაზმულია ექსტრა-დიციის შესახებ თხოვნის გამგზავნი ან თხოვნის მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. გარდა ზემოაღნიშნულისა, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსით დადგენილი სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმუ-ლობის ვადა, რომელიც პირს ათავისუფლებს სისხლისამართლებ-რივი პასუხისმგებლობისგან ან სასჯელის მოხდისგან.

12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხ-ლის თანახმად, დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ჩადენაც ბრალად ედება მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 7¹-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირი თავი-სუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 10 წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალ-დებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე. ამასთან, ხანდაზმუ-ლობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძი-ებას ან სასამართლოს.

13. თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მი-ერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, მ. ბ-სთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილია 2009-2010

ნლებში, ხოლო აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით მას ბრა-ლი ყველაზე გვიან წარედგინა – 2015 წლის აპრილში და, ამდენად, ცალსახაა, რომ მოცემულ დანაშაულებთან დაკავშირებით საქარ-თველოს კანონმდებლობით დადგენილი სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის.

14. ამასთან, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგა-ნობის მიერ წარმოდგენილი მასალების თანახმად სისხლისამარ-თლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა გასულია შემდეგ დანა-შაულებთან მიმართებით: 1) 2010 წლის პირველი დეკემბრის თურ-ქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურა-ტურის მიერ გამოცემული საბრალდებო აქტი – თურქეთის რეს-პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლი (ოფიცია-ლურისაბუთის გაყალბება) გათვალისწინებული დანაშაული; 2) 2011 წლის 15 ივნისის თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ გამოცემული საბრალდებო აქტი – თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილი (ოფიციალური საბუთის გაყალბება); 3) 2012 წლის 23 ივლისის თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ გამოცემული საბრალდე-ბო აქტი – 204-ე მუხლის პირველი ნაწილი (ოფიციალური საბუთის გაყალბება); 4) 2013 წლის 12 ნოემბრის თურქეთის რესპუბლიკის ო.-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის გამოცემული საბ-რალდებო აქტი – თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილი (ოფიციალური საბუთის გაყალბება); 5) 2015 წლის 2 მარტს თურქეთის რესპუბლიკის ფ-ს რაიონული საჯარო მთავარი პროკურატურის მიერ გამოცემული საბრალდებო აქტი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით (ოფიციალური დოკუმენტის გაყალბება), 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება), 37-ე მუხლთან ერთობლი-ობაში 210-ე მუხლით (თამასუქის გაყალბება, ჩადენილი ჯგუფუ-რად). გარდა აღნიშნულისა, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენ-ტური ორგანოების მიერ 2023 წლის 22 ივნისს მოწოდებული დამა-ტებითი ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 27 აპრილის საბრალ-დებო აქტთან დაკავშირებით, ექსტრადიცია მოითხოვება მხოლოდ თალღითობის დანაშაულისთვის.

15. ამდენად, უნდა მივიჩნიოთ, რომ სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ასევე გასულია 2015 წლის 27 აპ-რილს თურქეთის რესპუბლიკის ეს რაიონული რესპუბლიკური მთა-ვარი პროკურატურის მიერ გამოცემულ საბრალდებო აქტში მითო-თებულ, თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცრუ დასმენა) გათვალისწინე-

ბულ დანაშაულთან მიმართებითაც.

16. ამასთან, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ექსტრადიციის ქვემდებარე სხვა დანაშაულებთან დაკავშირებით, სისხლის-სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით.

17. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის კრიტერიუმი დაცულია როგორც ექსტრადიციის თხოვნის მიმღები, ისე მისი გამომგზავნი – თურქეთის რესპუბლიკის მხარის კანონმდებლობით, ხოლო მ. ა. ბ-სათვის წარდგენილი ბრალდებების ნაწილში, რომლებზეც თურქეთის რესპუბლიკაში გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადები, საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორის შუამდგომლობით, მოთხოვნილია ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობა.

18. რაც შეეხება დაცვის მხარის არგუმენტს თურქეთის რესპუბლიკაში გამოცემული მ. ა. ბ-ს დაკავების ორდერების მიზნობრიობის შესახებ, ერთი მხრივ, საქართვადიციო მასალების ქართულენოვან თარგმანში კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მიზნობრიობის თაობაზე მითითება არ არსებობს, მეორე მხრივ, დაკავების ბრძანებები გაცემულია თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც უფლებამოსილ პირს ანიჭებს მ. ა. ბ-ს დაკავების უფლებას, ხოლო დაკავების ბრძანების მიზნობრიობა, ეროვნული პროცედურით გათვალისწინებული საკითხია.

19. დაცვის მხარის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მ. ა. ბ-სათვის ბრალად წარდგენილი დანაშაულები საქართველოს იურისძიების ქვეშ ჩადენის შემთხვევაში, არასწორად დაკვალიფიცირდა თაღლითობად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი ახდენს ქმედების არასწორ და არასრულ ინტერპრეტაციას, ვინაიდან მისი ექსტრადიცია მოთხოვნილია თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის: „ქურდობა, ჩადენილი მოტყუებით“, რომელიც ტერმინოლოგიურად მოხსენიებულია როგორც „ქურდობა“, მაგრამ აღნიშნული დანაშაული, თავისი ელემენტებისა და შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს იურისძიების მიხედვით, წარმოადგენს თაღლითობას.

20. დაცვის მხარის კიდევ ერთი პრეტენზია საქართვადიციო მასალების თარგმანებში მ. ა. ბ-ს ხან ბრალდებულად, ხანაც – მსჯავრდებულად მოხსენიების გამო, თურქეთის რესპუბლიკაში სამართლებრივი სტატუსის გაურკვევლობასთან დაკავშირებით – ასევე

უსაფუძვლოა, ვინაიდან საქართველოს გენარალური პროკურატურის მიერ 2023 წლის 23 მაისს თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან დამატებით გამოთხვილი ინფორმაციით, ცალსახად დგინდება, რომ მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას ქვემდებარე ყველა დანაშაულზე, გააჩნია ბრალდებულის და არა – მსჯავრდებულის სტატუსი და რომ ბრალდების არცერთ საქმეზე გამოტანილი არ არის განაჩენი.

21. გარდა ამისა, კასატორი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახის ურღვევობის პრინციპი, რასაც საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

22. ექსტრადიცია შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან, თუ პირს ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლებლობა არ მიეცემა, ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზება მოახდინოს და უფლების ამგვარი შეზღუდვა არათანაზომიერია ექსტრადიციით დასახულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით (King v. The United Kingdom, no. 9742/07, Decision, ECHR, 29; Aronica v. Germany, no. 72032/01, Decision, ECHR). თუმცა, ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზნები იმდენად ღირებულია, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწყნის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის ინტერესი ექსტრადიციის განხორციელების ინტერესს (Launder v. the United Kingdom, no. 27279/95, Decision, ECHR). უფლების შეზღუდვის თანაზომიერების (პროპორციულობის) შესაფასებლად, სასამართლო მხედველობაში იღებს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული ბრალდებების სიმძიმესა და უფლების შეზღუდვის ხარისხს (King v. The United Kingdom, no. 9742/07).

23. მოცემულ შემთხვევაში, საექსტრადიციო მასალებით, მართალია, დადგენილია, რომ საქართველოში ცხოვრობენ მ. ა. ბ-ს მეუღლე და შვილები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ მ. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზანი, აშკარად გადაწყნის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცულობის ინტერესს, კერძოდ: მ. ბ-ს ბრალად ედება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მძიმე კატეგორიის დანაშაულის არაერთი ეპიზოდის ჩადენაში, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი გამოიწვია. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მ. ბ-მ თავი აარიდა მოსალოდნელ სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას და მიიმაღა, ცალსახაა, რომ მის მიმართ მართლმსაჯულების ჯეროვანი აღსრულების ინტერესი განსაკუთრებულად მომეტებულია. გარდა ამისა, თურქეთის რესპუბლიკა წარ-

მოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოს და ორ ქვეყანას შორის მოქმედებს უციზო რეჟიმი. შესაბამისად, მ. ბ-ს ოჯახის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ ბიუროკრატიული და შორი მგზავრობით გამონვეული დაბრკოლებების გარეშე იმოგზაურონ თურქეთის რესპუბლიკაში მის მოსახლეულებლად.

24. ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, მ. ა. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

25. კასატორის კიდევ ერთ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ მ. ა. ბ. არის საქართველოში თავმესაფრის მაძიებელი და ამ მიზნით, მას თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებული აქვს ლტოლვილთა და განსახლების ყოფილი სამინისტროს 2016 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ა. ბ-ს უარი ეთვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული გარემოება არ აფერხებს ექსტრადიციის შუამდგომლობის განხილვას დასაშვებობის სტადიაზე.

26. აგრეთვე საფუძველს მოკლებულია კასატორის აპელირება თურქეთის რესპუბლიკაში მ. ა. ბ-ს მიმართ ბრალად წარდგენილი დანაშაულების ამნისტირების შესახებ, ვინაიდან არც დაცვის მხარეს და არც თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს არ წარმოუდგენიათ რაიმე ოფიციალური ინფორმაცია, რაც მ. ა. ბ-ს მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედებების ამნისტირებას დაადასტურებდა.

27. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაცვის მხარეს მტკიცებულებების წარსადგენად არ მისცა შესაბამისი დრო და შესაძლებლობა, ვიანიდან საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს 2016 წლიდან, რომლის განმავლობაშიც მ. ა. ბ. უზრუნველყოფილი იყო ადვოკატით და მას სრულად ჰქონდა მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენის შესაძლებლობა, მათ შორის – თბილისის საქალაქო სასამართლოში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის განხილვის ეტაპზეც, რა დროსაც სასამართლო განხილვა, დაცვის მხარის მოთხოვნითვე რამდენჯერმე სწორედ ამ მიზნით გადაიდო.

28. აქვე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა დამატებითი მსალები, რომელთა შესახებაც დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში უთითებდა და განმარტავდა, რომ მ. ა ბ-ს თაობაზე თურქეთის რესპუბლიკაში მიღებულია სამი განაჩენი (დათარიღებული –

12.12.2022, 09.02.2023 და 09.02.2023 წლებით), რომელთა მიხედვით შეიცვალა ქმედების კვალიფიკაცია და დანაშაულების სიმძიმე, თუმცა საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ეს გადაწყვეტილებები სრულიად არარელევანტურია და არ არის მიღებული მ. ა. ბ-ს მიმართ.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 17 ივლისის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – მ. ა. ბ-ს (M. A. B.) ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 17 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ექსტრადიცია

განებიერა საქართველოს სახელით

№431-23

22 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

6. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – თ. ა-სის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ა. კ-ის საკასაციო საჩივარი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. 2006 წლის 18 აპრილს, თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის სისხლის სასამართლის მძიმე დანაშაულთა სასამართლოს №2005/146-2006/123 განაჩენით, თ. (T.) ა-სი (A-N) ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 29/1 მუხლთან ერთობლიობაში, 81/1 მუხლითა (განზრახ მკვლელობა) და თურქეთის რესპუბლიკის №6136 კანონის მე-13 მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საპრძლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. იმავე განაჩენით, თ. (T.) ა-სი (A-N) სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 19 წლით.

2. 2008 წლის 23 იანვარს, თურქეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პირველი სასჯელადსრულების პალატის გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული განაჩენი დარჩა ძალაში და გახდა საბოლოო.

3. 2005 წლის 26 აპრილიდან 2013 წლის 26 აპრილამდე, თ. (T.) ა-სი (A-N) მოთავსებული იყო შესაბამის საპატიმრო დაწესებულებაში და იხდიდა ზემოაღნიშნული განაჩენით მის მიმართ შეფარდებულ სასჯელს. 2013 წლის 26 აპრილს, თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას მძიმე სასჯელადსრულების სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი პირობით ვადამდე გათავისუფლდა შესაბამისი დაწესებულებიდან.

4. 2020 წლის 25 თებერვალს, თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა სასამართლოს №2016/58-2020/45 განაჩენით, თ. (T.) ა-სი (A-N) ცნობილ იქნა დამ-

ნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 43/1 მუხლთან ერთობლიობაში, 241/1 მუხლით (ფულის გაპროცენტება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. იმავე განაჩენით, თ. (T.) ა-სს (A-N) სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის, 6 თვისა და 750 დღით. ამასთან, თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი თ. (T.) ა-სის (A-N) ექსტრადიციის თაობაზე შუამდგომლობის თანახმად, თ. (T.) ა-სიმა (A-N) ფაქტობრივად უნდა მოიხადოს 1843 დღე. 2022 წლის 28 აპრილს, თურქეთის რესპუბლიკის ქ. ს-ის რეგიონალური სასამართლოს მე-4 სასჯელადსრულების პალატის გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული განაჩენი დარჩა ძალაში და გახდა საბოლოო.

5. 2022 წლის 1 ივნისა და 29 ნოემბერს, გამოიცა თ. (T.) ა-სის (A-N) დაკავების ბრძანებები 2020 წლის 25 თებერვლის განაჩენის აღსრულების მიზნით.

6. 2022 წლის 5 ოქტომბერს, თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის აღმასრულებელი სასამართლოს №2022/959-2022/1386 გადაწყვეტილებით, ვინაიდან თ. (T.) ა-სმა (A-N) პირობითი მსჯავრის დროს ჩაიდინა ახალი დანაშაული, გაუქმდა 2013 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობითი მსჯავრი და თ. (T.) ა-სს (A-N) სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 12 თვით. აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა საბოლოო 2022 წლის 3 ნოემბერს.

7. 2022 წლის 28 ნოემბერს, გამოიცა თ. (T.) ა-სის (A-N) დაკავების ბრძანება 2022 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

8. 2023 წლის 2 მაისიდან თ. (T.) ა-სი (A-N) იძებნება ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

9. 2023 წლის 5 ივნისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი თ. (T.) ა-სი (A-N).

10. 2023 წლის 7 ივნისს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით თ. (T.) ა-სს (A-N) შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

11. 2023 წლის 12 ივნისს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის წინაშე თ. (T.) ა-სმა (A-N) უარი განაცხადა გამარტივებული პროცედურის გამოყენებით თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციაზე.

12. 2023 წლის 10 ივნისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიიღო თ. (T.) ა-სის (A-N) ექსტრადიციის თაობაზე თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლო-

ბა და შესაბამისი თანდართული დოკუმენტები.

13. 2023 წლის 11 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და მოითხოვა თ. (T.) ა-სის (A-N) თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის აღმასრულებელი სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №2022/959-2022/1386 გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 29/1 მუხლთან ერთობლიობაში, 81/1 მუხლითა (განზრას მკვლელობა) და თურქეთის რესპუბლიკის №6136 კანონის მე-13 მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელის მოხდის მიზნით. ამასთან, მოითხოვა თ. (T.) ა-სის (A-N) თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობა მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა სასამართლოს 2020 წლის 25 თებერვლის №2016/58-2020/45 განაჩენით დადგენილი სასჯელის მოხდის მიზნით. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა მხარი დაუშვირა შუამდგომლობას და მოითხოვა მისი დაკამაყოფილება.

14. სასამართლო სხდომაზე თ. (T.) ა-სი (A-N) და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი – ა. კ-სე დაეთანხმენ პროკურორის შუამდგომლობას მხოლოდ ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობის ნაწილში.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 14 აგვისტოს განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკამაყოფილდა და დასაშვებად იქნა ცნობილი თ. (T.) ა-სის (A-N) თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის აღმასრულებელი სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №2022/959-2022/1386 გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 29/1 მუხლთან ერთობლიობაში, 81/1 მუხლითა (განზრას მკვლელობა) და თურქეთის რესპუბლიკის №6136 კანონის მე-13 მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელის მოხდის მიზნით. იმავდროულად, ამავე განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი თ. (T.)

ა-სის (A-N) თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა სასამართლოს 2020 წლის 25 თებერვლის №2016/58-2020/45 განაჩენით დადგენილი სასჯელის მოხდის მიზნით.

16. 2023 წლის 21 აგვისტოს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – თ. ა-სის ინტერესების დამცველმა აღვოვატმა – ა. კ-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

17. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივრი და მიაჩნია, რომ ის უნდა დარჩეს განუხილველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

18. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრიდან ირკვევა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – თ. ა-სის ინტერესების დამცველი ადვოკატი – ა. კ-სე ასაჩივრებს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 14 აგვისტოს განჩინებას, მისივე განმარტებით, აღვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გაუქმების შესახებ და ითხოვს გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 14 აგვისტოს განჩინება, რომლითაც თ. ა-სს შეეფარდა პატიმრობა ან ალტერნატივის სახით, მის მიმართ გამოყენებულ იქნას ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 14 აგვისტოს განჩინება მიემართება თ. (T.) ა-სის (A-N) თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციას მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის ჩ-ას რაიონის აღმასრულებელი სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №2022/959-2022/1386 გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 29/1 მუხლთან ერთობლიობაში, 81/1 მუხლითა (განზრას მკვლელობა) და თურქეთის რესპუბლიკის №6136 კანონის მე-13 მუხლით (ცენტრალური იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა, შენახვა, ტარება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელის მოხდის მიზნით. რაც შეეხება თ. (T.) ა-სის (A-N) მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდებას, აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 7 ივნისის განჩინებით.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრი არამარტო მოთხოვნის ნაწილშია შეუსაბამო თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 14 აგვისტოს განჩინებით გადაწყვეტილია დადგენილი სასჯელის მოხდის მიზნით.

ყვეტილ საკითხთან, არამედ მოთხოვნის დასაბუთებაც სრულად მიერთება თ. ა-ის მიმართ აღკვეთის ლონისძიების სახით შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის უკანონობა/დაუსაბუთებლობასა და მისი გაუქმების საკითხს. შესაბამისად, კასატორი რეალურად ასაჩივრებს თ. ა-ის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების და არა – მისი ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინებას.

21. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლე უცხო სახელმწიფოს სამართლდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესით და საექსტრადიციო პროცედურების თავისებურებების გათვალისწინებით. მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილება შეიძლება პირისთვის მისი გადაცემიდან 7 დღის ვადაში გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. შესაბამისად, კასატორს ჰქონდა შესაძლებლობა თ. (T.) ა-ის (A-N) მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ განჩინება გაესაჩივრებინა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას, რის გამოც, საკასაციო სასამართლო სამართლებრივად მოკლებულია საჩივრის განხილვის შესაძლებლობას.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსტრადიციას დაქვემდებული პირის – თ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ა. კ-ს საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

24. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სასკ-ის მე-300 მუხლით, 303-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – თ. (T.) ა-ის (A-N) ინტერესების დამცველი ადვოკატის – ა. კ-ს საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge